

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ლინგვისტიკა

ნინო წიკლაური

მოდლობა ქართულ დისკურსში

ნაშრომი შესრულებულია ლინგვისტიკის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი მამია ფაღავა  
ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი

ბათუმი-2021

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

25. 05. 2021 წელი

ნინო წიკლაური

## სარჩევი

შესავალი .....	4
<b>თავი I. მოდალობა და მასთან მომიჯნავე ცნებათა პოსტულირება</b>	
1.1. ენის სოციალური ბუნება და კონცეპტი, როგორც აზრობრივი პროცესის ოპერირება .....	9
1.2. მოდალობა - ენობრივი უნივერსალია: დეფინიციები, კონცეფციები, ტიპები .....	15
1.3. პრაგმატიკა - მოდალური ფორმირების კომპონენტი .....	26
1.4 დისკურსის ფუნქციური დატვირთვა ლინგვისტურ აზროვნებაში .....	30
<b>თავი II. კითხვითობის მოდალური მოდუსები ქართულ დისკურსში</b>	
2.1. მოდალობის ფუნქციური ანალიზი ქართულ ლინგვისტიკაში .....	37
2.2. კითხვითი ა' და მე' ნაწილაკისათვის ქართულში .....	43
2.3. სხვა კითხვითი ნაწილაკები ქართულში .....	56
<b>2.4. კითხვითი მოდალობის გამოხატვის სინტაქსური დონე</b>	
2.4.1 კითხვითსიტყვიანი წინადადება ქართულში .....	64
2.4.2 უკითხვითსიტყვო კითხვითი წინადადება ქართულში .....	69
2.5. კითხვითობის სტილისტიკური ფუნქციისათვის .....	74
<b>თავი III. მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ -სემანტიკური საშუალებები</b>	
3.1. სემანტიკური ველის კონცეპტუალიზაცია .....	79
3.2. მოდალობის გამოხატვის მორფოლექსიკური დონე .....	80
დასკვნა .....	101
სქემები.....	109
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	114

## შესავალი

დროთა დინებასთან ერთად იცვლება მეცნიერული პარადიგმები (შედარებით-ისტორიული, სტრუქტურალიზმი, ანთროპოცენტრიზმი). საკითხის გაანალიზების სემანტიკური თვალსაწიერი ადგილს უთმობს პრაგმატიკულ ხედვას. აქტიურად ჩნდება ტერმინები: სამეტყველო აქტები, ფუნქციურ-სემანტიკური ველი, კონცეპტი.

საკუთრივ თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ გამოწვევად დისკურსის ხელოვნება და ფრეგეს სემიოტიკური სამკუთხედის ანთროპოცენტრული ალტერნატივა შეიძლება დავასახელოთ, მკვეთრად გამოხატული ასპექტებით:

- ინტენციის მიზნები ;
- კომუნიკაციის კონკრეტული პირობები;
- კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება.

არსებული მოცემულობა ამყარებს პერკინსის მოსაზრებას: “მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედებულ ოთახში გადაადგილებას, როცა ძნელია, ისე იმოდრო, რომ ფეხი არავის დააჭირო“ (perkins, 1983:4).

**კვლევის მიზანი** - „გამონაკლისები არსებობს არა ენობრივი სისტემის, არამედ ჩვენი ცოდის დონეზე და ის გამონაკლისად რჩება მანამ, სანამ მისი ადგილი მოიძებნება სისტემაში“ (გოგოლაშვილი, 2008:6). შესაბამისად, მიზნად დავისახეთ ქართულ დისკურსში მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ-სემანტიკური შესაძლებლობების კონსტრუირება-სისტემატიზაცია, სამეტყველო აქტების პრაგმატიკული ფორმირება და ამ თემებთან დაკავშირებული თეორიული მასალისა თუ პოსტულატების ანალიზი.

**კვლევის ობიექტი** - სადოქტორო ნაშრომში ყურადღება სწორედ მოდალობაზე - ენობრივ უნივერსალიაზე შევაჩერეთ, რომელიც გამოხატავს, როგორც სინამდვილისადმი მოუბრის სხვადასხვა დამოკიდებულებას, ისე - თქმულის სუბიექტურ აღქმას. კვლევის უშუალო ობიექტს წარმოადგენდა: ძველი, ახალი და საშუალო ქართულის ლიტერატურული ნაწარმოებები, დიალექტები, საგაზეთო სტატიები, ცოცხალი დიალოგები, ქართული ენის კორპუსში დაძებნილი საანალიზო ფორმები.

**კვლევის აქტუალობა** - „მოდალობა – ეს არის წინადადების სული; ისევე, როგორც აზრი და ის წარმოიქმნება მოლაპარაკე სუბიექტის აქტიური ოპერაციის შედეგად. მაშასადამე, არ შეიძლება წინადადების მნიშვნელობა მივანიჭოთ გამონათქვამს, თუ მასში არ არის მოდალობის რაიმე გამოხატულება მაინც“ (**Балли, 1955:44- 45**).

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის არსობრივი მოცემულობა პერმანენტულად იცვლება იმპლიციტური სამეტყველო აქტებით; ანთროპოცენტრიზმი ცენტრალურ ადგილს უთმობს კომუნიკანტს ე.წ. „მომხმარებლის“ სტატუსით; რთულდება ინტენციის ამოცნობის გზები, - რაც თანამედროვე ლინგვისტიკაში, ერთი მხრივ, დისკურსის შესწავლის აუცილებლობასა და, მეორე მხრივ, პრაგმატიკული აზროვნების გააქტიურებას მოითხოვს, - ყოველივე ეს კი მოდალობის კატეგორიის აქტუალობით სინთეზირდება.

**კვლევის მეთოდოლოგია** - ქართული ენა აგლუტინაციურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ამ ტიპის ენებში ყოველ გრამატიკულ კატეგორიას თავისი გამომხატველი ნიშანი აქვს, ფორმის შინაარსი სწორედ ძირისა და ამგვარ ელემენტთა ერთობლიობით გამოიხატება. გარდა ფორმანტთა გრამატიკული ფუნქციისა, ფორმის სემანტიკაში აისახება იმ ელემენტთა კომბინაციით შექმნილი სემანტიკაც. ამდენად, სემანტიკის კვლევა, არა მხოლოდ ამ დარგისათვის საინტერესო სფეროებს წამოსწევს წინ, არამედ სტრუქტურალისტური მიდგომით დამუშავებულ ბევრ საკითხს სრულიად ახალ განვითარებას მისცემს. მორფოლოგიურ ანალიზთან ერთად, მორფო-სემანტიკური და სემანტიკური ანალიზი არის სწორედ ის მიმართულება, რომელსაც ქართული ენის ახალი კვლევები უნდა დაეფუძნოს (**შარაშენიძე, 2020: 5**). შესაბამისად, საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის როგორც ტრადიციულ, ისე თანემდროვე კვლევის მეთოდებს მივმართეთ.

➤ **(კლასიკური)-შედარებით-ისტორიულ** მეთოდზე დაყრდნობით, საკვლევ ობიექტთან მიმართებაში შევადარეთ ძველი, ახალი და საშუალო ქართულის ენობრივი მდგომარეობა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა ისტორიული

ფაქტების შეპირისპირება სალიტერატურო ენის ნორმებსა და დიალექტთა მონაცემებთან.

➤ **ფუნქციურ-სემანტიკური** ველზე მორფოსინტაქსური ასპექტების ანალიზი, თემის ფარგლებში არსებული სპეციფიკური ნიშნებისა თუ უნივერსალიების დაძებნა-კონსტრუირებაში დაგვეხმარა;

➤ **სინქრონიულ-დიაქრონიულ** დერძზე, ქრონოლოგიურ ჭრილში, წარმოვადგინეთ მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალებები.

➤ **მედია-მონიტორინგი** კვლევისას სტილისტიკურ მარკერთა ფორმირების ეფექტიანი ამსახველი აღმოჩნდა.

**ნაშრომის სიახლე** - მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულში დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგანი. სათქმელი ბევრია, თქმული კი - ცოტა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი ეფუძნება სრულიად შეუსწავლელ ემპირიულ მასალას. ერთიანობაში პრობლემა გარკვეული სიახლის შემცველია, ამდენად, ლინგვისტურად საინტერესო და დისერტაბელური.

ვეცადეთ, აგვესახა მოდალობის, როგორც კატეგორიის, ერთიანი სურათი; ვფიქრობთ, ნაშრომს შევძინეთ ინოვაციური ასპექტები და გამოვკვეთეთ ახალი ტენდენციები.

**ნაშრომის თეორიულ ღირებულებას** - წარმოადგენს დღემდე არსებული ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, აქვე დავძენთ, რომ თეორიული მოსაზრებების საფუძველზე გამოვლენილია მოდალობის სპეციფიკური სტრუქტურა - ლინგვისტური, პრაგმატიკული, სემიოტიკური ასპექტების გათვალისწინებით.

**პრაქტიკული ღირებულება:** გარდა იმისა, რომ მოდალობა თითქმის ყველა ენაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა შრეზე ( მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, ა.შ.) გამოიხატება, მისი უნივერსალურობა სხვა კუთხითაც ვლინდება, მხედველობაში გვაქვს მოდალობის ეპისტემური ბუნება, რომელიც არაერთი დისციპლინისა თუ სფეროს ინტერესის საგანია. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მათგანს დავასახელებთ:

I. **თარგმანთმცოდნეობა** - მოდალობის კატეგორია მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი წინაპირობაა თარგმანთმცოდნეობის დარგში. ის გვადლევს საშუალებას, თავიდან ავირიდოთ ენობრივი უზუსტობისგან გამოწვეული უხერხულობა, რომელიც თან ახლავს სხვადასხვა ენათა კონცეპტუალურ ანალიზს.

II. **მარკეტინგი** - წარმატებული მარკეტინგის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს ხარისხიანი რეკლამა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, დამკვეთსა და მომხმარებელს შორის წარმატებული კომუნიკაციის პირდაპირპროპორციულია.

III. **ლიტერატურათმცოდნეობა** - მხატვრულ ტექსტში შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანია. ქვეტექსტი, ყოველთვის ახალია წარმოსახვაში უშუალოდ მოცემულთან შედარებით. მოდალობა დაგვეხმარება ტექსტის სიღრმისეული შრეების გააზრებასა და იმპლიციტური ინფორმაციის სწორ ამოკითხვაში.

IV. **მასმედია** - პრესის ენაში საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული წინადადებები. (!) ეს კი იმას ნიშნავს, რომ პუბლიცისტურ სტილს კითხვითი მოდალობის პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს; წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

**ნაშრომის სტრუქტურა** - განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. შედგება შესავლის, პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

**პირველი თავი** მოიცავს მოდალობის, როგორც ენობრივი უნივერსალისა და მასთან მომიჯნავე ცნებათა პოსტულირებას, რომლის ფარგლებშიც განვიხილეთ:

- ენის სოციალური ბუნება და კონცეპტი, როგორც აზრობრივი პროცესის ოპერირება;
- მოდალობა - ენობრივი უნივერსალია: დეფინიციები, კონცეფციები, ტიპები;
- პრაგმატიკა - მოდალური ფორმირების კომპონენტი;

➤ დისკურსის ფუნქციური დატვირთვა ლინგვისტურ აზროვნებაში.

მეორე თავში ვისაუბრეთ ქართულ დისკურსში კითხვითობის მოდალურ მოდუსებზე .

მესამე თავი მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ -სემანტიკურ საშუალებებს ეთმობა ველის ფარგლებში განხილული დონეების მიხედვით.



## თავი I

### 1.1 ენის სოციალური ბუნება და კონცეპტი, როგორც აზრობრივი პროცესის ოპერირება

ენა ინდივიდსა და გარესამყაროს შორის არსებული ერთგვარი შუალედური რგოლია, რომელიც ასახავს ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას. ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური შინაგანი ფორმა, რომელიც ეროვნული სულის გამოხატულებაა. ამგვარად, „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“ (ვილჰელმ ჰუმბოლდტი). ის გვევლინება, როგორც სამყაროს პირველადი კონცეპტუალიზაციის და ადამიანური გამოცდილების რაციონალიზაციის ფორმა, სამყაროს შესახებ არსებული გაუცნობიერებელი სტიქიური ცოდნისა და ისტორიული მეხსიერების საცავი (პოსტოვალოვა, 1999:30). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ენის მეხსიერება ყველა მეხსიერებაზე უფრო ტევადია. ის თავისთავად მოიცავს კულტურის მეხსიერებასაც, მაშინ, როდესაც კულტურის მეხსიერება „კულტურული“ ხსოვნას ინახავს (ომიაძე, 2006:7). ფაქტობრივად, ენა წარმოადგენს კულტურის პროდუქტს, მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რადგან „ენას ემყარება და მასში გამოიხატება ის, რაც ადამიანისათვის წარმოადგენს სამყაროს, სამყაროს ყოფა არის ენობრივი არსებობა“ (გადამერი, 1988:704).

ენა, რომელიც მატერიალური სამყაროს ვერბალური გამოხატულებაა, ის მუდმივად ქმნადი, დინამიკური ორგანიზმია, რომელშიც დადგენილია შიდასისტემური კანონები. ენა ერთდროულად არსებობს, როგორც სისტემა და ქმედება, ამიტომ იგი იცვლება და ვითრდება თავისი შინაგანი კანონების მიხედვით. სამეტყველო ჩვევაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დაკავშირებულია ადამიანის მცდელობასთან უფრო მარტივად, ნათლად და ზუსტად გადმოიცეს აზრი. ენის ლექსიკა შედარებით ღიაა ამგვარი ცვლილებების მიმართ, ამიტომ ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ენობრივი პროცესები ყველაზე მარტივად სწორედ ლექსიკაში აისახება. „ენა ყოველთვის ასახავს სოციალურ წინაპირობებს. ენა ეს არის ხალხი, ამიტომ ის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ხალხი“ (კრისტალი, 2003:25).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენა ცოცხალი ორგანიზმია და ბუნებრივია, როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსურ-მორფოლოგიური პარადიგმები დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება. შესაბამისად, ნებისმიერი საკითხის შესწავლა კიდევ უფრო საყურადღებო ხდება განვითარების საწყის ეტაპზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ დინამიკა სტრუქტურათა წარმოების კონტრასტულობით გამოირჩევა.

მეტყველებამდე ენა არსებობს როგორც სისტემა, ხოლო მეტყველების პროცესში ენა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა საკუთრება ხდება, რაც ენის საარსებო სივრცის შეცვლას იწვევს და იგი ინტერსუბიექტურ სივრცეში გადადის. ამ პროცესს ლინგვისტიკაში აქტუალიზაციას უწოდებენ. აქტუალიზაციის პროცესში ენის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს მეტყველი სუბიექტი შეარჩევს და იყენებს იმგვარად, რომ თავისი საკომუნიკაციო მიზანი ეფექტიანად განახორციელოს. თანამედროვე ლინგვისტიკაში **ბენვენისტმა** გამონათქვამის სუბიექტურობასთან ერთად, **ინტერსუბიექტურობის** აუცილებლობას და მნიშვნელობასაც პირველმა გაუსვა ხაზი. გამონათქვამი, როგორც ინდივიდუალური რეალიზაციის აქტი, ენასთან მიმართებაში შეიძლება განვსაზღვროთ, მიკუთვნების პროცესად... მაგრამ, როგორც კი პირი დგება მეტყველის პოზიციაში და ენას ისაკუთრებს, იგი აუცილებლად გულისხმობს სხვას, როგორც არ უნდა იყოს მისი დასწრების ხარისხი, ნებისმიერი გამონათქვამი არის ექსპლიციტური ან იმპლიციტური ალოკუცია. ფუნქციის მქონე სიტყვები კი ყოველთვის და მხოლოდ კონცეპტებზეა მიმართული (**ბენვენისტი, 1980:83**).

კონცეპტი კულტურის ძირითადი უჯრედია ადამიანის მენტალურ სამყაროში, რადგანაც მისი დეტერმინაცია კულტურით ხდება, ისევე როგორც ენაში მისი გასაგნობრივება. კონცეპტის ცნებით ადამიანი აზროვნების პროცესში ოპერირებს. ის ასახავს გამოცდილების შინაარსსა და ცოდნას, ადამიანის მთელი საქმიანობის შედეგებს, სამყაროს შემეცნების პროცესებს. ყველასათვის ცნობილია, რომ სხვადასხვა კულტურებსა და ენებში ის სამყარო, რომელიც ადამიანს გარს აკრავს, სხვადასხვანაირადაა დანაწევრებული. განსხვავებული ენები განსხვავებულად ახდენენ სინამდვილის, მისი ცალკეული მონაკვეთების სემანტიზირებას, რომლებშიც ვლინდება მათი თავისებურება და ცნობილი ორიგინალურობა (**კუბრიაკოვა, 1996:90; სტეპანოვი, 1997:41; სლიშკინი, 2000:9; კრასავსკი, 2001:36**).

ენობრივი კონცეპტუალიზაცია, როგორც ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი პლანის სემანტიკური წარმოდგენის საშუალებათა ერთობლიობა, კულტურათა შესაბამისად განსხვავებულია, მაგრამ სემანტიკური წარმოდგენის მხოლოდ სპეციფიკა არ უნდა იყოს საკმარისი კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ცნების, გამოყოფისათვის (ვეუბიცვა, 1997:238). ყურადსაღებია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები. ფიქრობენ, რომ ენობრივი და კულტურული თავისებურებანი აქ უფრო მეტად შემთხვევითია და ისინი ვერ ასახავენ სემანტიკის ეროვნულ-კულტურულ (საკუთრივ ეთნიკურ) თავისებურებას და არც ყველა განსხვავება ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა შიდა ფორმებს შორს შეიძლება მივიჩნიოთ კონცეპტუალური თვალსაზრისით ღირებულად (დობროვოლსკი, 1997:42). აქვე დგება საკითხი მენტალობისა და მენტალიტეტის შესახებ, კერძოდ, მათი ურთიერთმიმართებისა და არა იდენტურობისა.

ლინგვოკულტუროლოგიურ გამოკვლევებში ერთიანი აზრი არ არის იმის შესახებ, თუ ენის კონკრეტულად რომელი ერთეულები უკავშირდება კონცეპტს, თუმცა კავშირის არსებობას კონცეპტსა და გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს შორის ყველა აღნიშნავს. იგი მიაჩნიათ „სიტყვაში განზოგადებულ (სიგნიფიკაციურ) სახედ, რომელიც სამყოს ეროვნული სურათის ფრაგმენტს ასახავს“; „კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერ დისკრეტულ ერთეულად, რომელიც ასახავს რეალური ან იდეალური სამყაროს საგანს და ვერბალურად აღნიშნული ინახება ეროვნული ენის მემსიერებაში“ (ვორკაჩევი, 2004:34).

ენათა უმრავლესობა წარმოადგენს სინამდვილის სულიერი ათვისების განსხვავებულ გზებსა და საშუალებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს ადამიანის აზროვნების ერთნაირი პრინციპები, რომლებსაც მივყავართ რეალური სამყაროს ადეკვატურ აღქმამდე, რაც უცილობლად ხაზს უსვამს აზროვნების დომინირებულ როლს ენის ევოლუციის პროცესებთან ერთად. ენის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია მისი შემოქმედებითი ბუნება. ენობრივი ნიშნებით სახელდება ექვემდებარება ასახვის მიზნებს. ენობრივი ნიშნები არა მხოლოდ მეორადი პოზიციის უბრალო აღმნიშვნელებია, არამედ უფრო მეტად სინამდვილის

განზოგადოებული ასახვის მატარებლები. ენობრივი მნიშვნელობების ფორმირების პროცესში მონაწილეობს და ასახვას ჰპოვებს სამი ერთმანეთთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური სიტუაციის ელემენტი: ადამიანი (შემმეცნებელი სუბიექტი), რეალური სინამდვილე (შესაცნობი ობიექტი) და ენა (ენობრივი ნიშანი). სიტყვა აღნიშნავს რეალობას და ხდება თავისუფლად არჩეული ნიშანი, რომელიც ყალიბდება მოცემული კონკრეტული საზოგადოების საერთო შეთანხმების შედეგად. რა თქმა უნდა, არ არის აუციელებელი, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფორმალური თანხმობა გამოხატოს ამა თუ იმ ენობრივი ნიშნის გამოყენებაზე. მისი მონაწილეობა კომუნიკაციურ აქტში ნიშნავს კიდევ შესაბამის კოდის მიღებაზე თანხმობას. ენა გარე სამყაროს შემეცნების, აზრების ფორმირებისა და გადაცემის საშუალებაა. გადასცემს საზოგადოებრივ-ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც ასახულია ენობრივი ნიშნების ნომინაციებსა და მნიშვნელობებში”.

ამ დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ენა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის აზროვნების ორ ასპექტთან, რომლებიც თავის თავში განასახიერებს სამყაროს ასახვისა და ადამიანთა შემოქმედებითი როლის სახეცვლილების ერთიანობას, იგი არა მარტო ასახავს, არამედ ქმნის, რადგანაც ენის “ნომინაცია ენობრივი ნიშნით ცნების ანუ სიგნიფიკატის დაფიქსირებაა, რომელიც ასახავს დენოტატის განსაზღვრულ თვისებებს...მატერიალური და სულიერი სფეროს საგნებისა და პროცესების თვისებებს, რომელთა წყალობითაც ენობრივი ერთეულები აწარმოებენ ვერბალური კომუნიკაციის შინაარსობრივ ელემენტებს”. დენოტატი არის ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ობიექტური თვისება, ხოლო ამ თვისების ასახვა აზროვნებაში, დაფიქსირებული ენობრივ ფორმაში, სიგნიფიკატია. სიგნიფიკატი თავისი მოცულობით უტოლდება ლოგიკურ ტერმინს ”ცნება”, ვინაიდან საგნობრივ-გნოსეოლოგიური მიზანმიმართულება ემთხვევა (იანოვი, 1977:101-107).

თანამდეროვე მეცნიერება მსჯელობას ადამიანის ფსიქიკაზე სიტყვის ზემოქმედების შესახებ, რომლის ბაზისურ საფუძველს წარმოადგენს მტკიცებულება, რომ ყოველი ადამიანი ფლობს ფარულ, გამოუყენებელ ფსიქიკურ რესურსებს, იმისთვის, რომ შევხვით კომუნიკანტის შინაგან ფსიქიკურ პროცესებს, არსებობს ორი გზა - ვერბალური და არავერბალური.

ადამიანი აღიქვამს და ასახავს გარემომცველ სამყაროს საკუთარი გრძნობათა ორგანოებით. ამ პროცესს მოდალობა ჰქვია. ლაპარაკია მხედველობით (ვიზუალური), სმენით (აუდიალური), შეხებით, ყნოსვა-გემოვნებით (კინესთეტიკური), მოდალობებზე. ამიტომ ზოგისთვის სამყარო არის ის, რასაც ხედავს, ზოგისთვის ის, რასაც ისმენს, სხვათათვის, - ის, რასაც შეიგრძნობს. როგორც წესი, ადამიანში ერთ-ერთი მათგანი დომინირებს და ხშირ შემთხვევაში ეს სიტყვიერი პრედიკატებია. ისინი ფორმირდება ქვეცნობიერ დონეზე და საჭიროებს შესატყვის მეტყველებას, რათა მათში წვდომა შედგეს. სიტყვიერი პრედიკატები ეს ის გასაღებებია, რომლებიც შინაგან ფსიქიკურ პროცესებთან მისასვლელ კარს აღებს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია არავერბალური გამოვლინებები: პოზა, მიმიკური რეაქციები, ხმის ტემბრი, სუნთქვის რიტმი და ა. შ.

ლინგვისტური საშუალებების კრებული საჭიროა იმ ინფორმაციების მისაღებად, რომელიც რიგ შემთხვევაში თავად პიროვნებისთვისაც დაფარულია. ადამიანი სამყაროს აღიქვამს სუბიექტურად, ამიტომ ყოველ ინდივიდს აქვს საკუთარი სამყაროს მოდელი, რომელიც ზოგჯერ არ ექვემდებარება კორექციას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კომუნიკაცია ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთზეგავლენის მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. მას განიხილავენ არა მარტო როგორც გააზრებულ, რაციონალურად გაფორმებული ინფორმაციის სამეტყველო გაცვლის აქტს, არამედ ასევე ადამიანებს შორის უშუალო ემოციურ კონტაქტს. კომუნიკაციას, ისევე როგორც ნებისმიერ მიზანმიმართულ ქმედებას, გააჩნია განსაზღვრული მიზანი: ინფორმაციის გამგზავნს აქვს განზრახვა, რომ მსმენელმა ის გაიგოს. ამის მიღწევა შესაძლებელია განსაზღვრული საშუალებების მეშვეობით. კომუნიკაცია ადამიანებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ქმედებაა (კამენსკაია, 1988: 41).

ადამიანის უნარი, გაუგოს სხვა ადამიანებს, კომუნიკაციური პროცესის საფუძველია, რომელსაც ექვემდებარება კომუნიკანტების ემოციური მდგომარეობის გამოხატვისა და გადაცემის ყველა საშუალება. აუცილებელია, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ადამიანი სოციალიზაციის პროცესში გამოიმუშავებს ჩვევას, რომ გადაანაწილოს

ყურადღება კომუნიკაციური აქტის ვერბალურ და არავერბალურ მხარეებზე და ქვეცნობიერად ითვალისწინებს ორივეს, რომელთა გააზრება არ ხდება ადრესატის მიერ შეტყობინების აღქმის დროს. მაგრამ ამა თუ იმ სახით, ისინი ადრესატის შეტყობინებასა და გარე სინამდვილის მიმართ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ (ნიკოლაევა, უსპენსკი, 1966: 71).

მეტყველ პიროვნებაში გამოყოფენ სამ დონეს:

- ვერბალურ-სემანტიკური, რომელიც პასუხისმგებელია ენის ფლობაზე;
- კოგნიტური, რომელიც ინდივიდის კონცეპტუალურ სისტემას მოიცავს;
- მოტივაციურ-პრაგმატისტული, რომელიც გულისხმობს ინფორმაციას ინდივიდის შიდა განწყობაზე, მიზნებსა და მოტივებზე (კარაულოვი, 1987: 41).

ამგვარად, სამყაროს ადამიანი ხედავს თავისი კულტურისა და ენის პრიზმის მეშვეობით.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში კომუნიკაციური ლინგვისტიკის დომინანტობა ენობრივ ნიშანში ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნასა და კომუნიკაციური ფუნქციის ლინგვისტური აზროვნების ფოკუსში მოქცევას გულისხმობს. ჩასახვის პირველ ეტაპზე თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მეტყველი სუბიექტის ფაქტორით დაინტერესდა. თუმცა, ლინგვისტური აზროვნების განვითარების შედეგად, დღეს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მეტყველ სუბიექტს, არამედ, მსმენელ სუბიექტსაც, როგორც დისკურსის პროდუცირების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ვითარდება არა ერთი ლინგვისტური მიმდინარეობა. ესენია: გამონათქვამის თეორიები, დისკურსის ანალიზი, პრაგმატიკა, არგუმენტაციის თეორიები. მათ საერთო აქვთ ის, რომ ნებისმიერი მათგანი ენობრივ წარმონაქმნს მისი კომუნიკაციური ფუნქციის გათვალისწინებით შეისწავლის. თუმცა, თითოეული მათგანი დისკურსს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კუთხით იკვლევს: გამონათქვამის თეორიებმა საფუძველი ჩაუყარა სუბიექტურობისა და ინტერსუბიექტურობის შემოსვლას ლინგვისტურ აზროვნებაში, დისკურსის ანალიზი, ძირითადად, დისკურსის პროდუცირების სოციალურ კონტექსტს ითვალისწინებს, არგუმენტაციის თეორიები დისკურსს მისი დამარწმუნებელი

ეფექტის გათვალისწინებით შეისწავლის. გამონათქვამის თეორიები ლინგვისტიკაში მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებს გნვითარებას. მის ფუძემდებლად ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი მიიჩნევა. თუმცა, ენათმეცნიერებაში ტერმინი გამონათქვამი (énonciation) ფილოსოფიიდან უფრო ადრე შემოვიდა. იგი ლინგვისტურ კვლევებში პირველად შარლ ბალიმ მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში გამოიყენა, მაშინ, როდესაც ფრანგული ენის თავისუფალი ირიბი ნათქვამის ფუნქციონირება გამონათქვამის ჭრილში გააანალიზა.

## 1.2 მოდალობა - ენობრივი უნივერსალია: დეფინიციები, კონცეფციები, ტიპები

**მოდლობა** ფართო ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ზოგადად გამოხატავს გამონათქვამის დამოკიდებულებას რეალობისადმი (ნიშნის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი). საკუთრივ ტერმინი მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება: ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ფილოსოფიაში, ლოგიკაში, მედიცინაში, საინფორმაციო ტექნოლოგიაში და ა. შ. თავად სიტყვა კი ლათინური წარმოშობისაა და განიმარტება „modus (modi) 1. ზომა; რაოდენობა; 2. სახე, გვარი; hoc modo ამნაირად; modo როგორც; in modum სახით, როგორც“ (ყაუხჩიშვილი, 1961: 237). ვხვდებით ფორმას modulus, რომელიც ჩვენ მიერ განხილული ლექსიკური ერთეულის (modus) კნინობით ვარიანტს წარმოადგენს.

„მოდლობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძნელია, ისე იმოდრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო“ (Percins, 1983: 4). პერკინსის თვალსაზრისს, კატეგორიის კომპლექსურურობასა და უნივერსალობას სინქრონიულ-დიაქრონიულ ღერძზე წარმოდგენილი არაერთი და არაერთგვაროვანი მოსაზრებების ციკლიც განამტკიცებს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ განსხვავებული პოზიციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერებაში არ არსებობს ერთი ზოგადი დეფინიცია, რომელიც ამომწურავად ასახავდა მოდალობის შინაარსს, თუმცა, ნებისმიერი

განსაზღვრება ეხება მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების, აუცილებლობის, შესაძლებლობის მიმართ.

„საგულისხმო და თავისთავადია ფაქტი, რომ მოდალობის კატეგორიის თეორიული საკითხი ყველა ენისთვის ერთნაირია. თითოეულ ენას შეიძლება მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება გააჩნდეს, მაგრამ მისი შინაარსი უცვლელია. მოდალობა - უნივერსალური კატეგორიაა, და მისი ბუნების სხვადასხვა განმარტება, ნამდვილად დაკავშირებულია ამ პრობლემის სირთულესთან, სემანტიკური მოცულობის განსაზღვრასა და მოცემული კატეგორიის ლინგვისტურ სტატუსთან“ (თესაუ., 2017:23).

ჩვენი კვლევის ობიექტს თავდაპირველად ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე შეეხო თავის ცნობილ ნაშრომ "მეტაფიზიკაში", სადაც ავტორი სამ ძირითად მოდალურ ცნებას: აუცილებლობას, შესაძლებლობასა და რეალობას გამოყოფდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდალობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით თეოფრასტთან და ევდემ როდოსელთან (რომლებიც არისტოტელეს კომენტატორები იყვნენ); მოგვიანებით ამ საკითხებზე მსჯელობდნენ შუასაუკუნეების სქოლასტიკოსები.

თემასთან არსებული არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მოიძიება პალმერთან, ლიჩისონ, ვინოგრადოვთან, კონევსკაიასთან.

ენათმეცნიერთა ნაწილი მოდალობას გრამატიკულ, კერძოდ, სინტაქსურ კატეგორიად მიიჩნევს (Будагов, 1958: 294; Palmer, 2001: 6), უმეტესი მათგანი კი მას სემანტიკურ მოცემულობად განიხილავს (Колшанский, 1961: 97; Зверева, 1983: 18). ერთი რამ ცალსახაა – მოდალობა, რომელიც კონკრეტულ ენებში გამოხატულია გრამატიკული, ლექსიკური, საკუთრივ მოდალური, ინტონაციური, ტექსტუალური საშუალებებით, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია; თუმცა მიუხედავად ამისა, განსხვავებული ენები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მის ასპექტურ მახასიათებლებს, რომელთა შორისაც მკვეთრად აქცენტირებულ როლს ასრულებს გრამატიკული საშუალებები (ბაბუხაძია, 2010: 12).

ვიდრე თემის ირგვლივ საკუთრივ ლინგვისტიკის ფარგლებში ვიმსჯელებთ, უნდა აღინიშნოს, მოდალობა, როგორც აზროვნების გზა, ხერხი, წარმოადგენს



ლოგიკის საგანს. ამ საკითხს ლოგიკაში სპეციალურად განიხილავს მოდალური ლოგიკა.

მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის რაითის მიხედვით, მოდალობათა ლოგიკურ სისტემაში ერთიანდება შემდეგი ჯგუფები:

- **ალეთიკური** ანუ ჭეშმარიტების მოდალობა - აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი, შეუძლებელი;
- **ეპისტემური** ანუ ცოდნის მოდალობა - განსაზღვრული (გადაწვეტილი), განუსაზღვრელი (გადაუწყვეტელი), ყალბი;
- **დეონტური** ანუ ვალდებულების მოდალობა - ვალდებული, დასაშვები, ინდიფერენტული, აკრძალული;
- **ეგზისტენციალური** ანუ არსებობის მოდალობა - უნივერსალური, არსებული, ცარიელი (პალმერი, 1995:11).

ლოგიკურისაგან განსხვავებით ლინგვისტური მოდალობა ემყარება ენობრივ სპეციფიკას, შესაბამისად, განსხვავებულ სისტემას ქმნის და დასახელებული ჯგუფებიდან მისთვის ნიშანდობლივია **ეპისტემური** (შესაძლებლობა, დედუქცია) და **დეონტური** (აუცილებლობა, ვალდებულება) მოდალობები, რომლებიც უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

მაინც რა იგულისხმება ცნებაში „ლინგვისტური მოდალობა“? მოდალობა ესაა გამონათქვამისადმი მთქმელის, მოლაპარაკის დამოკიდებულების ენობრივი საშუალებებით გადმოცემა, რაც გულისხმობს ნათქვამში შემეცნებითი(კოგნიტური), ემოციური თუ ნება-სურვილის შინაარსის გარკვეული ფორმით გამოვლენას. მოდალობის განმარტებისას, ჩვეულებრივ, წინადადების სემანტიკას ითვალისწინებენ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოდალობა არის არა კონტექსტიდან ამოვარდნილი შესაბამისი წინადადების ანალიზი, არამედ მისი აზრის განსასაზღვრად შეიძლება მთელი ტექსტის, ანუ დისკურსის გათვალისწინება იყოს საჭირო (შარაშენიძე, 2020:16).

აქვე დავძენთ, რომ ფილოსოფიის მსგავსად, ტრადიციულ ენათმეცნიერებაშიც ძირითადად სამი მოდალობა, ზმნის სამი ძირითადი კილო გამოიყოფა:

- თხრობითი (არის),
- ბრძანებითი (იყოს)
- კავშირებითი (იქნებოდა).

ახალი დროის ლოგიკოსებსა და ფილოსოფოსებს შორის გამორჩეული სიტყვა თქვა გერმანელმა ფილოსოფოსმა ი. კანტმა, რომელმაც მოგვცა მსჯელობის შემდეგნაირი დაყოფა:

- ასერტორული (მსჯელობა სინამდვილის შესახებ),
- პრობლემატური (მსჯელობა შესაძლებლობის შესახებ),
- აპოდიქტური (მსჯელობა აუცილებლობის შესახებ), ასევე უტყუარი და ალბათური მსჯელობები.

თავის დროზე კი ფართო აღიარება ჰპოვა ცნობილი ფრანგი ლინგვისტის შარლ ბალის მიერ წამოყენებულმა მოდალობის კონცეფციამ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ გამონათქვამში შეიძლება გამოიყოს ძირითადი შინაარსი (დიქტუმი) და მისი მოდალური ნაწილი (მოდუსი), რომელიც გამოხატავს მთქმელის ინტელექტუალურ, ემოციურ ან ნებელობით მსჯელობას დიქტუმთან მიმართებაში (Балли, 2001:105).

გამოხატული შინაარსის მიხედვით, მოდალობის სამ შკალას გამოყოფს ჯ. ლაიონზი

- ნატვრა, მიზანი;
- აუცილებლობა, ვალდებულება;
- დარწმუნებულობა, შესაძლებლობა.

ავტორის აზრით, ეს სქემა რამდენადმე პირობითია, რადგან ენათა მიხედვით, შკალები შეიძლება შეიცვალოს: შეივსოს ახალი წევრებით ან დაემთხვეს ერთმანეთს (Lyons, 1968: 326).

ე. ბენვენისტის თვალთახედვით კი, წინადადების სამი ტიპი – მტკიცებითი, კითხვითი, ბრძანებითი, - მართალია, ერთმანეთისგან განსხვავდება სინტაქსისა და გრამატიკის სპეციფიკური ნიშნებით, მაგრამ ერთნაირად ემყარება პრედიკაციას. ისინი გამოხატავენ სამ მოდალობას, რომლებიც ასახავენ მოლაპარაკის სამ პოზიციას:

- მას სურს ცოდნის გადაცემა თანამოსაუბრისათვის;
- სურს მისგან ინფორმაციის მიღება;
- სურს უბრძანოს მას რაიმეს გაკეთება (**Бенвенист, 1974: 140**).

ზოგჯერ მოდალურ მნიშვნელობას აფართოებენ გამონათქვამის შინაარსთან მოლაპარაკის ემოციურ-ექსპრესიული დამოკიდებულების შემოტანით. შ.ბალი თვლის, რომ წინადადება შედგება ორი ნაწილისაგან.

I. კორელაციურია წარმოდგენების წარმოქმნის პროცესისა. ეს ნაწილი – დიქტუმი – ლოგიკურად შეიცავს პროცესის (მოვლენის, მდგომარეობის ან თვისების) კორელატს, რომელიც, ჩვეულებრივ, ლოკალიზებულია არსებით სახელებში (დედამიწა ბრუნავს, მზე ანათებს...).

II. წინადადების მეორე, ძირითადი ნაწილი არის მოდალობის გამოხატვა ანუ ოპერაცია, რომელსაც აწარმოებს მოაზროვნე სუბიექტი (**Балли, 1955: 135**).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოდალობის შემდეგი გაგებაც: „სინამდვილის წარმოდგენა მეტყველების სუბიექტის - „მე“-მოლაპარაკის თვალსაწიერიდან“. მოუბარი, ანუ მეტყველების სუბიექტი, თავის ნათქვამს წარმოგვიდგენს როგორც სინამდვილეს, სათუოს, სასურველს, შესაძლებელს, აუცილებელს, სავალდებულოსა და ა. შ. (**Степанов, 1981: 241-242**).

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მოდალობის გამოხატვის საშუალებათა რიცხვს განეკუთვნებიან ზმნის კილოს მორფოლოგიური კატეგორია, მოდალური ზმნები, მოდალური ზმნიზედები და ნაწილაკები, მოდალური მნიშვნელობის მატარებელი აფიქსები, მოდალობის პროსოდიული საშუალებები, ტექსტის მოდალობის მორგანიზებელი საშუალებები, ასევე ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობის სტრუქტურაში მოიპოვება მოდალური კომპონენტი. მოცემულ შემთხვევაში, ე. ი. ამ ჩამოთვლის დროს, ჩვენ ვეყრდნობით ყველაზე ფართო თვალსაზრისს, რომელიც, თავის მხრივ, უხვი და მრავალფეროვანი ტიპოლოგიური მასალის საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

განვმეორდებით და ვიტყვით, რომ ენათმეცნიერებაში მოდალობის კატეგორია ფართო განხილვის საგანია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ცალსახად

განსაზღვრული. როგორც უკვე დავინახეთ, არსებობს მრავალი დეფინიცია, თუმცა აღნიშნული კატეგორია ძირითადად გაგებულია როგორც მიმართება:

➤ მოქმედების სუბიექტისა შესრულებულ მოქმედებასთან (გამოიხატება მოდალური ზმნებით);

➤ მოლაპარაკისა გამონათქვამის შინაარსთან (გამოიხატება მოდალური სიტყვებით);

➤ გამონათქვამის შინაარსისა სინამდვილესთან მოქმედების რეალობა-ირეალობის თვალსაზრისით (გამოიხატება კილოს ფორმებით)... მკვლევართა ნაწილი განიხილავს ე.წ ზოგად ანუ **კონსტიტუტიურ მოდალობას**,

რომელიც პრედიკატიულობის ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს და წინადადების სავალდებულო გრამატიკულ მნიშვნელობას მიეკუთვნება. ზოგადი მოდალობის საშუალებით მოლაპარაკე წინადადების გრამატიკულ ფორმულას გამონათქვამში მისი რეალიზაციისას ანიჭებს შეტყობინების, კითხვის, ბრძანების ან სურვილის სტატუსს (**Хэмп, 1978:45**), რაც შეესაბამება გამონათქვამის ოთხ ტიპს (თხრობითი, კითხვითი, იძულებითი, ნებელობითი). მოდალობის ამ "ზოგად" გაგებას ასევე უსადაგებენ მოდუსის ცნებას, რომელშიც თავის მხრივ, გამოყოფენ მოდალობას უფრო ვიწრო მნიშვნელობით. მას შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სემანტიკური კატეგორიები:

➤ **ობიექტური მოდალობა**, რომელიც ვითარებას ახასიათებს როგორც რეალურს ან ირეალურს;

➤ **ეპისტემური** ანუ სუბიექტური მოდალობა, რომელიც ახასიათებს ვითარებას სანდოობის პლანში მოლაპარაკის თვალსაზრისით;

➤ **ინტენციური მოდალობა**, რომელიც ადამიანის ცნობიერებას აღწერს როგორც მიმართულს გარკვეული ვითარებისაკენ.

თუ სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ თეორიულ კონტექსტებში შექმნილ ნაშრომებს გავითვალისწინებთ, ძირითადად გამოიკვეთება შემდეგი ხუთი თვალსაზრისი:

I. პირველი მათგანი ყველაზე ფართო თვალთახედვითაა წარმოდგენილი.

ამის თვალსაჩინო დადასტურებაა **ფ. პალმერის** ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ „მოდალობა დაკავშირებულია იმ პროპოზიციის სტატუსთან, რომელიც აღწერს ამა თუ იმ მოვლენას" (**Palmer, 2001: 1**). ერთი შეხედვით, სადავო არაფერია, თუმცა ისიც ადვილად შესამჩნევია, რომ აქ წარმოდგენილი განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია და, ამიტომაც, სუსტი და ნაკლებად გამოსადეგი კონკრეტულ ენობრივ მასალაზე სამუშაოდ.

II. რასაკვირველია, არსებობს უფრო ვიწრო და კონკრეტიზებული დეფინიციებიც.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება **ი. ვან დერ აუვერასა და ვ. პლუნგიანის** მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, მოდალობის ცნება უნდა გამოვიყენოთ ისეთ სემანტიკურ სფეროებში, რომლებიც გულისხმობენ შესაძლებლობასა და აუცილებლობას, როგორც პარადიგმატულ ვარიანტებს.

III. მესამე ტიპში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი განმარტებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მოდალობის ქვესახეობებზე. ასე, მაგალითად: „მოდალობა წარმოადგენს სემანტიკურ კატეგორიას, იგი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა შესაძლებლობა, ალბათობა, აუცილებლობა, ნებელობა, ვალდებულება და ნებართვა". ამ შემთხვევაში ნამდვილად სრულადაა წარმოდგენილი სემანტიკური სფეროები, მაგრამ მაინც არ არის განსაზღვრული მოდალობის მკაფიო საზღვრები.

IV. არსებობს ისეთი ნაშრომები, რომლებშიც საერთოდ არ არის მოცემული რაიმე განმარტება; სამაგიეროდ, აქცენტი გადატანილია მოდალური ენობრივი ერთეულების მნიშვნელობისა და გამოყენების ემპირიულ ანალიზზე. აღნიშნულის ნიმუშად გამოდგება **ჯენიფერ ქოუტსის** ნაშრომი „მოდალური დამხმარე ზმნების სემანტიკა".

V. დაბოლოს, აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისეთი განმარტებები, რომლებიც ძირითად აქცენტს უფრო მოდალობის ფილოსოფიურ ასპექტებზე აკეთებენ. მაგალითად, **ფ. კიფერი** ამბობს, რომ მოდალობა წარმოადგენს „წინადადების მნიშვნელობათა მისადაგებას შესაძლო სამყაროებისადმი, რომლის ფარგლებშიც საუბარია იმ საშუალებებზე, რომლებითაც ადამიანები ახერხებენ, სხვაგვარად აღიქვან სამყარო" .

ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია გარკვეული მარკერებით კლასიფიცირდება. ჩვენს საკვლევ ობიექტს ლინგვისტიკები ორ ჯგუფად : ეპისტემურ და დეონტურ მოდალობებდ ჰყოფენ .

**ეპისტემური** მოდალობა (ბერძნ. ეპისტემე „ცოდნა“) გულისხმობს იმას, რაც არის შესაძლებელი ან აუცილებელი იმაზე დაყრდნობით, რაც ვიცით. **დეონტური** კი (ბერძნ. დეონ „მოვალეობა“) იმას - რაც შესაძლებელია, აუცილებელია, ნებადართულია ან სავალდებულოა კანონის ან მორალური პრინციპების მიხედვით (შენიშვნა: არისტოტელე საუბრობს სიტყვა „სავალდებულოს" (τὸ δέον) ორაზროვნების შესახებ; ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს იმას, რაც გარდაუვლად მოსახდენია ბუნებაში არსებული სინამდვილის გამო, ხოლო ამ გარდაუვალთაგან მრავალი ბოროტებას წარმოადგენს; მეორე მხრივ, ეს სიტყვა აღნიშნავს იმას, რაც უნდა აღსრულდეს კეთილი მიზნებით, და ამ თვალსაზრისით იგი აღნიშნავს სიკეთეს, მაძლს (**Перельмутер, 1980: 62**).

საკითხის მაქსიმალური სიცხადისათვის, აქვე განვმარტავთ, მოდალობასთან დაკავშირებულ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა:

➤ **ბულებური** მოდალობა, რომელსაც ზოგჯერ ბულომაურს უწოდებენ, გულისხმობს იმას, რაც შესაძლებელია ან აუცილებელია პიროვნების სურვილებზე დაყრდნობით.

➤ **ცირკუმსტანციული** მოდალობა, გამოხატავს იმას, რაც შესაძლებელია ან აუცილებელია არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

➤ **ტელეოლოგიური** მოდალობა (ბერძნ. ტელოს ‘მიზანი’) გულისხმობს, თუ რა საშუალებებია შესაძლებელი ან აუცილებელი გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ზოგადი დეფინიციებისა და კონცეფციების განხილვა-შეფასების შემდეგ, მიზანშეწოლილად მიგვაჩნია, მოდალობის ტიპებზე ვიმსჯელოთ, რომლებიც, თავის მხრივ, შეფასების ობიექტის მიხედვით ორგვარია: **ობიექტური** და **სუბიექტური**.

პირველი მათგანი (ობიექტური) გრამატიკულად გაფორმებულია ბევრ ენაში და იგი აუცილებლადაა გამოხატული ნებისმიერ გამონათქვამში, ხოლო მეორე (სუბიექტური) ფაკულტატიურია. ამგვარი გამიჯვნა ენობრივი სინამდვილიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, ზემოხსენებული ორი ტიპი მოდალობისა იმდენად

განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევა შესაბამისი ტერმინოლოგიური გამიჯვნაც: იმ ენობრივი მოვლენების აღსანიშნავად, რომელსაც ვუწოდებთ "ობიექტურ მოდალობას", შეიძლება დავტოვოთ ტერმინი "მოდალობა", ხოლო ე. წ. სუბიექტური მოდალობისათვის შემოვიღოთ ტერმინი "ემოციურობა". თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ტერმინოლოგიური და ცნებითი აღრევის გარეშე შეიძლება განვიხილოთ გამონათქვამის ორი ისეთი თვისება, როგორებიცაა მოდალობა და ემოციურობა. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ობლიგატორულობა - ფაკულტატიურობის ნიშნების მიხედვით. ამგვარი დაყოფის საფუძველზე მივიღებთ შემდეგ განმარტებას: მოდალობა წარმოადგენს გამონათქვამის ობლიგატორულ ნიშანს, რომელიც მდგომარეობს ამ, გრამატიკული საშუალებებით გამოხატული გამონათქვამის დამოკიდებულებაში არაენობრივი სინამდვილის მიმართ (**Парамонов, 1998: 35**).

სპეციალურ ლიტერატურაში ზემონახსენებ ორ ტიპთან ერთად ასევე გამოყოფენ შინაგან მოდალობას. იგი წარმოადგენს წინადადების გრამატიკული სუბიექტის (ქვემდებარის) დამოკიდებულებას იმ მოვლენის მიმართ, რომელიც ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ინგლისურში, გერმანულში. . .) გადმოცემულია ზმნის ინფინიტიური ფორმით. რაც შეეხება იმას, თუ რა სახის დამოკიდებულებაზეა საუბარი ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს გამოიხატება მოდალური ზმნის პირველადი მნიშვნელობით (**Кураков, 2000:65**).

ობიექტური მოდალობა ნებისმიერი გამონათქვამის სავალდებულო მახასიათებელი ნიშანია. იგი გამოხატავს ნათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, და ეს ხდება რეალობა / ირეალობის პლანში. ამგვარი სახის მოდალობა თავის ექსპლიციტურ გამოხატულებას პოულობს წინადადების სინტაქსური დანაწევრების დონეზე და გადმოიცემა ისეთი ენობრივი (კერძოდ, გრამატიკული, ლექსიკური და პროსოდიული) ინვენტარით, როგორებიცაა კილოს ფორმები, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, ინტონაცია.

სუბიექტური მოდალობა, ანუ მოლაპარაკის დამოკიდებულება ნათქვამის მიმართ, წარმოადგენს არა გამონათქვამის სავალდებულო დამახასიათებელ ნიშანს, არამედ ფორმალურ-გრამატიკული მნიშვნელობის როლში გამოდის. შეფასება

აღწერილი ფაქტებისა (ურყეობა ან მერყეობა, თანხმობა ან უთანხმოება, დადებითი ან უარყოფითი შეფასება).

თუ შევადარებთ ობიექტური და სუბიექტური მოდალობების სემანტიკურ მოცულობებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მეორის მოცულობა საგრძნობლად ფართოა. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური მოდალობა მოიცავს ბუნებრივ ენაში რეალურად არსებული გამონათქვამის საკლასიფიკაციო მრავალფეროვანი და მრავალასპექტიანი საშუალებების მთელ ლექსიკას;

➤ მოდალური სიტყვები და ნაწილაკები;

➤ სიტყვათა სპეციალური ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, ასევე მათთან ფუნქციურად ახლოს მდგომი შესიტყვებები და წინადადებები (წინადადების შემადგენლობაში ეს საშუალებები ჩვეულებრივ ავტონომიურ პოზიციას იკავებენ და ჩართულის როლში გვევლინებიან);

➤ სიტყვათა რიგი;

➤ შორისდებულები;

➤ სპეციალური ინტონაციური საშუალებები, რათა გამოვხატოთ გაკვირვება, ეჭვი, ურყეობა, უნდობა, პროტესტი, ირონია და სხვა ემოციურექსპრესიული ასპექტები, რომლებიც, როგორც წესი, გვიჩვენებენ სუბიექტურ დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ;

➤ კომპოზიციური ხერხები.

სუბიექტური და ობიექტური მოდალობების მნიშვნელობებსა და მათ გადმოსაცემ საშუალებებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. ორივე სახის მოდალობის გამოსახატავად ხშირად შეიძლება ერთი და იგივე ენობრივი საშუალებები იყოს გამოყენებული.

სუბიექტური მოდალობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი სახის მოდალობა:

I. მოლაპარაკის მიერ იმის შეფასების მოდალობა, თუ რამდენადაა იგი დარწმუნებული თავის ნათქვამში, თავისი ცოდნის სიზუსტესა და უტყუარობაში;

II. სურვილისა და ნებელობის მოდალობა.



სუბიექტური მოდალობის პირველი ტიპი შედის ეპისტემური მოდალობის სტრუქტურაში და აღნიშნავს მთქმელის მიერ იმის ცოდნის შეფასებას, რამდენადაა შესაძლებელი კავშირის არსებობა პრედიკაციის ობიექტსა და მის ნიშან-თვისებას შორის. შემფასებელი სუბიექტი გულისხმობს ამგვარი კავშირის არსებობას, რაც მისი აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს.

წინადადების შინაარსის უტყუარობის ხარისხი შესაძლოა განსხვავდებოდეს მთქმელის თვალსაზრისის მიხედვით; ამასთანავე, უტყუარობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება იმის დიდი ალბათობა, რომ ავტორის ნათქვამი ჭეშმარიტია და ობიექტურ სინამდვილეს ასახავს. ამაში ვლინდება კავშირი ობიექტურ და სუბიექტურ მოდალობებს შორის. ზემოთქმულის საფუძველზე უნდა გამოვყოთ მოდალობის შემდეგი ჯგუფები: ურყეობა / მერყეობა, რომლებიც გამოხატავენ შემდეგს:

- მსოფლხედვა – ცოდნა/არცოდნა;
- მსოფლხედვა – ვარაუდი;
- მსოფლხედვა – შეფასება.

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ მოდალობა ენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რამდენადაც მუდმივ მიმართებას ავლენს გამონათქვამსა და მის სემანტიკას შორის. ფართო გაგებით, მოდალური შინაარსისაგან სრულიად დაცლილი წინადადება თუ დისკურსი არ არსებობს. წინადადებით გამოთქმული შინაარსისადმი ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება - კოგნიტური, ემოციური თუ რაციონალური. მთქმელი ამ დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ სხვადასხვაგვარია მისი გამოხატვის საშუალებები. გამონათქვამისადმი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტების საშუალებით, ფოკუსით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და ჟესტიმიკებით.

(ნ. შარაშენიძე, <http://www.multilingualeducation.org> 29.02.2020 ).

### 1.3 პრაგმატიკა - მოდალური ფორმირების კომპონენტი

**პრაგმატიკა** (ბერძნ. **Pragmatos** – საქმე, მოქმედება) ენათმეცნიერებასა და სემიოტიკაში არსებული მიმართულებაა, რომელიც მეტყველებაში ენობრივი ნიშნების ფუნქციონირებას შეისწავლის.

მისი ფორმირება პირსის იდეების სტიმულირებასა და ჩარლზ უილიამ მორისის ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს უკავშირდება, რომლის თანახმად, სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა ნებისმიერი ნიშნის აუცილებელ განზომილებად და საკომუნიკაციო აქტის ძირითად კომპონენტებად გვევლინება..

ლინგვისტიკური პრაგმატიკა ისევე, როგორც ნებისმიერი ჰუმანიტარული დარგი, გარკვეულ ისტორიულ ფუნდამენტს ეფუძნება. აღნიშნული საკითხის იდეათა მემკვიდრეობითობის ძიებას კი, უპირველეს ყოვლისა, რიტორიკასთან მივყავართ.

საკუთრივ პრაგმატიკისა და რიტორიკის საერთო მახასიათებლებს მკვლევრები ამგვარად წარმოგვიდგენენ:

- წარმოდგენა ენაზე, როგორც ნიშანთა სისტემაზე, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გარკვეული მიზნებისთვის;
- ენის განხილვა, როგორც კონკრეტული მოლაპარაკის აქტისა; ენობრივი ქცევის ზოგიერთი წესის გამომუშავება კომუნიკაციის განსაზღვრულ პირობებში;
- „წმინდა“, დესკრიფციული გამონათქვამის უარყოფა;

ძირითადი კონცეპტის დადასტურება – მოლაპარაკის (რიტორის სახე კლასიკურ რიტორიკაში) ინტენცია;

(ც. ბარბაქაძე; <https://semioticsjournal.wordpress.com> 23.03.2020).

დ. კრისტალის მოსაზრებით, პრაგმატიკა ენის შესწავლაა მისი გამომყენებლების თვალსაზრისიდან, განსაკუთრებით იმ შეზღუდვების მიხედვით, რომელიც მოსაუბრის მიერ გამოყენებულ ენას აქვს სხვა მონაწილეებისთვის კომუნიკაციის პროცესში (კრისტალი, 1997: 67).

ჯ. იულის განმარტებით კი, პრაგმატიკა მოსაუბრის მეტყველების მნიშვნელობაზე ფოკუსირდება, რომლის ფარგლებშიც აქცენტი კეთდება იმ

ინტერაქციაზე, თუ რას გულისხმობს ხალხი საკუთარ გამონათქვამში, და არა იმაზე, თუ რას მოიცავს თავად ფრაზა (იული, 1996:3).

ჰანსონი პრაგმატიკულ გამოკვლევებში სამ დონეს გამოჰყოფს:

**I. პირველი დონე:** ინდექსური გამონათქვამების შესწავლა (ისეთი ფორმები, როგორებიცაა – მე, შენ, აქ, ახლა...), რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრება გამოყენების პირობებით, ესე იგი, სიტუაციური კონტექსტით;

**II. მეორე დონე:** გამოთქმული პროპოზიციისა და გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურის ურთიერთკავშირის შესწავლა (ისეთი გამონათქვამების, რომელთა ნამდვილი მნიშვნელობა არსებითად განსხვავდება მათი პირდაპირი მნიშვნელობისაგან);

**III. მესამე დონე:** მეტყველების აქტების თეორიის საკითხები.

ლინგვისტური პრაგმატიკის ძირითადი პოსტულატია - ენა მოქმედებაში.

საკუთრიც მისი ფუნქციონირების ასპექტებია:

- პროცესუალობა;
- კონკრეტული სოციალური განპირობებულობა;
- ზეგავლენის ფუნქცია;
- ადამიანის ქცევის რეგულირება.

შესაბამისად, პრაგმატიკული სემანტიკის ძირითადი კატეგორია-აზრის კატეგორიაა. ესე იგი, ის დამატებითი შინაარსი, რომელსაც ენა იძენს ენობრივი ურთიერთობის პროცესში და ის, თავის მხრივ, ინტერპრეტირდება ორი ურთიერთგანპირობებული მახასიათებლით:

I. კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სიტუაციის პარამეტრებით;

II. ურთიერთგაგების ფაქტორით.

(ც.ზარბაქაძე, <https://semioticsjournal.wordpress.com> 25.03.2020 ).

ფაქტია, რომ პრაგმატიკული ელემენტის შემოტანამ სემიოტიკურ კვლევებში მნიშვნელოვნად შეცვალა წინადადების საზრისის გაგება. თუ აქამდე სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები თვითკმარად ითვლებოდა, პრაგმატიკული განზომილების კვლევებში შემოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ აუცილებელია ამ ფენომენის გათვალისწინებაც.

ამგვარი ტრანსფორმაცია ნათლად აისახა ვიტგენშტაინის კვლევებში. მაშინ, როდესაც „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“ ის აიგივებდა აღსანიშნა და მნიშვნელობას (და, მაშასადამე იდგა ორფენოვანი სემანტიკის პოზიციაზე), გვიანდელ „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“ მნიშვნელობას განსაზღვრავდა, როგორც ენობრივი ნიშნის, უკვე გამოთქმის გამოყენების წესს.

საინტერესოა ამერიკელი ლინგვისტის, სერლის, კონცეფცია -რეგულატორული და კონსტიტუციური წესების რედუცირებული ფორმატის შესახებ. რომლის თანახმად, რეგულატორულ წესებს ნიშანთა მოწესრიგება- დალაგების ფუნქცია ენიჭებათ და მათ ქუჩაში მოძრაობის რეგულაციას ადარებს. ხოლო კონსტიტუციურს ამ ყველაფრის პარალელურად საზრისის მაკონსტრუირებელ დანიშნულებას სძენს; მაგალითისთვის კი თამაშის წესებს ასახელებს და ენობრივ აქტივობებს სწორედ თამაშის ტერმინებით აღეწერას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პრაგმატიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი ჯონ ოსტინმა და ჟან-ბლეზ გრიზიმ შეიტანეს. ოსტინის თეორიით, ნებისმიერი გამონათქვამი სამ ოპერაციად, სამ ქვეაქტად - ლოკუციად, ილოკუციად და პერლოკუციად იყოფა.

➤ **ლოკუციური ქვეაქტი** არის გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსი, მოცემული რეფერენტული სიტუაციის ინტერპრეტაცია. ეს აქტი გვიჩვენებს, რას ამბობს მეტყველი პირი.

➤ **ილოკუციური ქვეაქტი** ნებისმიერ ენობრივ ქმედებას ახასიათებს. ეს არის მეტყველი სუბიექტის განზრახვა, ინტენცია, ის თუ რა მიზნით იგება გამონათქვამი. ილოკუცია შეიძლება იყოს გამონათქვამის ზედაპირზე ან იგულისხმებოდეს მის სიღრმისეულ სტრუქტურაში.

➤ **პერლოკუციური ქვეაქტი** მოიაზრება, როგორც გამონათქვამის მიერ მსმენელზე მოხდენილი ეფექტი, შედეგი (ლებანიძე, 2004:249-250; პავო, 2003:211-212).

პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემა, რომელიც ასახავს ადრესატს, მის პოზიციას და გავლენას გამონათქვამზე, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

I. ინფორმაციულობის კატეგორია - გამონათქვამი „უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია“ (ლეზანიძე, 2004: 269).

II. ექსპრესიულობის კატეგორია - აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე. მიზანია ადრესატზე ზემოქმედება და განიხილება, როგორც სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს სამ წევრს: მე, ის (ვის ან რის მიმართაც გამოვხატავ ექსპრესიულობას) და ის (ვისთვისაც გამოვხატავ ექსპრესიულობას). ძირითადი წევრი სწორედ მესამეა (ლეზანიძე, 2004:271).

III. გამჭირვალობის კატეგორია - „გამონათქვამის გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის“ (ლეზანიძე, 2004:267). ის განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: გამონათქვამში ასახული რეფერენტული და საკომუნიკაციო სიტუაციის იდენტურობით (ორივე მონაწილისათვის); კომუნიკანტთა თეზაურუსების მსგავსი სახელდებით.

პრაგმატიკულ კატეგორიათა მესამე ქვესისტემა ასახავს ადრესანტსა და ადრესატს შორის ურთიერთმიმართებას, რომელიც შეისწავლა კერბრატ ორეკიონიმ. მან შეიმუშავა კომუნიკაციის ინტერაქციული სქემა, სადაც ვერტიკალურ დერძზე განთავსებულია ბლოკები, რომლებშიც ორივე კომუნიკანტის, როგორც მეტყველის, ასევე მსმენელის, საერთო მახასიათებლებია დაჯგუფებული. ესენია:

- ლინგვისტური და პარალინგვისტური კომპეტენცია;
- იდეოლოგიურ-კულტურული კომპეტენცია;
- ფსიქოლოგიური მხარე;
- დისკურსის ნორმები.

საკუთრივ პრაგმატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა კონტექსტი. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს კონტექსტის ორი ნაირსახეობა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური. ერთიც და მეორეც საზრისის დეტერმინაციას ახორციელებს, ოღონდ სხვადასხვაგვარად. ექსტრალინგვისტური კონტექსტი ითვალისწინებს მოლაპარაკის სოციალურ სტატუსს, მის კომპეტენციას, ვითარებას, რომელშიც გამოიყენება ენა, კონკრეტული ვითარების განმსაზღვრელ სხვადასხვა პარამეტრებს და ა.შ. რაც შეეხება ლინგვისტურ კონტექსტს, ის ახორციელებს კონკრეტული

გამოთქმის დეტერმინაციას ყველაფერი იმის საფუძველზე, რაც მანამდე ითქვა თემის შესახებ და გარდა ამისა, ყველაფერი იმითაც რის თქმასაც მოლაპარაკე აპირებს გამოთქმის შემდეგ თემის ირგვლივ.

რეზიუმეს სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაგმატიკა არის მოსაუბრის მნიშვნელობის, კონტექსტის შესწავლა, რადგანაც ის გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ნათქვამია. მის საყრდენ ცნებად კი გამოთქმა მოიაზრება, რომლის სპეციფიკა არა იმდენად წერილის, არამედ მეტყველების პრიმატით განსაზღვრული ერთეულია. პრაგმატიკული განზომილების კვლევის პროცესში სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება დაეთმო იმგვარი ფენომენის შესწავლას, როგორცაა განზრახვა ანუ ინტენციონალობა. ის პირდაპირ უკავშირდება გამონათქვამის მოდალურ ფუნქციას, როგორებიცაა დაპირება, თხოვნა, ინფორმაციულობა და ა.შ.

#### **1.4 დისკურსის ფუნქციური დატვირთვა ლინგვისტურ**

##### **აზროვნებაში**

XX საუკუნეში ფილოსოფიამ ლინგვისტური მოდელებისა და მეთოდებისაკენ იბრუნა პირი. ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომ კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზებაც სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური და სხვა. თავის მხრივ, ენათმეცნიერებმაც ზეფრაზულ ერთიანობებს, ანუ დისკურსს მიმართეს, რომელიც ტექსტის გარდა, არალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს, ისეთებს, როგორებიცაა ადრესატის განწყობა, მიზანი, შეხედულებები, თვითშეფასება, სხვათა შეფასება და სხვა. ფ. სოსიურის მიერ წარმოდგენილი დიქოტომიის თანახმად, ენა სამეტყველო

ქმედების ნაწილია, ნიშანთა სისტემაა, რომლებიც ცნებებს გამოხატავენ, მეტყველება კი ენის მანიფესტაციაა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება სხვადასხვა კონცეფციაში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული: ხან როგორც კოდისა და შეტყობინების, ხან პრაგმატიკისა და სემანტიკის, ხან ნორმისა და სტილის და ა. შ. (ომიაძე, 2006:20).

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბებას მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულსა და პრაგმატიკული ლინგვისტიკის განვითარების პარალელურად იწყებს.

ლინგვისტიკის გარდა, დისკურსის ფენომენი სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრშიცაა, როგორებიცაა, მაგალითად, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია. ლინგვისტიკაში დამკვიდრებამდე, ტერმინი დისკურსი კლასიკურ ფილოსოფიაში გამოიყენებოდა, სადაც ინტუიტიური ცოდნის საპირისპიროდ იყენებდნენ ტერმინს - დისკურსული ცოდნა. პირველად ენათმეცნიერების სფეროში ტერმინი დისკურსის ანალიზი ზელინგ ჰარისმა გამოიყენა. მან 1952 წელს გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „დისკურსის ანალიზი“, სადაც ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებული დისტრიბუციული მეთოდი გააანალიზა. ჰარისმა სტატიაში დისკურსი ისეთ ზეფრაზულ ერთეულად განიხილა, რომელიც ფრაზათა ერთობლიობისაგან შედგება (ჰავო, 2003:194), რის გამოც, თავდაპირველი მნიშვნელობით, დისკურსის ანალიზს ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმად მიიჩნევენ. ტერმინ „დისკურსის“ ახალი მნიშვნელობით ხმარება კი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

ფრანგული სკოლა დისკურსის ანალიზში ენობრივ წარმონაქმნებს ძირითადად, მათი პროდუცირების სოციალური პირობების გათვალისწინებით შეისწავლის, ხოლო ანგლო-საქსური მიდგომის მიხედვით, დისკურსის ანალიზი საუბრის ანალიზს უდრის. მისი ძირითადი პოსტულატი დისკურსის ინტერაქციული ხასიათია, რაც ზეპირი თუ წერიტი ვერბალური წარმონაქმნების გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს. ზოგადად, სამეცნიერო სივრცეში დისკურსის ანალიზის შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს. მენგენო თავის სტატიაში „დისკურსის ანალიზი და მისი საზღვრები“, დისკურსს მიიჩნევს, როგორც „სუპერლინგვისტიკის“ სახეობა,

სადაც ფორმა და ფუნქცია, სისტემა და მისი გამოყენება თანაარსებობენ“ (მენგენო, 2005:65). მან დისკურსის ანალიზის საგნად გამოყო „არა საკუთრივ ტექსტის შიდა ორგანიზაცია, არა საკომუნიკაციო სიტუაცია, არამედ გამონათქვამის მექანიზმი, რომელიც როგორც ტექსტის ორგანიზაციას, ასევე განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს აერთიანებს“ (მენგენო, 2002:43).

დისკურსის ანალიზის ჰარისისეულ განმარტებას ვხვდებით ჟაკ მოშლერთანაც, სადაც დისკურსი ზეფრაზული ერთეულების შესწავლის სინონიმად მიიჩნევა, ხოლო მის ანალიზს განსაზღვრავს, როგორც „ლინგვისტიკის ქვე-დისციპლინას, რომელიც კონცენტრირებულია სხვადასხვა საკითხზე (ანაფორა, ზმნის დრო, კონექტორები და ა. შ.) და ეყრდნობა ფრაზაზე აღმატებულ ერთეულს - დისკურსსა და იმ ცნებებს, რომლებიც მისი დეფინიციის საშუალებას იძლევა (კოჰერენტულობა, დისკურსული მეხსიერება და ა. შ.) (მენგენო, 2005:66).

მენგენომ თავის ნაშრომში „დისკურსის გენეზისი“, რომელიც 1984 წელს გამოაქვეყნა, დისკურსის განმარტებისას 7 ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა. ესენია:

➤ **ინტერდისკურსულობა** - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა დისკურსების სერიაში ჩართვის შედეგად იღებს.

➤ **ურთიერთგავლენა** - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. სხვის მიერ პროდუცირებული დისკურსები რამდენადმე გავლენას ახდენს ნებისმიერი დისკურსის კონსტრუირებაზე.

➤ **წესთა სისტემა** - დისკურსში არის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ დისკურსულ ფორმაციაში მისი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

➤ **ინტერდისკურსული კომპეტენცია** - სუბიექტს განათლების, აღზრდის, საზოგადოების გავლენით ხშირად გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ინდივიდი პროდუცირებს ისეთ დისკურსებს, რომლებიც მისი

➤ **ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის** შესაბამისია და განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამებს არაადეკვატურად აღიქვამს.



➤ დისკურსული პრაქტიკა - დისკურსი არ უნდა მივიჩნიოთ კონტექსტიდან ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემად, არამედ, იგი შეადგენს სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას.

➤ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა - დისკურსი უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში.

➤ სოციო-ისტორიული ფონი - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ყოველგვარ ენობრივ და ამდენად, სააზროვნო სპეციფიკას განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა (პავო, 2003:200-201). 2002 წელს შაროდომ და მენგენომ გამოსცეს „დისკურსის ანალიზის ლექსიკონი“, სადაც აღნიშნული ჰიპოთეზები ტრანსფორმირებული სახით არის განხილული.

დისკურსი ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზულ ერთეულს, რაც ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მისი სტრუქტურა აუცილებლად ფრაზაზე დიდ ერთეულს უნდა უდრიდეს.

დისკურსი ორიენტირებულია, რადგან მას მეტყველი გარკვეული მიზნით ქმნის. ამასთანავე, ის დასასრულისკენაა მიმართული, მიმდინარეობს დროში, აგრეთვე, შინაგანი სტრუქტურით ინტერაქციულია ყოველთვის, მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მას კონკრეტული ადრესატი ან მისი თანდასწრებით იქმნება თუ არა დისკურსი.

დისკურსი კონტექსტუალიზებულია, იქედან გამომდინარე, რომ გამონათქვამს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ კონტექსტში ჩართვის შემდეგ. ამასთანავე, ის კონტექსტის განსაზღვრას უწყობს ხელს და გამონათქვამის პროცესში მისი მოდიფიკაციაც შეუძლია.

გარდა ამისა, დისკურსი მხოლოდ მაშინ არის დისკურსი, როდესაც მას რომელიმე ინსტანციას მიაკუთვნებენ, რომელიც არის წყარო მოქმედი პირის, მოქმედების დროის და ადგილის და იმავდროულად მიუთითებს, როგორია მისი

დამოკიდებულება ერთი მხრივ იმისადმი, რასაც ამბობს და მეორე მხრივ, მისი თანამოსაუბრისადმი.

ის **მართულია ნორმებით**. ვერანაირი სამეტყველო აქტი ვერ შედგება, თუ მას არ გააჩნია ნორმები, რომლითაც იგი ასეთად უნდა ჩამოყალიბდეს. თითოეული სამეტყველო აქტი ეწერება დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში და ამით ხელს უწყობს მის ასეთად დაკანონებას, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ მეტყველების დროს.

დისკურსი მოიაზრება მხოლოდ **ინტერდისკურსში**. მას აზრი აქვს მხოლოდ სხვა დისკურსების სამყაროს შიგნით, რომელშიც იგი გზას იკვლევს. უკვე მისი ამა თუ იმ ჟანრში მოქცევის ფაქტი გულისხმობს მის დაკავშირებას განუსაზღვრელი რაოდენობის სხვა დისკურსების ერთობლიობასთან (**მენგენო, 2002:185**).

აქვე მიზანშეწოლილად მიგვაჩნია, განვიხილოთ კიდევ ერთი ცნება, რომელიც სამეტყველო მოქმედების გასაგებად გვჭირდება ტერმინი „**რეფერენცია**“. მოდის ინგლისურენოვანი გამოთქმიდან „**to refer to**“, რაც „შესაბამისობაში ყოფნას“, „შესტყვისობას“, „შეთანადებას“ გულისხმობს.

რეფერენცია გულისხმობს ენობრივი გამოსახულების შესატყვისობას შესაბამის ობიექტთან. ამ ტერმინის შემოტანა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს, რომ აღმნიშვნელის ცნება ვერ ფარავს ენობრივი საშუალებების ობიექტებთან შესაბამისობის ყველა შემთხვევას. კერძოდ, აღმნიშვნელი ფრაზის ძირითადი ფუნქცია მნიშვნელობის მატერიალური გამოსახვაა, ხოლო რეფერენცია არკვევს იმას, მოდის თუ არა ეს ფრაზა ან მნიშვნელობა შესაბამისობაში, გნებავთ ვუწოდოთ, შეხებაში იმ ობიექტთან რომელზედაც ის არის გამიზნული.

კომუნიკაციის ფუნქციასთან ერთად, მხატვრული ტექსტის ესთეტიური ფუნქცია ძირითადია. მხატვრულ ტექსტში ესთეტიური ფუნქციის გამოხატვის გამოვლენის ძირითადი სფეროა სინამდვილის ხატოვანი განზოგადოების განსახიერება, რაც შემეცნებით თვისებებსა და დიდ ემოციურ მუხტს შეიცავს და კონცენტრირებას ახდენს შემოქმედის მიერ სამყაროსადმი დამოკიდებულების ზოგად გაშლაში, პოეტური ტონალობებისა და ემოციური აქცენტების რთულ სისტემაში, ასევე ადამიანის ემოციების რთული სულიერი მდგომარეობის გადმოცემაში (**ხრაპჩენკო, 1987:502**).

უნდა აღინიშნოს ის, რომ მხატვრული ტექსტის მეორადი სემიოტიკური სისტემა უშუალოდ დაკავშირებულია სხვა სემიოტიკურ სისტემასთან, კულტურასთან, რადგანაც „მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში პოტენციურად ჩართულია მისი ეპოქის მთელი ენობრივი კულტურის სიმბოლოები“ (ვინოგრადოვი, 1980:68). მხატვრული დისკურსის ანალიზი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კომუნიკაციურ პროცესთან, არ შეიძლება მოწყდეს არავერბალურ სიტუაციურ კორელატებს, რადგანაც განცდებისა და ემოციების გადმოცემა რეალიზდება არა მხოლოდ ენობრივი საშუალებების მეშვეობით, არამედ ასევე თავის გამოხატულებას პოულობს პარალინგვისტურ საშუალებებში, რომელთა კომბინაციაც მოდალობის ერთიან შრეს ქმნის, როგორც ავტორის ინდივიდუალიზმის, ისე მკითხველის სუბიექტური აღქმის სინთეზით..

მხატვრულ ტექსტში (დისკურსში) ყველაზე რთული ინფორმაცია შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციაა, რადგანაც ფარულია, რომელიც შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციიდან გამომდინარეობს. იგი ენობრივი ერთეულების მეშვეობით ქმნის ასოციაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს. ასევე ზეფრაზული ერთეულების შიგნით იძენს მნიშვნელობებს. ამიტომაც, რომ მხატვრულ ტექსტს არა მხოლოდ იმის გადმოცემა შეუძლია, რასაც გამოხატავს, არამედ იმისაც, რაც ტექსტშია ჩადებული ასოციაციებითა და კონოტაციებით, რომლებიც ზოგჯერ გააზრებულიც კი არაა (გალპერინი, 1981:27-28).

შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის საფუძველია ინდივიდუალური აზრობრივი კონტექსტი, რომელიც ურთიერთგადაბმული აზრობრივი ერთეულების სისტემას წარმოადგენს. აზრობრივი ერთეულები კი იქმნება ორი ტიპის მახასიათებლებისაგან: საერთო და ინდივიდუალური. კონტექსტი განისაზღვრება როგორც ფორმალურად ფიქსირებული პირობების ერთობლიობა, რომლის დროსაც ერთმნიშვნელოვნად ვლინდება ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა (კალშანსკი, 1959:47).

გადმოსაცემი ინფორმაციის სირთულე პირადპირპროპორციულადაა დამოკიდებული მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის სირთულეზე. შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანია.

ქვეტექსტი, ყოველთვის ახალია წარმოსახვაში უშუალოდ მოცემულთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, ქვეტექსტი იგივე დამოკიდებულებაშია ტექსტთან მიმართებაში, როგორც რემა თემასთან, თუკი წინადადების აქტუალური დანაწევრების ტერმინს გამოვიყენებთ. ამავე დროს ქვეტექსტი ერთგვარი “დიალოგია” ინფორმაციის შინაარსობრივ-ფაქტობრივ და შინაარსობრივ-კონცეპტუალურ მხარეებს შორის. ინფორმაციის ეს ორი ნაკადი პარალელურად მიედინება. ერთი გამოხატულია ენობრივი საშუალებებით, მეორე კი წარმოიქმნება ამ ნიშნების პოლიფონიით, ზოგ წერტილებში ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან კიდევ, ზოგან კი ერთმანეთს უპირისპირდებიან. მათ შესაყარზე ჩნდება შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია (გალპერინი, 1981:48). ქვეტექსტის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია მისი გაუფორმებელი და განუსაზღვრელი ბუნება, რაც თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა (გალპერინი, 1981:43).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს. მასში თავმოყრილია განსაზღვრული სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ორგანიზებული ტექსტების რაოდენობა, რომელთა ინტერპრეტაცია მკვლევარის ინტენციაზეა დამოკიდებული. იმდენად რამდენადაც დისკურსი, როგორც ტექსტების ფორმაცია, ნაწილებისაგან

შემდგარი მთლიანი წარმონაქმნია, იგი მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ასევე დისკრეტულ ერთეულებად დაყოფას და მათ ინტერპრეტაციას ადეკვატური მეთოდებით (პეტელავა, 2012:4).

## თავი II

### 2.1 მოდალობის ფუნქციური ანალიზი ქართულ ლინგვისტიკაში

მოდლობის კატეგორიის კვლევისას უპირველესად დგება საკითხი იმის შესახებ, რა სახის კატეგორიას განეკუთვნება იგი - არის მხოლოდ სემანტიკური კატეგორია, თუ - სემანტიკურ-გრამატიკული? საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ პალმერი ცალსახად პასუხობს, რომ მოდალობა განეკუთვნება სემანტიკურ-გრამატიკულ კატეგორიათა რიცხვს (**palmeri, 2013: 1**).

მოდლობა გულისხმობს მთქმელის დამოკიდებულებას ფაქტისადმი, მის მოსაზრებას ფაქტის შესახებ, მაგრამ ენაში განსხვავებული სისტემით ვლინდება. ზოგ ენაში ამ დამოკიდებულებას სპეციალური მოდალური ზმნები გამოხატავენ, ზოგ ენაში კი - ნაწილაკები. გარდა ამისა, გამონათქვამის შინაარსს განაპირობებს იმ კატეგორიათა მონაცემებიც, რომლებიც შესიტყვებაში აისახება.

ქართული ენისათვის ეს მით უფრო თვალსაჩინოა, როცა მოდალური სემანტიკის გამომხატველი ფორმა ძირითადი ზმნის ფორმას უკავშირდება, ხოლო შედეგად კი კომპლექსურ, რთულ სემანტიკას იღებს. ამ შინაარსში აუცილებლად აისახება როგორც მოდალური ელემენტის სემანტიკა, ასევე მნიშვნელობები, რაც ძირითად ზმნას აქვს.

მოდალური ნაწილაკი რომელიმე მწკრივის ფორმას დართვის, მწკრივი კი ქართულში რთულ კატეგორიად განიხილება და იგი მოიცავს როგორც პირისა და რიცხვის, ისე დროის, კილოს, ასპექტისა და, გარკვეულ შემთხვევებში, სხვა კატეგორიებსაც. ამდენად, მოდალობის კატეგორიის კვლევისას სწორედ ეს კომპლექსური სემანტიკა იქნება გასათვალისწინებელი (**შარაშენიძე, 2020: 183**).

საკუთრივ ქართულ საენათმეცნიერო ნაშრომებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ლინგვისტიკაში მოდალობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებთან ერთად აქტიურად ისმის კითხვა, - მოდალობა - ტექსტის რელევანტური კატეგორიაა თუ სინტაქსური მოდუსი?

სპეციალისტთა უმრავლესობა მოდალობას არ მიიჩნევს ტექსტის ცენტრალურ და არსებით (რელევანტურ) კატეგორიად. მართლაც, მოდალობა უმეტესწილად ოდენ

წინადადების დონეზე განიხილება. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არიან ისეთი ლინგვისტებიც, რომლებიც ზემოხსენებულ გავრცელებულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან და ფიქრობენ, რომ მოდალობა ტექსტის ერთ-ერთი უზოგადესი მახასიათებელია. თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით, ტექსტის კატეგორიათა სისტემის კვლევისას მოდალობას უსათუოდ უნდა მიეჩინოს თავისი კუთვნილი ადგილი; აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ხშირად ტექსტში რეალიზებული წინადადების მოდალობა სულაც არ ემთხვევა ტექსტისას, თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს ტექსტის მონაკვეთებში რეალიზებული მოდალობების ჯამს. ფაქტია, რომ ტექსტის დონეზე ეს მოდალური მიმართებები სახეს იცვლიან და ტექსტის ზოგად მახასიათებლებად გვევლინებიან. აღნიშნულია, რომ "მოდლობა ტექსტის თავისებურებაა. წინადადების დონეზე იგი საკმაოდ სუსტია და ღარიბი. მოდალობა ნადვილ ფუნქციას ტექსტში გვიჩვენებს, ტექსტში ამჟღავნებს სუბიექტი თავის გრძნობებს, სურვილებს, შეფასებას, სიმპათიას, ანტიპათიას სინამდვილისადმი (თქმულისადმი)" (ჭილაშვილი, 2002: 277).

მოდლობის კატეგორიაზე საუბრობს ალ. ლლონტი „ქართულ წინადადებაში“ სადაც წერს, რომ “წარმოთქმის მოდალური იერის მიხედვით წინადადება გვაქვს: თხრობითი, კითხვითი, კითხვა-მახილისა. ამავე დროს თითოეული მათგანი შეიძლება იყოს დადებითი (წართქმითი) და უარყოფითი (უკუთქმითი)” (ლლონტი, 1996: 65).

ხსენებულ ტენდენციას რომ შემთხვევითი ხასიათი არ აქვს, კიდევ ერთი ნაშრომით შეიძლება გავხადოთ თვალსაჩინო: ეს გახლავთ ნიკანდრო ბასილიას ნაშრომი, რომლის სათაურიც კი გარკვეულ თვალსაჩინოებას წარმოადგენს ამ მხრივ "წინადადების ტიპები მტკიცებისა შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით". ნაშრომის ავტორი წერს: "წინადადება შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის (სხვაგვარად – რაგვარობის) მიხედვით არის სხვადასხვა ტიპის, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევა იმის მიხედვით, თუ რა მიზნით, რა შინაარსის გამოსახატავად იყენებს მას ადამიანი ზეპირი ან წერილი მეტყველების დროს. ერთ შემთხვევაში მოუბრის მიზანი შეიძლება იყოს, გადმოსცეს სხვა პირის რაიმე ამბავი (მაგ.:კარგად წაიკითხე), მეორე შემთხვევაში – სხვა პირისაგან გაიგოს ის, რაც მისთვის

არ არის ცნობილი ან გასაგები (კარგად წაიკითხე?), მესამე შემთხვევაში კი დაევალოს, უბრძანოს ან სთხოვოს სხვა პირს საჭირო მოქმედების შესრულება (კარგად წაიკითხე!). ე. ი. წინადადებით გამოიხატოს თხოვრა, კითხვა ან ბრძანება" (ბასილაია, 1983: 38).

მოდალობის საკითხს განიხილავს ი. გეგეშიძე თავის სტატიაში მოდალობა“, „ზმნის კილო“ და „რაგვარობა“ ქართულში,“ სადაც ამ სამი ცნების აღრევასა და აქედან გამომდინარე, იმ უხერხულობებზე საუბრობს, რომელსაც მათი გაუდიფერენცირება განაპირობებს და აღნიშნავს, რომ “წინადადების რაგვარობა სინტაქსური კატეგორიაა და გულისხმობს იმას, თუ როგორია წინადადება შინაარსის მიხედვით; კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა და გვიჩვენებს, რომ “მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდო, ან კიდევ როგორც შესასრულებელი.“ რაც შეეხება მოდალობას, იგი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და გამოხატავს ნათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა მოდალობის სამი სახე:

- I. მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებისადმი.
- II. მოქმედების დამოკიდებულება ნათქვამის შინაარსთან.
- III. ნათქვამის შინაარსის მიმართება სინამდვილისადმი (რეალურობა არარეალურობის თვალსაზრისით) (გეგეშიძე, 2005: 65).

აღნიშნულთან დაკავშირებით ი. გეგეშიძეს ვეთანხმებით იმაში, რომ მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და გამოხატავს ნათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილისადმი, თუმცა ის ასე ცალსახად არ ემიჯნება წინადადების რაგვარობას, და გარკვეულწილად მოდალობა მოიცავს მას.

საბოლოოდ თუ გავითვალისწინებთ და შევაჯამებთ ყოველივე ზემოთ თქმულს შეიძლება ითქვას შემდეგი:

➤ ცნებათა და, შესაბამისად, ტერმინთა გარჩევა-გამიჯვნა აუცილებელზე აუცილებელია, თუმცა ისიც მართალია, რომ მოდალობის, ზმნის კილოსა და წინადადების შინაარსობივი ჯგუფების ურთიერთკავშირი, რა თქმა უნდა, ცხადზე უცხადესია, განსაკუთრებით კი ისეთ ენაში, როგორიც ქართულია.

➤ მოდალობა სემანტიკური თუ ლიგვისტური კატეგორიაა? ეს იგივეა დავსავთ კითხვა -2-იანი ციფრია თუ ლუწი, ვფიქრობთ, მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ენათმეცნიერების ერთ-ერთ აუცილებელ დასაკვირვებელ კომპონენტს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც გვსურს ენის საფუძვლიან შესწავლაზე საუბარი.

კვლევისას პირობითად შემოვიტანთ ტერმინებს: კითხვითი მოდალობის **ორგანული** და **აღწერითი წარმოება**. პირველში ვგულისხმობთ უკითხვითსიტყვო შესიტყვებებს, მეორეში – კითხვითსიტყვიანს. ვცდილობთ, ხსენებული ტერმინებით მაქსიმალურად ცხადად გამოვხატოთ ჩვენი სათქმელი.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვით, გამოყოფენ ხუთი სახის წინადადებას. ესენია:

➤ **თხრობითი** – გვაწვდის რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის შესახებ დადებით ან უარყოფით ფორმაში.

➤ **კითხვითი** – რომელიც კითხვას შეიცავს.

➤ **ბრძანებითი** – გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას, ბრძანებას.

➤ **მახილის** – გადმოგვცემს ადრესანტის გრძნობებსა და ემოციებს.

➤ **კითხვით-მახილის** – ერთდროულად გრძნობა-ემოციასა და გაკვირვებას, კითხვას მოიცავს.

ნაშრომის მეორე თავში ყურადღებას სრულად კითხვით მოდალობაზე შევაჩერებთ, რომელიც, ერთი მხრივ, მრავალფეროვან სურათს გვიხატავს ქართულ სამწერლობო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში, მეორე მხრივ, კი ნაკლებადშესწავლილ პრობლემას წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს და საკითხს აქტუალურს ხდის.

თუ წინადადების ტიპები უპირისპირდება ერთმანეთს მოდალობის მიხედვით, კითხვითი წინადადებები განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ აზრის განსაკუთრებულ ფორმას – კითხვას. მათი კომუნიკაციური დანიშნულება, ინფორმაციის გადაცემა კი არ არის, არამედ ზემოქმედების მოხდენა ინფორმაციის მიღების მიზნით.



კითხვითობა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული კომუნიკაციური ინტენცია, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზანი აქვს. ის მანიფესტირდება კითხვით სამეტყველო აქტებში, რომლებიც შესაბამისი მიზანმიმართულებებით ხასიათდებიან.

მკვლევართა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ კითხვითი სამეტყველო აქტები ეფუძნება კითხვით წინადადებებს და მათ, თავის მხრივ, უპირისპირებენ კითხვით გამონათქვამებს. შესაბამისად, განმარტავენ ამ ორ ცნებას.

კითხვით წინადადებად განიხილავენ უშუალოდ ისეთ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც რეალურად შეიცავენ კითხვის სემანტიკას, რაც შეეხება, კითხვითი მოდალობის გამონათქვამებს, კითხვითი წინადადების აქტუალურირებულ ვარიანტებად მიიჩნევენ, რომელთა შინაარსიც პრაგმატიკით განისაზღვრება და, ხშირ შემთხვევაში, სცილდება კითხვით მოდალობას.

ქართულ გრამატიკაში ტრადიციული განმარტების მიხედვით, კითხვითია წინადადება, რომელიც შეიცავს კითხვას.

ის ორი სახისაა: კითხვითსიტყვიანი და კითხვითი სიტყვის არმქონე ანუ უკითხვითსიტყვო. საზოგადოდ კითხვითი წინადადება ინტონაციურად მრავალგვარია, თუმცა მათი უმრავლესობა მაინც ჯგუფდება ზემოთ დასახელებული ორი მთავარი ტიპის გარშემო.

კითხვითი წინადადების ბოლოს იწერება კითხვის ნიშანი. ქართულში კითხვითი წინადადების გამოხატვის საშუალებებია:

- კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები;
- სპეციფიკური ინტონაცია.

კითხვითსიტყვიანი წინადადება შეიცავს კითხვით ნაცვალსახელებს, კითხვით ზმნიზედებსა და კითხვით ნაწილაკებს (ვინ, რა, რომელი, როგორი, განა, თუ, ხომ). ასეთ წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები წინადადების წევრებად გვევლინებიან, კითხვითი ნაწილაკები კი წევრები არ არიან.

აღსანიშნავია, რომ კითხვით წინადადებაში შესაძლოა იყოს ორი ან მეტი კითხვითი სიტყვა (განა ტყუილად ხომ არ მოვიდოდა?).

უკითხვითსიტყვო წინადადება მხოლოდ ინტონაციით გამოხატავს კითხვას. ამ ტიპის წინადადებაში კითხვითი ინტონაცია მოდის შემასმენლის ბოლო მარცვალზე.

ამ უკანასკნელთან მიმართებაში სხვა ვითარება იყო ძველ ქართულში, მხედველობაში გვაქვს „ა“ და „მე“ ნაწილაკიანი შესიტყვებები, თუმცა ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

თანამედროვე ლიტერატურულ წარმოთქმაში სრული ერთგვარობა და გარკვეულობაა მაშინ, როცა ზმნას წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს; ინტონაცია აღმავალია. კითხვის მახვილს ატარებს ბოლო მარცვალი, რომელიც გაგრძელებულად წარმოითქმის.

როცა შემასმენელი არ არის წინადადების ბოლოში, კითხვითი მახვილი მაინც მას გადაჰყვება, წინადადების დასასრულს ტონი დაბლდება, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას თხრობითში აქვს ადგილი. ინტონაცია აღმავალ-დამავალია.

ზოგჯერ თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი არა, ან დადასტურებისა – ხომ, რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს. ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი, სიტყვა-წინადადების ბადალია და კითხვის მახვილიც სწორედ მასზეა.

კითხვით მოდალობაზე საუბრისას მასალის უდიდესი ნაწილი მარტივი წინადადების ფარგლებში განიხილება, გამომდინარე აქედან, მიზანშეწოლილად მიგვაჩნია, შევეხოთ და რამდენადმე დავახასიათოთ სხვა აგებულების წინადადებებიც; მხედველობაში გვაქვს შერწყმული, რთული ქვეწყობილი და პარატაქსული კონსტრუქციები.

ზემოაღნიშნულის დასახასიათებლად პროფესორ ლეო კვაჭაძის „სინტაქსით“ ვიხელმძღვანელებთ (კვაჭაძე, 1996: 125-130).

შემასმენლის მიხედვით შერწყმულ წინადადებაში კითხვა შეიძლება ეხებოდეს ყველა შემასმენელს და შეიძლება არა. მაგალითად:

- მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენრად ტოკავდა მისი გული? (ყაზ. 87);
- ხარჯი არ დამიკლია, თავი არ დამიზოგავს, სალარო თითქმის დავაცარიელებ და მეტი რა მექნა? (წერ. 138).

პირველ წინადადებაში კითხვა ეხება ორივე შემასმენელს, მეორეში – უკანასკნელს, მეოთხეს.

რთულ თანწყობილ წინადადებაში კითხვითია ყველა მასში გაერიანებული წინადადება, ანდა ერთ-ერთი (ჩვეულებრივ უკანასკნელი):

- რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის მეტყვის იგი მე? (ჭავ. 45);
- ბეჟანი რაღას ფიქრობდა, ან დაობლებულს ბატკანს რა დაემართა? (ვაჟა. 48).
- მამალი და კოდალა ყველაფერს კარგად ჰხედავდნენ დაბლა, ხოლო იმათ ვინ დაინახავდა? (ვაჟა. 123).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვა ჩვეულებრივ მთავარს ეხება, რომელშიაც შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვა (თუ ნაწილაკი) და შეიძლება – არა. კითხვითი ინტონაცია მთავარს ახლავს. მაგალითად:

- რომელ უბედურებას დაემორჩილებინა ისინი, ვინც ისე სიცილით და უზრუნველად სიკვდილს წინ ეგებებოდა ამ რამდენსამე წლის წინათ? (ყაზ. 129);
- ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? (ჭავ. 67);
- მეც მგზავნი საომრად, დედისერთასა, რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად? (ჭავ. 123);
- ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა? (ჭავ. 125).

თუ მთავარი გამოტოვებულია, კითხვის მახვილი დამოკიდებული წინადადების უკანასკნელ სიტყვის ბოლო მარცვალზეა. მაგალითად:

- მე ვარაუდით მივხდი, რომ ორმოცია! – რომ არ იყოს ორმოცი? (ჭავ. 131).

## 2.2 კითხვითი ა' და მე' ნაწილაკისათვის ქართულში

ქართულის კითხვითი ნაწილაკებია: ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ. ძველ ქართულში ისეთ კითხვით წინადადებაში ხშირად მოიპოვებოდა კითხვითი ა ნაწილაკი, რომელიც წინადადებას კითხვითად აქცევდა.

ა'- ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთვოდა, მიუხედავად იმისა, სად იყო წინადადებაში: თავში, ბოლოსა თუ შუაში.

კითხვითი ა'-ს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი “უნდა მომდინარეობდეს ჰა-დან, რომელსაც ჩვენ ახლაც წარმოვთქვამთ. შეკითხვისაც ხევსურები ჰა-სთან ერთად ჰე-საც ამბობენ. უფრო ხშირად დამახების პასუხად ამბობენ ხოლმე: “ჰაა ბეწუკანავ! ჰე, ჰეე?” (ჭინჭარაული, 1960:187).

ქართულ ენათმეცნიერებაში არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის ავტორიც ე. ბაბუნაშვილია: “წარმოშობის თვალსაზრისით, ძველი ქართულის კითხვით ა'-ნაწილას ვერ დავუკავშირებთ ვერც უარყოფით არა-ს და ვერც ახალი ქართულის ჩაკითხვით ჰა-ნაწილას” (ბაბუნაშვილი, 1953:131).

ორივე მოსაზრებას ჰიპოთეტურად აფასებს მ. ფაღავა და საკითხის განსახილველად დამატებითი კვლევის საჭიროებაზე საუბრობს (ფაღავა, 2009: 29).

ძველ ქართულში კითხვითი-ა' იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ გვაქვს კითხვითი სიტყვა (ვინ, რაა, რომელი, სადა, ოდეს..) ა.შანიძის დაკვირვებით, “იგი ერთვოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უდეტრს), უმეტესად მაინც ზმნას” (შანიძე, 1980: 608). მაგალითად: შენ ჩემდა მოხუალა? (მთ. 14).

ა'-ნაწილას ეტიმოლოგიისაგან განსხვავებით, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ერთიანობაა ა'-ს ფუნქციის შესახებ.

პლატონ იოსელიანი მას კითხვით ოდენობად მიიჩნევს: “ზმნანი ოდესმე შეიქმნებიან კითხვითად მიმატებითა დაბოლოებითისა მარცუალისადმი ასოდსა -ა' (იოსელიანი, 1963: 64).

ა'-ს ასევე კითხვით ნაწილაკად თვლიან დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილი, 1987: 2), ა. შანიძე (შანიძე, 1980: 608), ე. ბაბუნაშვილი (ბაბუნაშვილი, 1953: 247) და სხვანი.

ა'- ნაწილაკი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მწერლობაშიც გვხვდება, ცოცხალია ამჟამადაც ქართულის ზოგ კილოში, დასტურდება მეცხრამეტე საუკუნის ავტორებთანაც.

კითხვითი ა'-ნაწილაკი მიჩნეულია საერთოქართველურ კუთვნილებად. ა'-ს ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

აქვე გავარკვიოთ საკითხი: იყო თუ არა უძველეს ქართულში კითხვითი ა'-ნაწილაკი მახვილიანი? კვლევისას უნდა მივმართოთ მონათესავე ენათა და ქართული ენის იმ დიალექტთა მონაცემებს, რომლებშიც ჯერ კიდევ ცოცხალია აღნიშნული ნაწილაკი.

მეგრულში ა'-ს ფარდი კითხვითი ნაწილაკია – **ო**, რომელიც ზმნას დაერთვის. ასეთ წინადადებაში კითხვის მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სვანურსა და ჭანურშიც, რასაც ვერ ვიტყვით ზოგიერთ დიალექტზე, მათ შორის ფშაურ კილოსა და ზემო-რაჭულზე, სადაც ერთ შემთხვევაში კითხვითი მახვილი შემასმენლის პირველ მარცვალზე ფიქსირდება, ხოლო მეორე მხრივ – ა'-ს წინამავალ მარცვალზე ხდება ხმის ამალღება.

ა.შანიძე წერს: “თუ სალიტერატურო ენის დღევანდელ ვითარებას მივაქცევთ ყურადღებას და ვივარაუდებთ, რომ კითხვით ა'-ნაწილაკიან სიტყვაში მახვილი იქვე ზის, სადაც ძველად უნდა ყოფილიყო, უნდა ვთქვათ, რომ მახვილი ა'-ნაწილაკს არ უნდა ჰქონოდა (როგორც არ აქვს მის შესატყვის ო-ნაწილაკს მეგრულში), მახვილი უნდა ჰქონოდა იმის წინას: **შენ ხა'რა?** (სი რე'ქო?) [ა. ჩიქობავას დაკვირვება]. უმახვილო ა' დასუსტებულა და შემდეგ სულ გადავარდა (**შანიძე, 1980: 608**).

სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში მახვილი კითხვით ა' ნაწილაკზე მოდიოდა. უნდა გვქონოდა “**უწყია' ხუცეს?**” და არა “**უწყი'ა ხუცეს?**”

საფიქრელია, რომ კითხვით ა' ნაწილაკიან სიტყვებში ორი მახვილიც გვქონდა, რომელთაგან ერთი სწორედ ამ ნაწილაკს ეცემოდა, როგორც ამას ნ. მარი და მ. ბრიერი ვარაუდობენ (**Marr, Briere, 1931: 27.** )

ე. ბაბუნაშვილის დაკვირვებით, კითხვით ა'-ს დაკარგვა “დაწყებულია უკვე ძველ ქართულში. ამას ნათელყოფს ოთხთავის პარალელური რედაქციების შედარება: ერთ რედაქციაში კითხვითი-ა' არის, მეორეში კი-არა” (**ბაბუნაშვილი, 1953: 129**).

კითხვითი ა' დაკარგა სალიტერატურო ენამ და დიალექტთა ერთმა ნაწილმა. დღემდე შემოინახა იგი ზოგიერთმა კილომ. მახვილიანი რომ არ ყოფილიყო კითხვითი ა', ძველ ქართულშივე დაიკარგებოდა. მახვილი ამაგრებდა მას სიტყვის ბოლოს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ქართული ენის ზოგიერთი კილოს მონაცემები. კერძოდ, მახვილიანია იგი თუშურში, ამ მოსაზრებას ამყარებს სამხრული კილოების

მონაცემებიც, სადაც კითხვითი ა' ცოცხალია და მახვილიც სწორედ მასზე მოდის. მაგალითად:

- **მუჭაჯირები:** ინათიანი ხარა'? (ქ.დ.40);
- **შავშური:** ინეგოლს შიგან ხარა'?; ისა არია'?; იქევრობას ცნობილოფსა'? (ქ.დ.43);
- **კლარჯული:** ტანზე რასა ვიცვამთა'?; (ქ.დ.43)
- **მეა' თუ?;** (ქ.დ.54);
- **დღეს ქორწილი არია?;** (ქ.დ.44);
- **სადამოს ვჭამა' ა?;** (ქ.დ.45);
- **ტაოური:** შენ ხარა'? (ქ.დ.56);
- **მეა'?** (ქ.დ.57);
- **ამა ვიმღერიმეა' თუ?(ქ.დ.57).**

დღეს აჭარულში კითხვითი ა' აღარ იხმარება. მაგრამ მისი არსებობა მუჭაჯირთა შთამომავლობის მეტყველებაში მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ იგი ისტორიულად აჭარულისთვისაც იყო დამახასიათებელი და ის გავრცელებული იყო მთლიანად სამხრულ მეტყველებაში.

მახვილიანია კითხვითი ა' სვანური ენის ლენტეხურ კილოში.მ.ქალდანის დაკვირვებით, “სვანური ენის ლენტეხურ კილოში, როგორც წესი, მახვილი მუდამ ნაწილაკისეულ უ' -ზე მოდის.(ქალდანი, 1964 : 229).

ამრიგად, კითხვითი ა'ს მახვილიანობა თუმურსა და სამხრულ კილოებში, ასევე სვანური ენის ლენტეხურ კილოში უძველესი ქართულის (//ქართველური ენების) ვითარებას ასახავს.

საშუალო ქართულში ა' უკვე იშვიათად გვხვდება. მას სპორადულად ვხვდებით “ვისრამიანში”, “ამირანდარეჯანიანში”, “რუსუდანიანში”, “ქართულ საისტორიო საბუთებსა” თუ საშუალო ქართულის სხვა ძეგლებში.

ახალმა სალიტერატურო ქართულმა კითხვითი ა' ნაწილაკი არ იცის. კითხვითი ა' ცოცხალია ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. „მთის კილოებში, მოხეურს გარდა, კითხვის გამოსახატავად სიტყვას ა'ნი დაესმის: **არ გესმისა? (= არ გესმის?); მენა? სხვ**” (შანიძე, 1981: 23).

ხევსურულში ამ ნაწილაკის ხმარებას ახლავს ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ: როცა „რა“ ნაცვალსახელს კითხვითი ა' უნდა დაერთოს, მას ჯერ სახელობითის „ი“ გაუჩნდება ხოლმე: „**ეგ ბრალ რაია' ჩვენია?**“ (ჭინჭარაული, 1960: 61). დანარჩენ შემთხვევებში კი ა' იმავე პოზიციაში იხმარება, როგორმც სამწერლობო ქართულში იხმარებოდა:

- შამოუძახა თუშებსა: აღარვინ ხართა' მლიანი? (ხალხ.პოეზ. 33).
- ნეტარ ქათამს ვერ მივსცემდია', მისურაულსა მლიანსა? (ხალხ.პოეზ.6).

ხევსურულ დიალექტში გვხვდება ასეთი ფორმებიც: „**გაქესაე?**“ „**გაქსონსაე?**“ ა. ჭინჭარაულის აზრით, ეს ე' „შესაძლოა ისევე მოდიოდეს ჰე-დან, როგორც ა' \_ ჰა-დან“ და ისეთივე ნაწილაკი იყოს, როგორც ა (ჭინჭარაული, 1960: 185-187). თუ ეს ასეა, როგორც-ა' მაშინ სიტყვაში მათი ერთდროულად გამოყენება იმით უნდა აიხსნას, რომ ერთ-ერთის ფუნქცია დავიწყებას ეძლევა. სხვანაირად აუხსნელი დარჩება ხევსურულში ორი კითხვითი ნაწილაკის ერთად ხმარება.

მოხეურში აღარ იხმარება კითხვითი ა' ნაწილაკი. თუ გვხვდება, იგი გადმოსულია მეზობელი დიალექტებიდან (ლექსებში), ან შემორჩენილია ძველთაგან:

**არ მოგწონვარ-ა' ქალაუ?; ეხლა მაგაგონდია? (ქავთარაძე, 1985: 48).**

ა' კითხვითი ნაწილაკი დასტურდება თუშურშიც:

- ვერ შაიტყვეთა', ქართველნო, რკინის შაგეხსნათ ხმალიო? (ი. ბუქურ. 12).

თედო უთურგაიძის დაკვირვებით, თუშურში „კითხვით ნაწილაკს, თუ ის საჭიროა, მუდამ ვხვდებით თანხმონით დაბოლოებულ ფორმებთან. მაგალითად: **წახვა? (წახვალ?)** ხმონით გათავებულ ფორმებთან შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არც გვქონდეს, მეტწილად არა გვაქვს. მაგალითად: **აგრეა? ასრეა?** და სხვ. (უთურგაიძე, 1960 : 67).

- ფშაურში: კი იცია' შალშავი? (ქ.დ. 127);
- გუდამაყრულში: დედავ აღარც რით გეშველება, არას მასწავლია'? (ქ.დ. 97);
- მთიულურში: არ დარდობსა' დედაშენი? გზაა? (ქ.დ 55);
- თიანეთურში: გათხოვილი არა ხარა'? (ქ.დ. 147).

უკითხვითსიტყვო წინადადებაში კითხვის გამოსახატავად ა' ნაწილაკი დასტურდება ინგილოურშიც. მაგალითად: **როგო ხართა' დედაკაცო?** (ჯანაშ. 122).

კითხვითი ნაწილაკის გამოყენების თვალსაზრისით, კაკური კილოკავი ავლენს ერთ თავისებურებას. აქ კითხვითი ნაწილაკი გვაქვს კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც: **და რაი გინდაყა?** (იმნაიშვილი, 1966: 146). ჩანს, კაკურ კილოკავში ა' ნაწილაკი საკმარისი აღარ არის კითხვის გადმოსაცემად, ამიტომაც მასთან ერთად იხმარება კითხვითი სიტყვებიც. ინგილოურში კითხვითი ა' იხმარება როგორც სახელებთან, ისე ზმნებთან. „**თქონ ქალი ლამაზია?**“ სახელებთან წარმოდგენილი ა' რომ კითხვითია და არა მეშველი ზმნის თავკიდური, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ კითხვაზე “ქალია?” პასუხი არის მხოლოდ “ქალი” და არა “ქალია” (როსტიაშვილი, 1958: 289).

კითხვითი ა' ნაწილაკის გამოყენება დასტურდება ფერეიდნულშიც: **“სამოვარ არ მოგიტანესა?”** (ჩიქობავა, 1927: 44) ეს კი გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ კითხვითი ა' ნაწილაკი ისტორიულად კახურისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

მთარაჭულში კითხვითი ა' ძირითადად უკითხვითსიტყვო წინადადებაში იხმარება, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც იგი კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც გამოიყენება. მაგალითად: **„იყა? მიდიხარა? არა მიგაქვსა? რა მოწყენილი ხარა?“** (მიძიგური, 1937: 84).

ახალ სალიტერატურო ქართულში კითხვითი ა'-ს ფუნქციონირება სახეცვლილია და ის სტილისტიკური დანიშნულებით აიხსნება. ის ძირითადად ჩაკითხვითი ჰა'ს ბადალია და ცოცხალ მეტყველებასა და დიალოგებში იხმარება.

ამრიგად, ზემოთქმულის გათვალისწინებით ა' კითხვითი ნაწილაკის შესახებ, რომელიც განვიხილეთ ქართული სალიტერატურო ენის სამივე საფეხუსა და დიალექტებში, აგრეთვე ქართველურ ენებთან მიმართებაში როგორც სინქრონიულ ისე დიაქრონიულ ჭრილში, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:



➤ კითხვითი ა' ნაწილაკი საერთოქართველური კუთვნილებაა. მას კანონზომიერი ფუნქციური და ფონეტიკური შესატყვისობები მოეპოვება სვანურსა (ა) და კოლხურში (ო).

➤ დიალექტთაგან კითხვითი ა' შემოინახეს ხევსურულმა, თუმურმა, ინგილოურმა, რაჭულმა, შავშურმა, კლარჯულმა, ტაოურმა, მუჰაჯირთა მეტყველებამ, ფერეიდნულმა ნაწილობრივ და იმერულმა. როგორც ჩანს, კითხვითი ა' ისტორიულად ყველა ქართული დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგიერთ დიალექტში (ზემოიმერული, მთარაჭული, კაკური კილოკავი..) კითხვითი ა' კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც იხმარება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ დიალექტებში აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია მიღებულია (ფაღავა, 2009: 39).

➤ ხოლო რაც შეეხება ა'-ს მახვილიანობას, ამასთან დაკავშირებით, მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მახვილი უნდა ყოფილიყო არა ა' - ნაწილაკზე, არამედ წინამავალ ხმოვანზე, ე.ი მეორე მარცვალზე ბოლოდან. მახვილიანი წინამავალი ხმოვნის გავლენით უმახვილო - ა' ნაწილაკი დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა.

შედეგად მივიღეთ იმის წინ მდგომი მახვილიანი მარცვლის გაგრძელება, ასე რომ კითხვის მახვილის მატარებელი პირველი მარცვალი ბოლოდან ისტორიულად მეორე მარცვალია.

მეორე თვალსაზრისით, კი მახვილიანი უნდა ყოფილიყო კითხვითი ა-ნაწილაკი მთელი ძველი ქართულის მანძილზე. ხოლო როდესაც მახვილი შესუსტდა ენაში კითხვითი ა' უმახვილო დარჩა, სიტყვის ბოლოს არაფუძისეული ხმოვანი კი თანდათან დასუსტდა, ბოლოს კი სულ დაიკარგა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო ლოგიკურია და მსჯელობაც ისტორიულ სინამდვილეს უნდა შეესატყვისებოდეს. სხვაგვარად, წარმოთქმაც ერთგვარ ინტონაციურ დისბალანსს ქმნის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემასმენელს ერთმარცვლიანი ზმნა წარმოადგენს. საილუსტრაციოდ მაგალითებს “შუშანიკის ცხოვრებიდან” დავიმოწმებთ:

- აქამომდე ცოცხალ არსა' საწყალობელ იგი? (44);
- კეთილსა ამისათვის სტირა', ხუცეს? (45);
- ხუცეს, მიუძღვანოა' სამკაული ესე მისი? (40);

- იაკობ მანდა არსა? (40);
- მტკიცედ სდგაა? (34);
- უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? (39).

ძველი ქართულის, ქართულის ცოცხალ კილოთა და სხვა ქართველურ ენათა მონაცემები ცხადყოფენ, რომ – ა' და მისი ფარდი ნაწილაკები ქართველურ ენებში ჩვეულებრივ ზმნას დაერთვის და კითხვის მახვილიც მეტწილად სწორედ შემასმენელთან არის დაკავშირებული.

ძველ ქართულში კითხვას გამოხატავდა მე ნაწილაკიც. სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მე' ს გენეზისის შესახებ. ნ. მარის დაკვირვებით, მე ნაწილაკი უკავშირდება მელ//მენ//მედ ელემენტებს, რომლებიც დაცულია “რომელ”, “რომენ”, “ვითარმედ”, “არამედ”, სიტყვებში (Mapp, 1925: 126). ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული სპეციალისტთა მიერ, რადგანაც “ეს რომ ასე იყოს, მოსალოდნელი იქნებოდა მელ//მენ//მედ ფორმები სხვა სიტყვებშიც შეგვხვედროდა” (ბაბუნაშვილი, 1953: 149), მაგრამ ასეთი სიტყვები ძველ ქართულში არ დასტურდება. ნიკო მარის მოსაზრებას ასევე უარყოფს თ. უთურგაიძე (უთურგაიძე, 1966: 224).

აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებს მ. ფაღავა და დასძენს, რომ “ მე'ს გენეზისის შესახებ ნ. მარის მოსაზრების უარსაყოფად მკვლევართა მიერ დამოწმებული მასალა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი საბუთები. თუ ვითარმედ' ში ბოლოკიდურა -დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია (რაც ნაკლებად სარწმუნოა), რა უნდა იყოს ლ და ნ რომელ//რომენ'ში ? ხომ შესაძლებელია დაშვება, რომ მელ//მენ უკავშირდება მე'ს? ამის მტკიცება ან უარყოფა, ვფიქრობთ, ლოგიკის ფარგლებს ვერ გასცილდება. უნდა ითქვას, რომ ნ.მარის ზემომოტანილი მოსაზრება დამლეული არ არის და მას აქვს არსებობის უფლება” (ფაღავა, 2009: 42).

მე ნაწილაკის ფუნქციაზე დაწვრილებით საუბრობს თ. უთურგაიძე: “ძველ ლიტერატურულ ქართულში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მე ნაწილაკს კითხვასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მე-ნაწილაკიან კითხვით ფორმებში, თუ წინადადებაში არ იყო კითხვითი სიტყვა ან -ა ნაწილაკი, კითხვა გადმოიცემოდა სპეციფიკური ტონით (უთურგაიძე, 1966: 221).

შესაბამისად, ისმის კითხვა: - თუ არა კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია, მაშინ რა დანიშნულება გააჩნდა მე ნაწილაკს ძველ ქართულში? თ. უთურგაიძე პასუხს თვით ძველ ქართულ ლიტერატურასა და მონათესავე ენებში ეძებს (ავტორის მსჯელობით, მე ნაწილაკი კითხვითი სემანტიკით არ გვხვდება ქართული ენის კილოებში).

სვანურის მიხედვით მე ნაწილაკი ქართულში, თითქოს, კითხვის მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც მისი სავარაუდო ეკვივალენტი სვანური მა, მო – ფორმანტები მხოლოდ კითხვას ემსახურება. ოღონდ, აქ საქმე გვაქვს გარკვეულ სხვაობასთან, კერძოდ, სვანურში – მა, მო კითხვის დამოუკიდებელი და ამავე დროს ენაში ფართოდ გავრცელებული ნაწილაკებია. ისინი არასოდეს არ შეგვხვდება კითხვით სიტყვასთან განსხვავებით ძველი ქართულის მე-სგან, სვანურის მა და მო აგრეთვე არასოდეს არ შეგვხვდება კითხვით სიტყვასთან ან ა' ნაწილაკთან.

თუმურში მე ნაწილაკის ფუნქციაზე საუბრობს თ. უთურგაიძე და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მე ნაწილაკი მნიშვნელობით კავშირებითი კილოს ნეტავ – ის ტოლფარდია და მას არაკითხვით ფორმებში ნატვრის გამოხატვა ევალება, მკვლევარი იმოწმებს შესაბამისს მაგალითებს:

- მოსთქვამდა ცრემლის ფრქვევითა : დამსვამე წყლისა პირსაო! ანამე წყალს გამაყოლა, დაი მოკვდება ძმისაო. (124)
- მინდორში სისხლის ტბა ბრუნავს, გადასადვრელიმ სად არის? (133);
- შიგა წევს წითელი გველი თავ უჩინს, ბოლომ სად არივ? (133);
- მამამამცხენი არ მისცა? მამამც მოუკვდების ისი!( 159);
- ცოლმამე საგძალ არ უცხო? ცოლიმც მოუკვდების ისი! (159);
- დედამამ ჩითებ არ მისცა? დედამც მოუკვდების ისი! ( 159);
- ვინამ ჩამოხვალ გორდაგორ, ცხენს ვინ ატარებ რეტადა? (159).
- რადამ მოხვედით, ქისტებო, დედის - ერთაის ცხვარზედა? (191);
- ზამთარმა გამოიხმელა, ნეტარ ვისიმე ჭირადა? (193);

აღნიშნულ ნატვრით ფორმებს თუმურში ხშირად ვხვდებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე ნაწილაკის ე ხმოვანი კარგად არის შემონახული ნაწილაკთა წინა პოზიციაში. მაგალითად: “მეამეგ ნუ გავშენიყავ დედასა”. მე, -მ თუმშურში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს დაერთვის, მაგრამ იგი გრამატიკულად ყოველთვის ზმნასთან არის დაკავშირებული.

ძველ ქართულში კი კითხვითი მე ნაწილაკის გადანაწილება ასეთია:

I. არის შემთხვევები, როდესაც კითხვით წინადადებაში არა გვაქვს არც -ა, არც

კითხვითი სიტყვა და მხოლოდ მე არის წარმოდგენილი. ვარაუდობენ, რომ ასეთ შემთხვევაში მე კითხვითი ნაწილაკია. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ვითარება ძველ ქართულში საკმაოდ იშვიათია, მაგალითად, მთელ ოთხთავში ამის მხოლოდ რვა შემთხვევა გვაქვს, ხოლო მე’ს ა’ ნაწილაკთან ან კითხვით ნაცვალსახელებთან ხმარების შემთხვევა 83-ს აღწევს.

შედეგად, ენათმეცნიერთა უმრავლესობა ძველ ქართულში -მე კითხვითი ნაწილაკის გამოყენებას სპორადულ მოვლენად მიჩნევს. მაგალითად:

- შემძლებელ არიანმე ნაშობნი ქორწილისანი მარხვად? (მრ. 2,19).
- არამე ორნივე ჯურღმულსა მთაცავენ? (ლ. 6,39).
- რქუასმე მას? (ლ. 17,7).
- ეგებისმე მუცელსა დედისასა თვისისასა შესვლად და გამოშობად? (ი. 3,4 C).

II. მე ნაწილაკს ხშირად ვხედავთ ა’-სთან ერთად. მაგალითად:

- პოვოსმეა’ სარწმუნოვებამ, ქუეყანასა ზედა? (ლ. 18,8);
- არამეა’ ორნივე ჯურღმულსან შთაცავენ? (ლ. 6,39 C).
- ზოგჯერ-მე ტმესის შედეგად ზმნაშია ჩართული, -ა კი თავის ადგილზეა.
- კელ-მე-წიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად? (მ. 9,15);
- მი-მე-ვინ-უთხრობდესა სამარებსა შინა წყალობასა შენსა? (ფს. 87,12).

III. ხშირ შემთხვევაში ა და მე კითხვითი ნაწილაკები წინადადებაში სხვადასხვა სიტყვასთან გვხვდება. მაგალითად:

- არამე პირველად დაჯდესა და აღირაცხოს? (ლ. 14,28 C);
- არამეუპყრასა და აღმოითქუას იგი? (მ. 12,11);
- არამე თქუენ უფროდს უმჯობედს ხართა მფრინველთა? (მ. 6,26);

➤ მე ვთქუ განკვრვებასა ჩემსა: “გან-მე-გდებულ ვარა პირისაგან თუალთა შენთადასა?” (ფს. 30,23).

IV. კითხვითი -მე ნაწილაკი ხშირად ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს; მაგალითად:

- ვიუხვი და დავშურები და რადმე ვყო? (იობ. 17,2);
- რადმე, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა? (ფს. 87,15);
- ... ანუ კეთილი ჩემი ოდესმე ვიხილო? (იობ. 17,15);
- შეცოდებანი თვისნი ვინმე გულისხმაცვენეს? (ფს. 18,13);
- ვიდრემე ეგულების ამას წარსვლად? (ი. 7,35);
- ნუ ზრუნავთ, ვითარმე ანუ რასმე იტყოდით? (მ. 10,19).

ასეთი ვითარება, ბუნებრივია, მკვლევართა შორის ბადებს კითხვებს: რატომ გვაქვს ორივე კითხვითი ნაწილაკი ერთ წინადადებაში? რომელიმე მათგანმა ხომ არ დაკარგა კითხვის გამოხატვის უნარი, ანდა, პირიქით, რომელიმე მათგანისთვის გვიანდელი, მეორეული, ხომ არ არის კითხვის გამოხატვა წინადადებაში? ვფიქრობთ, აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული მოსაზრებების გადახედვა, განსაკუთრებით მე - ნაწილაკთან მიმართებაში, რადგან მეცნიერთა შეხედულებანი მე'-სთან მიმართებაში არაერთგვაროვანია, როგორც მისი ეტიმოლოგიის, ისე ფუნქციის კვალიფიცირებისას.

კითხვითი ტონი -ა' ნაწილაკი წინადადებაში ზმნას ახლავს, ამიტომაც შესაძლებელი გახდა მე' ნაწილაკის (თ. უთურგაიმე ნატვრითად მიიჩნევს და არა კითხვითად) ე'-ს ჩავარდნა, როცა იგი ზმნასთან კი არა, არამედ სხვა მეტყველების ნაწილთანაა დაკავშირებული;

მაგალითად: “დედამ ჩითებ არ მისცა”? – დედამამ ფორმაში ( რომელიც მიღებულია დედამამე ფორმისგან) -მე' ნაწილაკის ე' უნდა ჩავარდნილიყო, რადგან იგი აბსოლუტურ ბოლოში მოხვდა. კითხვითი ტონი მოდის მისცა ზმნაზე, მასვე ერთვოდა კითხვითი ნაწილაკი ა'. მისცა თავდაპირველი ფორმა ამ წინადადებაში არის [მისცაა]. ბოლო ა' კითხვის მაწარმოებელი ნაწილაკია, იგი თვით დაიკარგა, სამაგიეროდ შემოგვინახა სუბიექტის ნიშანი -ა, რომელიც თხრობით ფორმებში ჩვეულებრივ ჩავარდნილია: [ მისც. ]. რაც შეეხება კითხვითსიტყვიან წინადადებას,

კითხვითი ტონი თვით ამ სიტყვაზე მოდის, ამავე დროს აქ კითხვითი -ა' ნაწილაკი მოსალოდნელი არ არის, რის გამოც მე'ს ე' ხვდება ფორმის აბსოლუტურ ბოლოში და ამის შედეგად იკარგება; მაგალითად: **რადამ მოხვედით?** რადამე< რადამე.

მე'-ს ფუნქციური სიახლოვე -მცა ნაწილაკთან მისაღებს ხდის ნ. მარის ვარაუდს, რომ მცა ნაწილაკი მიღებულია -მე და -ცა ნაწილაკების შეერთებით. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ა. შანიძის მოსაზრება, რომელიც ამბობს: "მცა - ნაწილაკი რთული შედგენილობისაა და წარმოდგება მ და ცა ნაწილებისაგან. მისი პირველი ნაწილი (მ) ნაშთი უნდა იყოს რაღაცა სიტყვისა, მეორე კი (ცა) არის ცნობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს.რთული მცა ნაწილაკი ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნიზედასაც, კავშირსაც. მაგრამ რა გინდ მეტყველების ნაწილს დაერთოს იმ წინადადებაში ნატვრით კილოს ვედარ ვიხმართ, არამედ ყოველთვის თხრობითი უნდა იყოს" (**შანიძე, 1957: 33**).

ასეთია მცა-ნაწილაკის მნიშვნელობა ძველ, კლასიკურ ქართულში, მაგრამ საშუალო ქართულში, განსაკუთრებით მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე საუკუნეებში იწყება რყევა.

თ. უთურგაიძე კი მიიჩნევს, რომ მე ნაწილაკი, რომელიც დღემდე მხოლოდ თუმურმა შემოგვინახა აწარმოებს ნატვრით კილოს. მე'- ნაწილაკი II ხოლმეობითის თხრობით ფორმებს აძლევს მომავალი დროის გაგებას, მსგავსად ძველი ქართულის - **მცა** ნაწილაკისა და ის მნიშვნელობით უდრის ლიტერატურული ქართულის **ნეტავი//ნეტავ** ნაწილაკს.

აი, რას ამბობენ ენათმეცნიერები ნეტავ - ნაწილაკის შესახებ: ნეტავი წინადადებაში იგუებს ზმნის ოდენ კავშირებითი კილოს ფორმებს. იგი აძლიერებს კავშირებითის ფორმით გადმოცემულ ნატვრას. აღნიშნული ნაწილაკი თითქოს დამატებითი საკომპენსაციო საშუალებაა ნატვრის გამოსახატავად. ზოგჯერ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნეტავი წინადადების ბოლოს განცალკევებით დგას, ხოლო შემასმენელი კი ზმნის თხრობითი კილოს ფორმით არის გადმცემული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნეტავი თხრობითი კილოს ფორმებთანაც არის ნახმარი, მაგრამ ეს მოჩვენებითია, რამდენადაც ასეთი

ტიპის წინადადებებშიც იგულისხმება კავშირებითი კილოს ფორმები, რომლებიც ადვილად აღდგება ხოლმე.

- რატომ არ უნდა ვშვრებოდე, ნეტავი! (ამირ. 35);
- რა უხარიათ ნეტავი? (იქვე, 32);
- რა მინდაო? ხომ არ გაგიჟდა ნეტავი? (ქიაჩ. 698);
- თქვენ რაისად უბნობთ, ნეტარ! (ვაჟა, 259).

საილუსტრაციო მაგალითებში ნეტავი'-ს შემდეგ ჩავარდნილია ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები ვიცოდე, მაცოდინა. **შდრ. “რა უხარიათ ნეტავი მაცოდინა”**; აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლობის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს ნეტავ ნაწილაკთან სხვა კილოს - თხრობითის ფორმების ხმარებას (**აფრიდონიძე, 1970: 23**). იმას, რომ ნეტავი ყოველთვის კავშირებითის ფორმებთან იხმარება, ადასტურებს ისეთი წინადადებები, სადაც აღნიშნულ პოზიციაში კავშირებითის ფორმები ჯერ კიდევ იხმარება. მაგალითად:

- ნეტა ვიცოდე, ქვეყანა მასაც ფეხებზე ჰკიდია? (ილია, 90).

ამრიგად, როგორც მ. ფალავა შენიშნავს ნეტავი წინადადებაში მხოლოდ კავშირებითი კილოს ფორმებთან იხმარება (**ფალავა, 2007: 5**).

ამის უკვეთესად გასააზრებლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დ. მელიქიშვილის მსჯელობას დავიმოწმებთ; “მომავალი დრო განსხვავებით ახლანდელისა და წარსულისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ, რეალურ ფაქტს გადმოსცემენ, ჩვეულებრივ, გამოხატავს ისეთ არარეალურ (ირეალურ) მოქმედებას, რომელიც, როგორც შესასრულებელი და არა ფაქტი, შესაძლებელია, სავარაუდოა, სათუოა, საეჭვოა. ამდენად, მომავალი დრო საფუძველშივე შეიცავს შესაძლებელ-სავარაუდო, თუობითი შინაარსის ანუ კილოს ელემენტს, ნიუანსს. მგვარად, მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვება შესაძლებლობის, სათუო, სასურველობის შინაარსის, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში, მის გაჩენასთან ერთად.

განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილო მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, ფორმა კი ორივესათვის კვლავ საერთო რჩება. ენა, როგორც ცნობილია, გრამატიკულ ომონიმას ვერ იტანს. ძველ ქართულშივე შეიძლება თვალის

გადევნება, თუ როგორ ისახება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმალური გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია: კავშირებითი კილოს გადმოსაცემად – მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები იხმარება (რადთამცა გააკეთა)” (მელიქიშვილი, 2001: 45).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მე’ კითხვით ნაწილაკთან მიმართებაში ჩვენი დამოკიდებულება ასეთია:

ერთი მხრივ, მიგვაჩნია, რომ მე ნაწილაკის დანიშნულება ძველ ქართულში უპირობოდ იყო კითხვის გამოხატვა, თუმცა შემორჩენილ ფორმებში ის უკვე სპორადულად არის წარმოდგენილი და მისი თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულშივე იწყებს რყევას, რის შედეგადაც მე’ ნაწილაკი დამოუკიდებლად ვედარ განაგრძობს ფუნქციონირებას და ა’ ნაწილაკთან ერთად იხმარება, ის საბოლოოდ იცლება კითხვითობისაგან საშუალო ქართულის საწყის ეტაპზე, როდესაც მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა და კავშირებითი კილოს ჩასახვა იწყება. მე’ ადგილს უთმობს მცა ნაწილაკს, [რომელიც ვფიქრობთ, რომ მე + ცა კონსტრუქციით მივიღეთ] და ფუნქციურ-სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. საშუალო ქართულში კი მცა ნაწილაკიც ნელ-ნელა იკარგება, ის ჯერ ზმნის კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება და არღვევს მისი ხმარების მთავარ კანონზომიერებას, შემდეგ კი მის ადგილს ნეტავ ნატვრით ნაწილაკს უთმობს. საბოლოოდ კი დიაქრონიულ ჭრილში მე, მცა და ნეტავ ნაწილაკთა ურთიერთმიმართების შემდეგ სურათს ვღებულობთ: მე > მცა > ნეტავ – სადაც, მათი ფორმოზრივი სხვაობის პარალელურად დროთა განმავლობაში იცვლება მათი ფუნქციაც.

### 2.3 სხვა კითხვითი ნაწილაკები ქართულში

ქართულის კითხვითი ნაწილაკებია: ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ა და მე ნაწილაკების შესახებ და როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ისინი ქართულ ლიტერატურასა თუ ცოცხალ მეტყველებაში ისტორიული ფენის პირველ შრეს წარმოადგენენ კითხვითობის წარმოებისა.



თუმცა კითხვითი მოდალობის წარმოების საშუალებანი ქართულში ძალზედ მრავალფეროვანია და დროთა დინებასთან ერთად იცვლება და ფართოვდება მათი გამოხატვის შესაძლებლობანიც.

თუკი ძველ ქართულში მეცნიერები კითხვის გამოხატვისას მხოლოდ ა და მე ნაწილაკზე საუბრობენ შესაბამისი ემპირიული მასალის საფუძველზე და ამათგანაც მე-ს კითხვითობას სათუოს ხდიან, სხვაგვარ სურათს ვხედავთ სალიტერატურო ქართულის განვითარების შემდგომ პერიოდსა და ცოცხალი მეტყველების სინტაქსურ კონსტრუქციებში.

კითხვითი ნაწილაკების არეალი ფართოვდება. **განა, ხომ, თუ, ნუთუ** ნაწილაკებიც სხვადასხვა სემანტიკასთან ერთად ითავსებენ კითხვითობის გამოხატვის ფუნქციას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**განა** – ერთ-ერთი კითხვითი ნაწილაკია. სულხან-საბა ასე განმარტავს მას: „ესე განა არს, კაცსა ვიმოწმებდეთ თხრობათა შინა ვიტყვით:

➤ განა ესრე თქვა? განა ესრე გესმა? განა ესრე იხილე?“ (საბა. 67).

ნ. ჩუბინაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში კი **განა** განმარტებულია როგორც „ზმნიზედა კითხვითი“ (ჩუბინაშვილი, 1961; ჩუბინაშვილი, 1984).

მ. ჯანაშვილსაც იგი „კითხვით, ანუ გაკვირვებით “ნაწილაკად მიაჩნია და მოჰყავს ასეთი მაგალითები: „**განა** კაცია კი?; კაცია **განა**?“ (ჯანაშვილი, 1906: 123).

**განა** ძველ ქართულში არ იხმარება. იგი, როგორც ნაწილაკი, საშუალ ქართულში ყალიბდება და იმასვე გამოხატავს, რასაც **აკი, ხომ**.

**განა**-ს ეტიმოლოგიაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს. სავარაუდოა, რომ იგი მომდინარეობს ძველი ქართულის გარნა (= თუ არა, გარდა, გარეშე, თანხერ, მხოლოდ, მაგრამ, არამედ) სიტყვისაგან. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ საშუალ ქართულში განას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს მაგრამ, არამედ კავშირების ფუნქცია. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

**განა//მაგრამ**: გვნახეს კაცთა მათ, რომელნი ჯამუშად იდგნენ, განა არ გაგვამყდავენს და სიცილით ერთმანეთსა ეუბნებოდნენ... (რუსუდ. 432).

**განა//არამედ:** მცირე ყმას ველად სიარული დაუწყია, არა ნადირთა სროლისა ხალისითა, განა მეტის ჯავრისაგან თავგამეტებისათვინ (რუსუდ. 589).

თანამედროვე ქართულში **განა** ნაწილაკი მრავალ მნიშვნელობას გამოხატავს:

**კითხვას:** განა აღარა ხარ, მაგრამ ხალხი, დაგივიწყებს განა ოდეს? (ლ.ასათ. 29).

**გაკვირვებას:** (ნუთუ) განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის როგორც სხვაგან? (ილია VI, 56).

**განა=ვითომ:** განა სიცოცხლე რად მინდა? იგი არ მიღირს ჩალადა (ვაჟა, II, 7).

**განა=ხომ:** გიორგიმ და მწარიამ მოიტანეს განა? - იკითხა ხალხმა (ვაჟა, V, 141).

**განა-არა?!:** ჰოი თქვე რჯულძაღლებო, აქა ხართ განა? (ვაჟა, VII, 304).

**განა=ნეტავი:** ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი? (ილია, I, 83).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ირკვევა, **განა**-ს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც კითხვა-გაკვირვების გამოხატვაა და, რადგანაც განა ნაწილაკით გამოხატულ კითხვას ყოველთვის ახლავს გაკვირვება-განცვიფრების ნიუანსიც, მიზანშეწოლილად მივიჩნევთ, რომ მისთვის “კითხვა – გაკვირვებითი ნაწილაკი გვეწოდებინა, ხოლო განა ნაწილაკიანი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვა-მახილის (!) ნიშანი დაგვესვა, რადგანაც მართო კითხვითი ნიშანი ვერ იტევს იმ მნიშვნელობას, რასაც განა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოგვცემს.

ეს ტენდენცია შეიმჩნევა კიდევ ზოგიერთ მწერალთან.

**განა** ნაწილაკი წინადადებაში, განურჩევლად პოზიციისა, ყოველთვის საკითხავი სიტყვის კუთვნილებაა.

**განა**-ს ზოგჯერ დაერთვის და-მცა ნაწილაკები და ვღებულობთ განაღა, განაღამცა ფორმებს. მსგავსი ფორმები ახალ ქართულში უმეტესად ვაჟას ენაში გვხვდება, რაც ფშაური დიალექტის გავლენა უნდა იყოს. დიალექტებში განა იმავე ფუნქციით იხმარება, რომლითაც – სალიტერატურო ენაში.

- **ქართლური:** ამის ფასი განა შენ არ იციო? (ქ.დ. 306);
- **ივრისხეული:** განა ჰევსურებს მიუტან შენა? (ქ.დ. 148);
- **მთიულური:** შასაწევარი არ იცით განა? (ქ.დ. 80);
- **შიგნიკახური:** განა იმაზე მომიყვანე, უნდა ვიმუშაოვო? (ქ.დ. 181);

- ხევსურული: ქმარს უთხარივ განა, ჩვენი ცოლი ხარავ? (ქ.დ. 10);
- ხევსურული: საკანტალოდ დაზოპრები განაევ? (ქ.დ. 9);
- ხევსურული: განა გონობით ხო არ დამკარივ თოფივ? (ქ.დ. 19).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაწილაკი განა კითხვითობასთან ერთად გამოხატავს განცვიფრება, გაკვირვებას, რასაც ვფიქრობთ, რომ ხევსურულ დიალექტში დაძებნილი მაგალითები კიდევ უფრო ამყარებს.

ერთგვარი გამონაკლისია აჭარული, სადაც ზოგჯერ განას დაკარგული აქვს კითხვითობის გაგება, განმარტობით დგას წინადადებაში და გაკვირვებას გამოხატავს; **ისევ ეტყობა რუმე, გაწვიმდეს უნდა, განა?** (ნოლ. II. 92).

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და შესაბამის ფორმათა ანალიზით, განა ნაწილაკზე შეიძლება ვთქვათ, რომ სავარაუდოდ, ის ძველი ქართულის გარნასგან მომდინარეობს. ის, როგორც კითხვითი ნაწილაკი საშუალო ქართულში ყალიბდება. იგი გამოხატავს კითხვას, რომელსაც განცვიფრების ნიუანსებიც ახლავს, ამიტომაც შესაძლოა მას “კითხვა-განცვიფრებითი” ნაწილაკი ეწოდოს.

კითხვითი ნაწილაკი ხომ მომდინარეობს ჰომ//ჰო-სგან (**შანიძე, 1980: 6-9**). აჭარული დიალექტის ქობულეთურ კილოკავში დასტურდება როგორც ჰუმ (//ჰომ), ისე ხუმ (//ხომ) ფორმები.

**ჰუმ მოვიდა? ჰუმ გააკეთა? ხუმ გინდოდა?** და მისთანა ფორმები. ზემოაჭარულში კი გვხვდება ხომ (<ხომ): **იყვირე და იყავ, ზორით ხომ ვერ აართუმ?**

აღსანიშნავია, რომ ხომ იხმარება მხოლოდ უარყოფით კონსტრუქციებში. თანამედროვე ქართულში ჰომ(>ხომ) კითხვითი ფუნქციით ჩვეულებრივ არ გამოიყენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მწერლის ენას.

სხვა ვითარებაა დიალექტებში, სადაც არცთუ იშვიათია ჰომ/ხომ ნაწილაკიანი კონსტრუქციები.

**ქართლური:** კაცო, ნაჯახი ხო არ გიპოვნიაო? (ქ.დ. 303);

**ქართლური:** ხელმწიფესთან საქმე მაქ და მამაშენი ხო არ წამყვება? (ქ.დ. 299);

**ჯავახური:** აქ მამსვლელი ცოცხალი არ წასულა და შენც ხომ აქ სიკვდილი არ გინდაო? (ქ.დ. 347);

**ჯავახური:** ჩემი დესტან-დარეჯანი ხო მარ გინახიათო? (ქ.დ. 343);

**შიგნიკახური:** ყრუვი ხუ არ-ალი? (ქ.დ. 179);

**რივნისთაური:** ასე გადიარა და აქ ხომ არ შემოუყვანიაყეო? (ქ.დ. 535);

**ივრისხეული:** ე გოგო კიოთა (=ხომ) სწავლობს? (ქ.დ. 147);

**მთიულური:** თეთრი ბეწვი ხომ არ გინახავთო? (ქ.დ. 76);

**გარეკახური:** აქეთ ქაკს ხო არავის გაუვლიაო? (ქ.დ. 207).

იმერულ დიალექტში ვხვდებით **ხვარ** (ხომ+არ) ფორმას: **ხომ+არ>ხოარ>ხვარ(ო>ვ): ერთი ოქრო ტყვილა ხვარ მოგეცი?** (ქ.დ. 405).

**ხომ** ნაწილაკის ფუნქციის შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი “მოაქსენებს ძოდან ნათქვამთა დავიწყებულთა საქმეთა, რომელთა მოვარგონებდეთ და ვეტყოდეთ: **ესრეთ გითხარ ხომ?** და **ესრეთ გამცენ ხომ?** (საბა. 190).

**ხომ** წინადადებაში ერთ განსაზღვრულ ადგილას არ გვხვდება. ის შეიძლება იწყებდეს სინტაქსურ კონსტრუქციას, ასრულებდეს, ან მასში იყოს მოქცეული და ამასთან, ის ყოველთვის შემასმენელს უკავშირდება.

ახალ ქართულში **ხომ** ისეთ კითხვას გამოხატავს, რომელზედაც დადასტურებითს პასუხს მოელიან (შდრ. შანიძე, 1980: 609; კვაჭაძე, 1977: 35; აფრიდონიძე, 1970: 26).

მაგალითად: - აბელი ხარ ხომ? - კი, აბელი ვარ (სულ. 294).

მოხეურ კილოში და ალ. ყაზბეგის ენაშიც ზოგჯერ **ხომ** ნაწილაკის ფუნქციით **თუ** იხმარება. „შენც მოხევე თუ არა ხარ!“ (ქავთარაძე, 1949: 92).

ზემოთ აღნიშნული მაგალითები კარგად ასახავს **ხომ** ნაწილაკიან წინადადებათა ზოგად ტენდენციას. კერძოდ, ახალ ქართულში ის კითხვითი ნაწილაკია, მისი ადგილი თავისუფალია და აზრობრივად შემასმენელს მიემართება. მას წინადადებაში შეაქვს სხვადასხვა აზრობრივი ნიუანსი და გამოხატავს გაკვირვებას, თხოვნას, დასტურს. მაგალითად:

- შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ? (ილია. 10).

ამრიგად, ხომ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ორმაგი მოდალობის მატარებლები არიან. ერთი მხრივ, ისინი მათ მთავარ ფუნქციას, კითხვას გამოხატავენ, მეორე მხრივ კი – მახილის წინადადების სემანტიკურ ნიუანსებს.

კითხვას გამოხატავს აგრეთვე ნაწილაკი ნუთუ. ის ძველ ქართულში დადასტურებით-ჩაკითხვითი ნაწილაკია (ბაბუნაშვილი, 1953:126), რომელსაც ზოგჯერ “ნუ” ცვლის. მაგალითად:

- ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძჳ თვისი პურსა, ნუ ქვაჲ მისცეს მას?;(მ. 7, 11).

- გინა თევზსა სთხოვდეს, გუელი ნუ მისცესა მას? (მ. 7, 9-10).

საშუალ ქართულში ნუთუ ორი მნიშვნელობით იხმარება.

**ნუთუ/შეიძლება, ეგება:**

- ნუთუ ღმერთმა დაგიცვას, შენცა მოგცეს ჟამი სიკეთისა და ტახტი მამა-პაპათა შენთაო (რუსუდ. 7-9).

**ნუთუ/გამოხატავს კითხვას:**

- აგრე მითხრა, ვინა ხარ, ძმაო, ანუ რად სწყრები, ნუთუ უბადოთა კაცთა გაწყინეს რამეო? (რუსუდ. 23-24).

ახალ ქართულში ნუთუ კითხვითი ნაწილაკია. “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში” იგი ასეა განმარტებული: “ნუთუ კითხვითი ნაწილაკია, რომელსაც გაოცების ელფერიც ახლავს - განა, მაშ.

- ნუთუ ამ სიტყვას თქვენში ლილიხანა წაუხდა? (ილია. 146)

კითხვა-განცვიფრების გამოხატველ ნაწილაკად მიიჩნევენ ნუთუ-ს ა.შანიძე და ლ. კვაჭაძე (შანიძე, 1980: 609; კვაჭაძე, 1977: 35). ხოლო შ. აფრიდონიძის აზრით, “ნუთუ” “მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც თუ ნაწილაკს უახლოვდება. ისიც ჩაკითხვის შინაარსის მატარებელია” (აფრიდონიძე, 1970: 26).

- ამდენი ჯაფა გამიწევია, ნუთუ, ბატონო, ამ შავი დღისთვის? (ილია, I. 17).

კითხვას გამოხატავს ახალი ქართულის თუ ნაწილაკიც.

- მე კი თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთავდა თუ? (ილია, II.260).

თუ ჩვეულებრივ კავშირია, რომელიც საშუალო ქართულში ყალიბდება (მიძიგური, 1969: 44).

თუ საშუალო ქართულშივე იძენს ნაწილაკის ფუნქციას. „ვეფხისტყაოსნის“ ენაში უკვე შეინიშნება ის აღნიშნული, მისთვის მეორეული ფუნქციით. მაგალითად:

- მიბრძანა თუ: ქალი ვნახოთ.. (ვეფხ. 340);
- უბრძანა თუ: მოახსენე..(ვეფხ. 410);
- უბრძანა თუ: ღმერთსა ვჰმადლობ (ვეფხ. 675).

ასეთი დატვირთვით პოემაში თუ ათჯერაა ნახმარი. ენის განვითარების მომდევნო პერიოდში ანალოგიურ კონსტრუქციებს ეკარგებათ მეორე ნაწილი და ვღებულობთ: მიბრძანა თუ?

კითხვითი ფუნქციით თუ ძველ ქართულშიც არის დადასტურებული (ბაბუნაშვილი, 1953: 81). ამ ყოველივეს კი სალიტერატურო ენაზე ცოცხალი მეტყველების გავლენით ხსნიან.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში თუ ნაწილაკის ფუნქციათა შესახებ აზრთა სვადასხვაობაა.

ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს, რომ “წინადადებას თუ რომც ჩამოვაკლოთ, იგი ისეთივე კითხვითად დარჩება. ამდენად, ამგვარ კითხვით წინადადებაში თუ-ს კითხვითობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს, იგი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირი უნდა იყოს, რომლის მომდევნო, საპირისპირო წევრი გვაკლია. მაგალითად: ხორციელები იყვნენ თუ? // ხორციელები იყვნენ თუ არ იყვნენ?” (ერთელიშვილი, 1963: 202). იგი ექვექვემ აყენებს გ. როგავას აზრს იმის შესახებ, რომ “კითხვითობის აზრს “თუ” შეიცავს შესუსტებული სახით, როცა იგი ორ წევრს წინადადებისას აერთებსო” (როგავა, 1948: 375).

ფ.ერთელიშვილის დაკვირვებით, “კითხვითი წინადადება არსებითად იმიტომ არის კითხვითი, რომ იგი პასუხს საჭიროებს (შდრ. ხორციელები არ იყვნენ? - არა!). ასეთი წინადადება კი (ხორციელები არ იყვნენ თუ?) მხოლოდ ინტონაციით ჰგავს კითხვითს, კითხვითობის არსებით მხარეს მოკლებულია და პასუხს თვით შეიცავს” (ერთელიშვილი, 1963: 202).

ამ ორი მეცნიერის მსჯელობაზე დაკვირვებით მ. ფალავა ამბობს, რომ “ახალ ქართულში აღნიშნულ ნაწილას კითხვითი შინაარსი უთუოდ ახლავს, მაგრამ ეს მისთვის მეორეული ფუნქციაა, მას შემდეგ შექმნილი, რაც მაჯგუფებელკავშირიან სინტაქსურ კონსტრუქციას მეორე წევრი ჩამოსცილდა. და თუ აღნიშნულ ნაწილაკიანი კითხვითი წინადადება პასუხს არ მოითხოვს, პასუხს თავად შეიცავს, ეს მისი თავისებურებაა” (ფალავა, 2009: 53).

არც ისაა შემთხვევითი, რომ “თუ” ნაწილაკიან კითხვით წინადადებაში სპეციალური კითხვითი სიტყვები აღარ იხმარება, “რადგან თვითონ აწარმოებს ზოგად კითხვას” (აფრიდონიძე, 1970: 26).

თუ-ს კითხვითი შინაარსი განსაკუთრებით კარგად ჩანს აჭარულ დიალექტში: მაგალითად: მე ფარა'ნა ჩავაბარო იქა თუ? ( ნოდ. II. 39).

გასათვალისწინებელია თუ-ს ადგილი სინტაქსურ კონსტრუქციაში, რადგან წინადადებაში პოზიციის მიხედვით, შესაძლოა მსჯელობა მის ნიუანსურ მხარეებზეც. როდესაც ნაწილაკი - თუ წინადადების ბოლოს დაისმის და თან უშუალოდ მოსდევს ზმნა-შემასმენელს, ის აუცილებლად შეიცავს ისეთ კითხვითობის გაგებას, რომელშიც მოლოდინთან ერთად მოუბრის მიერ თანამოუბრისაგან შესაძლო პასუხიც ნაგულისხმებია და წინასწარი განწყობა-დამოკიდებულებაც დაფიქსირებულია.

➤ თავის გადანაყარს დაუთვლიდა თუ საწყალი? (ქ.დ. 55).

მეორე მხრივ, იგი გამოავლენს თავის პირველად, კავშირებით ფუნქციას და კითხვით მოდალობას ერთდროულად.

➤ ისევა გძინამსო თუ გაიღვიძეო? (ქ.დ. 295).

ამრიგად, თუ - ნაწილაკი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირია, რომელიც წინადადების ორ წევრს, ან ორ წინადადებას აერთებს ერთმანეთთან. იგი, როგორც კავშირი საშუალო ქართულში ყალიბდება და თან იძენს კითხვით შინაარსს. ჩანასახის სახით ეს „ვეფხისტყაოსანში“ შეიმჩნევა. თავდაპირველად აღნიშნულ ფუნქციას “თუ” ცოცხალ მეტყველებაში იძენს, საიდანაც სამწერლობო ენაში გადადის.

## 2. 4 კითხვითი მოდალობის გამოხატვის სინტაქსური დონე

### 2.4.1 კითხვითსიტყვიანი წინადადება ქართულში

ქართულში კითხვითი მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალება აღწერითი კონსტრუქციები ანუ კითხვითსიტყვიანი შესიტყვებებია. ის მოითხოვს კითხვით სიტყვაზე პასუხს, რომელიც შეიძლება მოკლედ (ხშირად ერთი სიტყვით) გადმოიცეს.

კითხვითი სიტყვებია: კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? რომელი? სადაური? როდინდელი? რამდენი? ვისი? რისი? და კითხვითი ზმნიზედები: სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენჯერ?... ისინი წინადადების წევრებიც არიან და გადმოგვცემენ ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებას ან გარემოებას.

ქართული სალიტერატურო ენის სამივე ეტაპსა და დიალექტურ ფორმებში, კითხვის მაწარმოებლად, პროდუქტულობის თვალსაზრისით, რა ნაცვალსახელი გამოიკვეთა, მას ყველაზე ხშირად ვხვდებით სახელობით და ვითარებით ბრუნვებში, იხმარება როგორც თანდებულიანი ფორმით ისე უთანდებულოდ.

ძველ ქართულში რა-ს არ მოეპოვებოდა მოთხრობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები. ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის მიხედვით, რა-ს საჭიროების შემთხვევაში ენაცვლებოდა რომელი. ნათესაობითის ფორმა რაღსა და ვითარებითის რად (მას არ გამოყოფს ზ. სარჯველაძე) იხმარება რატომ სიტყვის მნიშვნელობით. ამავე სემანტიკით დასტურდება, აგრეთვე, რაღსათვის.

#### შუშანიკის წამება:

- რაღსა ხელიწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? (35);
- რაღ გინების? (40);
- მე რაღ ვარ, არაღირს ესე? (53);
- რაღსა მკითხავ ამას? (34);
- გამომეც ცოლი ჩემი, რად განმამორებ ჩემგან? (41);
- უფალო რაღსა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი? (41);
- ხუცეს, რად მწუხარე ხარ? (50).



### **გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება:**

- რად გრქვა შენ ანგელოზმან? (186);
- რად გევენების? (178);
- რადსათვის არს მოსლვაჲ შენი? (148);
- რად სცეთ, საწყალ, და მე მაცთუნებ? (204).

### **რუსუდანიანი:**

- რა გრჯიდა შენ ჩინეთისა ნახვისათვის? (31);
- თუ რამ გაკლიაო, კიდევ მოგიმატებ და რად გინდა ჩემი გაყრაო? (167);
- ის ყმაწვილები რასათვის მე არ მომყიდუო? (156);
- ყმაწვილობასა შინა რისთვის გაგზარდა მამამან შენმან ბრძენთა და მეცნიერთა კაცთა თანა? (158);
- რით შეიტყვეთ ეგეთებო თუ თვალით არ ნახეთო?(165);
- რად მოინდომეს ჩემი ხელმწიფობაო?(176);
- შენ რად არ უსმენ ამისთანათა პატრონთა მშობელთა?რად მოიკლავ თავსა?(192).

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ამ ძეგლში დაძებნილ ისეთ სინონიმურ კითხვით სინტაქსურ კონსტრუქციებზე, რომელთა ემოციური ფონის გასაძლიერებლად მთლიანი კითხვითი წინადადება მეორდება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

### **რუსუდანიანი:**

- რად იდენ ცრემლთა მწარეთა ანუ რად მოიკლავ თავსა? (165);
- აწ რა ვქნათ ანუ რას მრავალს ვიტყოდეთ? (154);
- რად მიზამ და ანუ რად მოიკლავ თავსაო, ანუ შენითა სევდითა მე რად მომკლაო? (190);
- ვინ დამიბნელა ნათელი ძუე და ვინ წამართვა ცისკარი ბრწყინვალე? (198);

ზოგადი ტენდენცია ძველსა და საშუალო ქართულში რა – კითხვითსიტყვიანი აღწერითი წარმოებისას ერთია; რად უმეტესად = რატომ'-ს, ნათესაობითში რა

უკვეცელია, სახელობითში კი დ \_ დაერთვის, თუმცა საშუალო ქართულში შეინიშნება მზადება ახალი საფეხურისათვის, კერძოდ, ჩნდება რა - ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა, რაც ძველმა ქართულმა არ იცის.

ახალ ქართულში რა- კითხვით ნაცვალსახელს წოდებითის გარდა ყველა ბრუნვა მოეპოვება.

**ილია:**

- ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდა? (11);
- რა დავა ჰქონდა? (გვ.12);
- მარტო რად დავრჩები? (21);
- ჯადო რა მოსატანი იყო? (13);
- რა ვუყო? (12);
- ამით მითამ რაო? (13);
- ეგ რაზედა სთქვი? (20).

როგორც აღვნიშნეთ, რა \_ ნაცვალსახელი არამარტო სალიტერატურო ძეგლების ენაში, არამედ დიალექტურ ფორმებშიც მრავალფეროვან სურათს გვაძლევს და ყველაზე პროდუქტიული კითხვითი ნაცვალსახელია. ცოცხალ მეტყველებაში მას წოდებითის გარდა ყველა ბრუნვაში ვხვდებით, როგორც თანდებულთ ისე უთანდებულოდაც. თავისუფალია პოზიციაც, შესაძლოა იწყებდეს კითხვით წინადადებას ან შესიტყვებებს შორის იყოს მოქცეული.

- **ხევსურული:** ქვე რა გიყავიე ამხანაგისავ? (ქ.დ.18);  
არხოტიონ კაცივ ჩემ კარზე რამ მაგიყვანავ? (ქ.დ.20);
- **მთიულური:** რა უნდა სიკეთე გიყოო? (ქ.დ.74);  
გამოგაჩინოო, რაც კაცი ხარო? (ქ.დ.66);
- **ქ/რაჭული:** შენ გუშინ სიმთვრალეზე რას ამობდი? (ქ.დ.506);
- **მთიულური:** რას ჩასცქერ მიწასაო? (ქ.დ.70);
- **ჯავახური:** რაზედ მამიკლეს ქმარი? (ქ.დ.242);
- **გუდამაყრული:** ის ლაშქარი რაზე ეცემოდა თავზედა? (ქ.დ.87).

ცოცხალ მეტყველებაში რა კითხვით ნაცვალსახელს, ნათესაობით ბრუნვაში ვხვდებით როგორც შეკვეცილი ფორმით, ისე პირიქით.

- მთიულური: ახ, მამიო, რისთვინ გამაღვძეო?(ქ.დ.67);
- რაისას გებანებაო? (ქ.დ.64);
- ჩონი მეცხორული ზღაპარი თქვენ რაისთვი დაგითოლოთო? (ქ.დ.54);
- ქართლური: შენაო რით აცხოვრებდი შენ შვილებსაო? (ქ.დ.94);
- ფშაური: რად არ შააბი გუთანნი, თუ ჰქნევდი სვიდისაო? (ქ.დ.134);
- და ახლა რად წავიდა, კაცო? (ქ.დ.135);
- მოზდოკური: მამა \_ ვჰკითხავს: \_ რათა, შვილო? (ქ.დ.169);
- ხევსურული: რაჯელ გული გაქვთავ კაცთავ? (ქ.დ.18);
- თუშური: ან რაყ. . . ხქენივ იმდენ ლაშქარივ? (ქ.დ.108);

ზოგჯერ ერთ კითხვით წინადადებაში ორი კითხვითი სიტყვაც იყრის თავს:

- მთიულური: რა ამბავიაო შენსა თავსა, ფიცარზე რატომ ხარ გაკრულიო? (ქ.დ.67);
- გუდამაყრული: რა ამბავი შეს თავს, რისგან ხარ მოკლული? (ქ.დ.96).

რა \_ კითხვითი ნაცვალსახელის გარდა, დასტურდება ვინ, როგორი, რატომ, სად, როდის და სხვა კითხვითი სიტყვები, თუმცა დიაქრონიულ დერძზე მათი ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია.

- შიგნიკახური: შენ ვინა ხარო? (ქ.დ.196);
- ქართლური: ვინ მიკეთებს საჭმელ? (ქ.დ.328);
- მოხეური: ვინ გაუტანს იმას წამალსაო? (ქ.დ.45);
- ხევსურული: ვინ წინა ნიგვზიანს ორმოჩია? (ქ.დ.24);
- იმერული: თქვენ ვინა ხართ.....? (ქ.დ.298);
- რივნისთაული: რატომ ვერ ეტევითაო? (ქ.დ.526);
- ზ/რაჭული: რატომ ისე არ მოიქცაო? (ქ.დ.518);
- ქ/იმერული: რატო დეიგვიანეო? (ქ.დ.474);
- ხევსურული: რატო არ დალევს შენი სტუმარიო? (ქ.დ.23);

- მთიულური: რატომ შააქამე ყანაო? (ქ.დ.74);
- მთიულური: ეს ვინ ტირისო, ეს ბებერიო? (ქ.დ.76);
- ქართლური: ბიჭო, მოსამსახურეს რატო არ აძლემო? (ქ.დ.298).

**რუსუდანიანი:**

- ვინ ხარ უცხო დარიბი? (156);
- ჩემთა გაზდილთა ვინ აცნობებდა? (178).

**გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება:**

- ვისთვის არს სიტყვაჲ ეგე დამტკიცებითი?(151);
- მაშინ ვინაჲ იყოს ჩემდა ხსნა ბრალთა პატიჟისგან? (102).

**ილია:**

- უცოდველი ვინ არის? (16);
- როგორ გიკითხო? (20);
- მერე ვისთან აპირობ დგომას? (17);
- რატომ ადრე არ იცოდი? (13);
- რატომ ეგრე ახლა მიმივიდა? (14);
- საიღამ სადაო? (17).

საანალიზო ფორმებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვითი სიტყვა, ჩვეულებრივ, იწყებს წინადადებას, ხოლო მეორე ადგილზე მისი წყვილის ცალია. ზმნასთან დაკავშირებულ კითხვით სიტყვებს – ქვემდებარე-დამატებად შეწყობილ ნაცვალსახელებსა და კითხვითი ზმნიზედით გადმოცემულ გარემოებას – უშულოდ მოსდევს შემასმენელი, ხოლო კითხვით ნაცვალსახელებს, რომლებიც წინადადებაში არსებით სახელთან არის დაკავშირებული და ამის გამო მსაზღვრელის ფუნქცია აკისრია, – საზღვრული წევრი. დიაქრონიულ ღერძზე კითხვით სიტყვათა ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია. ისინი დროთა დინებასთან ერთად ივსებენ ბრუნვებსა და ენაც აღწერით კითხვით მოდალობას ანიჭებს უპირატესობას.

## 2.4.2 უკითხვითსიტყვო კითხვითი წინადადება ქართულში

კითხვითი წინადადების ორგანული წარმოება კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების გარეშე შექმნილ სინტაქსურ კონსრუქციებს წარმოადგენს, სადაც კითხვითობის გამოხატვა ინტონაციას ევალება. უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ რომ „ინტონაცია

➤ მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობაა, რომელიც დამოკიდებულია ტონის აწევ-დაწევაზე,

➤ ის წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს და ხმის სახეცვალებაა სიმაღლის მიხედვით.

მეტყველებაში აზრის ლოგიკური გამოხატვისა და ინტონაციური გამომსახველობის საშუალებებია:

- **პაუზა**, რომელიც არსებითად მეტყველების რიტმის წევრია;
- **მელოდია**, ხმის ტონის მოძრაობა, ამაღლება, დადაბლება;
- **დინამიკა**: ხმის გაძლიერება - შესუსტება;
- **რიტმი**: მეტყველების ელემენტების მოწესრიგება დროის განზომილებაში;
- **ტემბრი**: ხმის ელფერის ცვალებადობა;
- **ტემპი**: მეტყველების სიჩქარის ხარისხი” (მრევლიშვილი, 1971: 65).

ინტონაციის ეს ძირითადი კომპონენტები, ერთის მხრივ, აწარმოებენ მეტყველების დანაწევრებას რიტმიკულ ჯგუფებად, სინტაგმებად, ფრაზებად და ა. შ., ხოლო მეორეს მხრივ, ამ ერთეულების გაერთიანებას ახდენენ და წარმოიქმნება უწყვეტი ინტონაციური მთლიანობა, აზრის მთლიანობის შესაბამისად. ინტონაციური მრავალფეროვნება მეტყველების ორგანული ელემენტია და იგი ბგერის საშუალებით ხორციელდება.

წინადადებაში სიტყვათა სწორი გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციურ მონახაზს ანუ მის ელფერს. ინტონაციის საშუალებით მეტყველებას შეიძლება სიტყვათა მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრი მიეცეს და მოდალობაც სხვა გამოხატოს. მაგალითად:

- „გარეთ ისევ წვიმს და ჯერ ადრეა!“
- „გარეთ ისევ წვიმს? და ჯერ ადრეა?“

პირველ შემთხვევაში ვაწვდით კონკრეტულ ინფორმაციას და ტონის დაბლა დაშვება ხდება. ხოლო მეორე შემთხვევაში ვსვამთ კითხვას და ტონს მაღლა ვწევთ. გავითვალისწინოთ, რომ ქართულში ლოგიკური მახვილი, აღწერით კითხვით წინადადებაში, არა წინადადების ბოლო სიტყვაზე, არამედ კითხვით სიტყვაზე მოდის. [აქვე მოკლეთ განვმარტავთ ლოგიკური მახვილის ფუნქციას.]

ფრაზაში სიტყვის საგანგებო გამოყოფას, ლოგიკური მახვილი ეწოდება. ენის კანონების თანახმად, ლოგიკური მახვილი წინადადებაში ესმის გარკვეულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს და ეს სიტყვა გამოიკვეთება ცოცხალ მეტყველებაში. ამ დროს არ იცვლება წინადადების აზრი, შინაარსი, მაგრამ იქმნება განსხვავებული ნიუანსი. ლოგიკური მახვილით გამოვყოფთ სიტყვას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმასა და, აგრეთვე, დიალექტურ ფორმებში იქნება სრული ერთგვარობა და გარკვეულობა მაშინ, როცა ზმნას წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს; ინტონაცია აღმავალია. კითხვის მახვილს ატარებს ბოლო მარცვალი, რომელიც გაგრძელებულად წარმოითქმის. მაგალითად:

- **მთიულური:** მემრე ისივ რო წავიდნენ ეს ცხვრები და – არაჲ დგებითო? (ქ.დ.64);
- **ჯავახური:** ორნი შევიდეთ, ოთხი გავხდეთო? (ქ.დ.356);
- **ქართლური:** ჩვენ საწყლებს ქალს მოგვცემსო? (ქ.დ.324);
- ხუთკუნჭულა, გამადსწარი? (ქ.დ.296);
- სოლომონ ბრძენი მანდ არისო? (ქ.დ.303);
- **ხევსურული:** იცნობაევ, რომენმაცავ შენავ სისხლი მაგადინავ?(ქ.დ.315).

აქვე გადავხედეთ ძველი და საშუალო ქართული ლიტერატურის ძეგლებს, შედეგად ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კითხვის ორგანული წარმოება აქაც ინტონაციურია და მახვილის გადანაწილებაც თითქმის ისე ხდება, როგორც ახალ ქართულში. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

### შუშანიკის წამება:

- ნუუკუე ცნას და მომკლას მე? (39);
- და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? (36).

### გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება:

- იხილეთღა', ძმანო საყვარელნო, სიმდაბლე საქმით სრულ ეპიფანეს? (162);
- უკეთუ მწვალებელთა შვილი მოქცეოდეს მართლმორწმუნედ, ნათლისღებად უხმსა' ანუ არა? (194);

- აწ უკვე შემძლებელ ვა'რთ ცილობად უფლისა ბრძანებასა? (126).

როდესაც შემასმენელი არ არის წინადადების ბოლოში, კითხვითი მახვილი მაინც მას გადაჰყვება, წინადადების დასასრულს ტონი დაბლდება, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას თხრობითში აქვს ადგილი. ინტონაცია აღმავალ-დამავალია. მაგალითად:

- **ზ/რაჭული:** შენ ხარ ჩემი შვილიო? (ქ.დ. 518);
- **ქ/აჭარული:** მერე ეს ჩემი წერილიაო? (ქ.დ.514);
- **გუდამაყრული:** გუდამაყრელებს რო ხანჯარი უყორს, პირბასრი, პირაჭრელიუა? (ქ.დ.80);
- **ქართლური:** შენ გენაცვალე, ნევსები გლახააო? (ქ.დ. 307);  
გამლახა ქალმაო? (ქ.დ.308).

ზოგადად მოდალობაზე საუბრისას, და განსაკუთრებით კითხვითობის საკითხზე მსჯელობისას ინტონაციასთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებასაც. თუ კითხვის ქვეშ დაყენებულია არა შემასმენელი, არამედ წინადადების სხვა წევრი. ეს უკანასკნელი შემასმენლის წინ ექცევა და ინტონაცია უფრო რთულ სახეს იღებს: ასეთი სიტყვა ლოგიკური მახვილით გამოიყოფა, ხოლო კითხვის მახვილი შემასმენლის ბოლო მარცვალზე მოდის. **მაგ: ეს წიგნი იმან დაწერა'?**

ამ წინადადებაში ლოგიკური მახვილით გამოიყოფა ქვემდებარე იმან, კითხვის მახვილი კი შემასმენელზეა. ქვემდებარე რომ პირველ ადგილზე გადმოვსვათ, ლოგიკური მახვილის ქვეშ სხვა სიტყვა დადგება: **იმან ეს წიგნი დაწერა'?**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზემოთ დასახელებული წინადადებები ქვეწყობილი კონსტრუქციის მთავარი წინადადებაა, დამოკიდებულ წინადადების სახე ლოგიკური მახვილის ქვეშ არსებული წევრის შესაბამისად შეიცვლება, ამის მიხედვით პირველი მაგალითი ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას გვექნება, მეორე კი - განსაზღვრებითი.

თუ ზმნა-შემასმენელი გამოტოვებულია, კითხვის მახვილი იმ სიტყვის პირველ მარცვალზეა ბოლოდან, რომელსაც წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

➤ -მარტო ეგ რას გვეყოფა? -ერთი კარგი ჩიხირთმა? - ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა? (ილია.349);

➤ ლევან! ეს კარგი, მაგრამ ჩემი ბრძანება? (ბარნ.276).

თუ ამ ტიპის წინადადების ბოლოს მიმართვაა, კითხვის მახვილი მის წინ მდგომი სიტყვის პირველ მარცვალზეა (ბოლოდან). მაგალითად:

➤ -შენი სახელი', ძმობილო? -მკითხა იმან (ილია.271);

➤ - არა', დათო? შენა', დარეჯან? (ილია.123).

კითხვა ზოგჯერ მიმართვითაც არის გადმოცემული. ამ შემთხვევაში კითხვის მახვილიც მასზეა. მაგალითად:

➤ ცირა! \_ ბატონო? (წერ.256);

➤ ბატონო? ამას მე მეუბნებით? (ილია.35)

ზოგჯერ თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი არა (ან დადასტურებისა ხომ), რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს. ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი და სიტყვა-წინადადების ბადალია. კითხვის მახვილი მასზეა. მაგალითად:

➤ დილით ბებეს წინდა უეჭველად მოქსოვილი დახვდებოდა, არა? (რაზ.82).

ორგანული კითხვითი წინადადების გადმოსაცემად, განსაკუთრებით კი დიალექტებში, არცთუ იშვიათად დასტურდება წართქმითი შინაარსის კითხვითი კონსტრუქციები, მხედველობაში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკებით არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების გამოხატვა, სადაც ლოგიკური



მახვილი სწორედ უაყოფით ნაწილაკებზე მოდის, ხოლო კითხვას შემასმენლის ბოლო მარცვალზე დაცემული კითხვითი ინტონაცია ქმნის. საილუსტრაციოდ მაგალითებს სხვადასხვა დიალექტური კითხვითი კონსტრუქციიდან დავიმოწმებთ:

- ხევსურული:
- არ დაგიძინავ? (ქ.დ.24);
- ყმაწვილებ მამაგებებავ, დიშვილებიცეევ, არცრუ გებრალეებიანთაევ? (ქ.დ.13);
- ეგ კოჭლა მაინც არ წამიყვანსაევ? (ქ.დ.22);
- ვერ მიცნობაევ, მინდიაო? (ქ.დ.17);
- მოხეური: იმან არაფერი გაიმბა? (ქ.დ.27);
- გუდამაყრული: ჩემო დედი, არაფერი წამალი არ იცი რა ამისიო? (ქ.დ.100);
- მთიულური: შენც უნდა დალივო, აღარ დაიშლი? (ქ.დ.54);
- შიგნიკახური: თვალებიდგან ვედარა ძხედამ? (ქ.დ.179);
- ზ/აჭარული: უმფროს-უნცროსი ალა იციო? (ქ.დ.396);
- შენ სახში სულ არავინა გყავს? (ქ.დ.404);
- ზ/იმერული: აღარ მოხვალ, ჭინჭრიკელა ისევაო? (ქ.დ.444);
- მე მამაი არ მყოლიაო? (ქ.დ.442);
- აქ ლურჯი ძროხა არ არიო? (ქ.დ.444);
- არაფერი არ გვყანდა ჩვენეო? (ქ.დ.444);
- ქართლური: სული აცხონე და შენი არ ვიქნები მერეო? (ქ.დ.302);
- არ გეშინიან დევისა, რო შეგჭამოს? (ქ.დ.301);
- ბიჭოო, შენაო ბატონითვინ ძღვენი არ მიგირთმევიო? (ქ.დ.298);
- ცხრამეტ დედალსა ერთი მამალი არ უნდაო? (ქ.დ.308).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კითხვითი მოდალობის გამოხატვის ორგანული წარმოება მთელ დიაქრონიულ ღერძზე პროდუქტული იყო ქართულის სალიტერატურო ძეგლებსა თუ ზეპირ მეტყველებაში. კითხვის გამოხატვა კი ინტონაციის საშუალებით ხდება და ხდებოდა. არჩევანი მრავალფეროვანია: კითხვით მახვილთან ერთად ენა იყენებს ლოგიკურ მახვილს, უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათა რიგს (იშვიათად), ინტონაციაც შესაბამისად არის, აღმავალი ან აღმავალ-

დამავალი. კითხვითი მახვილი კი, მიუხედავად პოზიციისა, თითქმის ყოველთვის შემასმენლის ბოლო მარცვალს უკავშირდება.

## 2.5 კითხვითობის სტილისტიკური ფუნქციისათვის

ყოველი საკომუნიკაციო აქტის ბირთვი არის წინადადება. კითხვითი წინადადების შესაძლებლობანი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავია და ძალზე მრავალფეროვანი. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ დავაკვირდებით მხატვრულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებსა, სამეცნიერო თუ სხვა სახის სტატიებს, მოვუსმენთ დიალოგებსა და ზეპირ საუბარს.

ჩვენ გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ პუბლიცისტურ სტილზე, გამომდინარე იქიდან, რომ პუბლიცისტური დისკურსის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს კითხვითი წინადადება.

როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, კითხვითი წინადადება ბევრ თავისებურებას ავლენს. მისი ძირითადი, ანუ პირველადი ფუნქცია ინფორმაციის მოპოვება-შევისება, პასუხის მიღების მოთხოვნა - კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრის დადასტურება ან უარყოფაა. ამ ეტაპისათვის ჩვენი მიზანია, განვიხილოთ კითხვითი მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა შესაძლებლობანი და თავისებურებანი პუბლიცისტურ სტილთან მიმართებაში, ვიმსჯელოთ მის ნიუანსურ მხარეებზე და შედეგად წარმოვაჩინოთ კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური ტიპები.

ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა სტატიის სათაური კითხვითი წინადადებაა. მართალია, იგი გაფორმებული არ არის ბოლოში კითხვის ნიშნით, მაგრამ მასში ცალსახადაა წარმოჩენილი კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია \_ მთლიანი სტატია \_ ტექსტი არის სათაურის პასუხი:

➤ „ღირსებააყრილ ქვეყანაში „ღირსების ორდენს“ რა უნდა?“ („ივერია“: #49).

ა. დავითიანს „ქართული ენის სინტაქში“ გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ შეიძლება კითხვა თხრობითი წინადადებით გამოიხატოს, ანუ შეიძლება თანამედროვე ქართულში კითხვითი სიტყვა შეგვხვდეს თხრობით წინადადებაშიც. და რომ ეს ხშირია პერიოდული პრესის სათაურებში. მაგალითად მოჰყავს შემდეგი

სათაურები: „როგორ ემზადებიან თესვისთვის“, „რა გვიამბო ქარხნის დირექტორმა.“  
ავტორი თვლის, რომ კითხვითი სიტყვები მითითებას აძლიერებენ და ყოველ ასეთ წინადადებაში მითითებითი ნაწილაკი „აი“ იგულისხმება.

ზემოაღნიშნულს ეხმიანება ხ. მაჭავარიანი თავის სტატიაში „კითხვითი წინადადების სემანტიკური ტიპები.“

ავტორი ამბობს, რომ “შესაძლოა აღნიშნული მოსაზრება ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებული იყოს, მაგრამ „ყოველ ასეთ წინადადებაში,“ არ შეიძლება იგულისხმებოდეს მითითებითი ნაწილაკი. ვინაიდან ამ უკანასკნელს სხვაგვარი ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა აქვს და სათაურს უცვლის დანიშნულებას. აქედან გამომდინარე, მსგავსი წინადადება-სათაური ვერ იქნება თხრობითი ორი მიზეზის გამო: პირველი – წინადადებაში არის ფუნქციურად დატვირთული კითხვითი სიტყვა; მეორე – წინადადება კითხვითი შინაარსისაა და მოითხოვს პასუხს. პასუხს კი თვით სტატია-ტექსტი წარმოადგენს“ (მაჭავარიანი, 2005: 187).

ჩვენი აზრით, ხ. მაჭავარიანის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი სავსებით ლოგიკურია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში უკვე შეინიშნება ახალი ტენდენცია კითხვის წარმოებისა და შესაძლებელია, გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოიკვეთოს, ამ ეტაპისათვის კი ამაზე საუბარი ნაადრევი გვეჩვენება.

კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია კარგად ჩანს დიალოგებში, განსაკუთრებით – ინტერვიუებში, იმ კითხვების სახით, რომლებსაც ჟურნალისტები რესპოდენტებს უსვამენ.

ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე სარეკლამო ციტატები შეკითხვის სახითაა გაფორმებული. ბუნებრივია, ყოველივე ამას კომერციული ინტერესები განაპირობებს, ანუ, რაც მეტია კითხვა, მით მეტია პასუხის მიღების მოლოდინიცა და ალბათობაც.

➤ გსურთ, თქვენი პროდუქცია ან მომსახურება აშს-ს ბაზარზე გავიდეს? („ივერია“: #35);

➤ გასურთ, თქვენი საქმიანობით დაინტერესდნენ საქართველოს მოსახლეობა და მყიდველუნარიანი ამერიკელი ქართველები? ეს შესაძლებელია! („ივერია“:#35).

ხშირად კითხვითი წინადადება ემსახურება ავტორის მობილიზებას წერილში დასმული პრობლემისა და გამოთქმული მოსაზრებისადმი. ამით აზროვნების კონცენტრირება ხდება სწორედ სტატიის მიზანზე.

ზოგჯერ კი მას „გადატანითი“ ფუნქცია ეკისრება, როდესაც ავტორი ცდილობს, ერთი თემიდან ან საკითხიდან მეორეზე გადავიდეს ან სიტყვა გადასცეს რესპონდენტს.

საკუთარი შეხედულებებისა და პოზიციის გამოსახატავად ავტორები ხშირად მიმართავენ რიტორიკულ შეკითხვებს, რომლებიც სინტაქსურად ჩართულის სახითაა გაფორმებული. ამასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებს ხ. მაჭავარიანი და ამბობს „ზეპირ მეტყველებაში სიტყვის მასალად რიტორიკული შეკითხვების ინტენსიურმა გამოყენებამ, იგი დროთა განმავლობაში ჩართულად აქცია და სპონტანური მეტყველების განუყოფელი ნაწილი გახდა“ (მაჭავარიანი, 2005: 189).

თვალსაჩინოების მიზნით, შესაბამის მაგალითებს სოციალური მედიიდან დავიმოწმებთ:

- კარტელური გარიგება?!;
- ხაზარაძე ფრთხილად იყოს?!..." - პოლიტიკური სანქცია თუ საექვო ტრანზაქცია?!;
- როდის მოხდება ქართული ეკონომიკური სასწაული?!;
- შავი სიიდან" მოვალეები კერძო მევახშეთა კლანჭებში გადაინაცვლებენ?!;
- ვინ დააღწევს თავს ვალის ორმოს?!.;
- ვინ მდიდრდება ლარის კურსით?!;
- ვინ ითბობს ხელს ლარის გაუფასურებით?! ;
- უნებართვო მშენებლობები მერძას ორ წელიწადს „ეპარებოდა"?!;
- - ვინ ცდილობს პურის ბაზრის კონტროლს?!;
- ავტომობილების „ბოლვაც" ლეგალიზებულია?!;
- სირიაში როგორი ომისთვის მოემზადა რუსეთი?!;

➤ რატომ არ ვასმევთ „ნატოს“ „ბორჯომს“ ავღანეთში?!

არცთუ იშვიათად ვხვდებით თანამედროვე პრესაში ალტერნატიული ტიპის შეკითხვებს, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს არჩევანის საშუალება ეძლევა, ამასთან, იგი აძლიერებს ემოციას. მაგალითად:

➤ ერთი კი, ალბათ, ყველას თანაბრად გვაინტერესებდა: ან თავდაპირველი დაუზოგავი კრიტიკა რას ნიშნავდა, ან ბოლოს გამოთქმული მადლიერება და ქება?(„ივერია“:#49);

➤ ნუთუ ერთმა მოხდენილმა ხუმრობამ ყველაფერი შეცვალა? („ივერია“: #49). კითხვითი წინადადების გაფორმების თავისებურ საშუალებაზე საუბრობს ა. დავითიანი, და კითხვის გაძლიერების შესაძლო ვარიანტებსა და შემთხვევებს განიხილავს, რაც კითხვის გაორკეცებით და ჩაკითხვით ხდება. „კითხვის გაძლიერებისას მეორდება სინონიმური სიტყვა, შესიტყვება ან წინადადება. მსგავსი ფორმები ძლიერი ექსპრესიულობით გამოირჩევა და მკითხველის ემოციებზეა გათვლილი (დავითიანი, 1966: 76). მაგალითად:

➤ როცა უკან ვიხედები და წარსულს ვიხსენებ, მოსვენებას არ მაძლევს კითხვა \_ რატომ და როგორ მოხდა, რომ ამ ადამიანებმა თავიანთი პიროვნული ნიჭიერების ბადალი შემოქმედებითი ნაყოფი ვერ გამოიღეს? ისიც საკითხავია, ჩვენი შემოქმედებითი შრომის ნაყოფიერება რატომ არის მცირე? მას მესამე კითხვაც ემატება \_ რატომ არის ქართველი ხელოვნის (მწერლისაც) ნიჭიერების გამოვლენა არასტაბილური? (ლიტ. საქ: #32).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, პრესის ენაში და არამარტო, ვხვდებით ფრაზეოლოგიზმებად ქცეულ შეკითხვებს, ექსპრესიული დატვირთვით.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მაგალითები ვერ ამოწურავს კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებების შესწავლა-განხილვას, \_ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პუბლიცისტურ სტილზე გვაქვს საუბარი, \_ მაგრამ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული წინადადებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს პუბლიცისტურ სტილს,

წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

ქართულ დისკურსში კითხვითი მოდალობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ირიბ სამეტყველო აქტებში დაფიქსირებულ კითხვათა ტიპოლოგიური ჯგუფი:

- კითხვა – მტკიცება - „ვის არ უყვარს ლამაზი ქალი?!“
- კითხვა – ვარაუდი - „ნეტა დღეს იწვიმებს?“
- კითხვა – უარყოფა - „მართალია არა?“
- კითხვა – ბრძანება - „არ წავედით, კაცო?“
- კითხვა – შეპირება - „ხვალ კინოში წავიდეთ?“
- კითხვა – სასწავლო - „ეს ფანჯარაა?“
- კითხვა – ეტიკეტი - „როგორ ხარ?“
- კითხვა – ემოცია - „დაიფიცე, მართლა?“
- კითხვა – თხოვნა - „შეგიძლია გააღო ფანჯარა?“

მოცემული მასალა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ლინგვისტურ ქრილში მოდალობის ანალიზი სამეტყველო აქტების თუ ზოგადად, დისკურსის ანალიზისას, რეალობის ობიექტური ასახვის უნივერსალური გამოვლინება და კომუნიკანტთა მთავარი მიზნის, წარმატებული კომუნიკაციის მექანიზმი.

## თავი III

### 3.1. სემანტიკური ველის კონცეპტუალიზაცია

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დორსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას. ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია დროსა და სივრცეში. იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში.

ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა ერთი შეხედვით, კონცეპტუალური ანალიზი სემანტიკურ ანალიზს ჰგავს, თუმცა სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის თავისებურების წარმოდგენა. კონცეპტუალური ანალიზის არსი მდგომარეობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული კავშირების იდენტიფიცირებაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის დესკრიფციას, არამედ „მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა— თავისებურების განსაზღვრას. სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე, საბოლოო ჯამში კი, სიტყვის ახსნაზე. კონცეპტუალური ანალიზი კი გულისხმობს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ინტეგრალური ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას. დასკვნის სახით, შესაძლოა, ითქვას, რომ კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან იდეალიზირებულ

წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს (თ. შარაშენიძე, 2018: 4).

მოდალური სემანტიკა ენებში უკავშირდება ძირითადად ორ კატეგორიას: ერთი თავად მოდალური სისტემა, ხოლო მეორე-კილოს კატეგორია. ამ კატეგორიათა კავშირი უნივერსალია და სხვადასხვა სახით ყველა ენაში ვლინდება. ენათა უმრავლესობაში ორივე კატეგორია არსებობს, მაგრამ შესაძლოა, ეს კატეგორიები სხვადასხვა ძალით იყოს გამოხატული.

იმ ენებში, რომლებშიც კილოს კატეგორია ძლიერია და მორფოლოგიურად ჩამოყალიბებული, მოდალური სისტემა ნაკლები სიმდიერით ხასიათდება და ლექსიკური საშუალებებით გადმოიცემა, ხოლო იმ ენებში, რომლებშიც მოდალური სისტემა კარგადაა განვითარებული, კილოს კატეგორია ნაკლებადაა მორფოლოგიურად გამოხატული (Palmer, 2001: 4).

### 3.2. მოდალობის გამოხატვის მორფოლექსიკური დონე

მოდალობა ენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რამდენადაც მუდმივ მიმართებას ავლენს გამონათქვამსა და მის სემანტიკას შორის. ფართო გაგებით, მოდალური შინაარსისაგან სრულიად დაცლილი წინადადება თუ დისკურსი არ არსებობს. წინადადებით გამოთქმული შინაარსისადმი ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება - კოგნიტური, ემოციური თუ რაციონალური. მთქმელი ამ დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ სხვადასხვაგვარია მისი გამოხატვის საშუალებები. გამონათქვამისადმი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტების საშუალებით, ფოკუსით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და ჟესტიმიმიკებით. მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, გამოხატვის მთავარ საშუალებად განიხილება ის ენობრივი ფორმები, რომლებიც ყველა კონტექსტში გარკვეულ მოდალურ სემანტიკას ავლენენ. ამდენად, მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებებად მიიჩნევა ენობრივი ფორმები, ანუ მოდალური ზმნები და ელემენტები.



მოდალობის კატეგორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კილოს კატეგორია. მას განვიხილავენ მოდალობის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებად.

ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი დამოკიდებულების კუთხით, ქართულში გარჩეულია სამი კილო: პირდაპირი, რეალური - თხრობითი და ირიბი, ირეალური - კავშირებითი და ბრძანებითი. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ძირითადი დატვირთვა სწორედ ირიბ კილოებზე, განსაკუთრებით, კავშირებით კილოზე მოდის.

**თხრობითი კილოს** ფორმა, როცა ის თავისი პირდაპირი ანუ ძირითადი მნიშვნელობით არის ნახმარი, გამოხატავს 28 მოქმედებას, როგორც ფაქტს, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში.

**კავშირებითი ფორმა** მოქმედება წარმოგვიდგენს არა როგორც ფაქტს, არამედ როგორც სასურველს თუ შესაძლებელს;

**ბრძანებითი კილოს** ფორმა კი გადმოგვცემს მთქმელის ნება-სურვილს, რომელიც უნდა შესრულდეს (**კვაჭაძე, 1988: 31**).

თუკი მოდალობას განვიხილავთ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული სახის მარკირება. ამ მიდგომით, შესაძლოა, კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად იქნეს მიჩნეული ქართულში. ცნობილია, რომ მწკრივის მარკერები რეალურად დრო-კილოს ნიშნებია და ფაქტობრივად, დღემდე არ გვქვს ზუსტი ცალსახა მორფოლოგიური დეფინიცია - რა მარკერებია ესენი დროის, კილოსი თუ მწკრივის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს ეპისტემური და დეონტური მოდალობის კონსტრუქციებს სამეტყველო ქართულში(ვიმოწმებთ თ. მახარობლიძის მიხედვით)

( მახარობლიძე, <http://www.multilingualeducation.org> 23.02.2020 ).

პირველი რიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
ეპისტემური ვიცი აკეთებს/აკეთებდა	აწმყო	აწმყო იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ, მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცი გააკეთებდა	აწმყო	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
ეპისტემური ვიცოდი აკეთებდა	წარსული	იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცოდი გააკეთებდა	წარსული	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
დეონტური მინდა (გა)ვაკეთო	აწმყო	ოპტატივი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა - პრევერბით)
დეონტური მინდა ვაკეთებდე	აწმყო	აწმყო კავშირებითი	სურვილი პროცესის ქონისა
დეონტური მინდოდა (გა)მეკეთებინა	წარსული	მეორე თურმეობითი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა - პრევერბით)

მეორე ტიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
დეონტური უნდა (გა)ვაკეთო	უნდა	ოპტატივი	საჭიროება/ვალდებულება სამომავლო (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)
დეონტური უნდა ვაკეთებდე	უნდა	აწმყოს კავშირებითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესის ქონისა
დეონტური უნდა (გა)მეკეთებინა	უნდა	მეორე თურმეობითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესისა (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)

მესამე ტიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა (გა)ვაკეთო	ვიცი (აწმყო) უნდა	ოპტატივი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება ვალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატის მოიაზრებენ)
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა ვაკეთებდე	ვიცი (აწმყო) უნდა	აწმყოს კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება ვალდებულებაში

ეპისტემურ- დეონტური ვიცოდი (რომ) უნდა (გა)მეკეთებინა	ვიცოდი (წარსული) უნდა	მეორე თურმეობითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროებავალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები
--	-----------------------------	---------------------	---

როგორც ვხედავთ, მესამე ცხრილში მოყვანილი ფორმები შერეული მოდალობის ფორმებია. აქ წარმოდგენილია როგორც ეპისტემური ასევე დეონტური მოდალობა.

ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად გამომხატველად ფიქსირდება ორი ზმნა - **ნდომა** და **შეძლება** ზმნები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნები ქართულში დამოუკიდებელი ზმნური ფუნქციითაც გვევლინებიან. ისინი ჩვეულებრივ იუღლებიან და აქვთ მხოლობითა და მრავლობით რიცხვის სამივე პირის ფორმა. რაც შეეხება მოდალური ელემენტს, ეს არის ნდომა ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა - უნდა, რომელიც უცვლელად დაერთვის ზმნის პარადიგმას. კონსტრუქცია რამდენიმე მოდალური სემანტიკას გამოხატავს.

**უნდა** -დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით;

**უნდა** - მოდალური ზმნის ფუნქციით არ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.

მე მინდა გავაკეთო,	შენ გინდა გააკეთო,	მას უნდა გააკეთოს;
მე უნდა გავაკეთო,	შენ უნდა გააკეთო,	მან უნდა გააკეთოს.

ქართულ ენაში ჩატარებული არაერთი საინტერესო კვლევა, მართლაც, კარგად წარმოაჩენს ქართული ზმნის მრავალფეროვან ბუნებას და მის დატვირთულ შინაარსს, მაგრამ სემანტიკური კატეგორიების გამოყოფის გარეშე, მხოლოდ მორფოლოგიური კატეგორიებით ენობრივი მონაცემების ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება (შარაშენიძე, 2020:186).

ქართულ ენაში მოდალობის სისტემა სხვადასახვა სემანტიკურ ჯგუფს ქმნის. ეპისტემური მოდალური ინდიკატორების რიცხვს განეკუთვნება ის ფორმები, რომლებიც შემდეგ თემატურ სფეროებს მიემართება და სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს: რწმენა, მსჯავრი, განხილვა, განსჯა, ეჭვი, მოლოდინი, იდეა, წარმოდგენა, გრძნობა, შეგრძნება, ფიქრი, აზრი, შეხედულება, დადასტურება, მტკიცება, განაცხადი, არგუმენტი, მტკიცებულება, მოთხოვნა, კომენტარი, შენიშვნა, ვარაუდი, დეკლარირება, მინიშნება, ჰიპოთეზა, ჩანართი, ჩართვა, შეჯამება, დასკვნა, დაკვირვება, წინასწარ ვარაუდი, პროგნოზი, ოფიციალური განაცხადი, წინასწარ განჭვრეტა, შეთავაზებული წინადადება, შეთავაზება, შენიშვნა-კომენტარი, მოხსენება, ფაქტის უეჭველობა, უცილობლობა (შარაშენიძე, 2020: 136).

მოდალურ სიტყვებად ხშირად გვევლინება ჩართული. ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის მიხედვით მრავალგვარია. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ორ კატეგორიად იყოფა:

1. ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია თქმულის უეჭველობაში: **აშკარაა, ცხადია, რასაკვირველია, მართლაც, უდავოა.**

2. ჩართული გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის სათუოდ ან საეჭვოდ მიჩნევას: **იქნებ, მგონია, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, თითქოს ვიმედოვნებ** და სხვ.

თვალსაჩინოებისათვის შესაბამისი მაგალითები ცოცხალ დიალოგებში დავძებნეთ:

- ცხადია, უკეთეს შედეგს ველოდ.
- როგორც მოგეხსენებათ, ეს ბავშვები სკოლას ამთავრებენ.
- მე თუ მკითხავთ, ვითარება არ შეცვლილა.

- ყოველ შემთხვევაში, ექიმი ასე ფიქრობს.
- თინათინი ,რა თქმა უნდა,საუკეთესო კანდიდატია.
- ალბათ, ხვალ მზიანი ამინდი იქნება.
- იქნებ, შენ მაინც გითხრას სიმართლე.
- რასაკვირველია, დედა შვილზე იზრუნებს.
- მგონი, აქ პრობლემები გვაქვს.
- არა მგონია, ეს ჩემი გადასაწყვეტი იყოს.
- ჩანს, ნოდარს უნდა დაველაპარაკო.
- სტუმარი, ცოტა არ იყოს, დაიბნა.
- ეტყობა, თქვენ არ მეთანხმებით!
- როგორც ვატყობ, თქვენ სხვა აზრზე ხართ.
- სტუდენტები, როგორც ჩანს, არ მოდიან.
- თქვენ, თუ არ ვცდები, ესმას ელოდებით.
- მე, ჩვეულებრივ, გვიან ვვახშობ.
- ბატონი ვახტანგი, როგორც წესი, ხმადაბლა საუბრობს.
- როგორც ვიცით ,აქ ყველა ერთმანეთის ნათესავია.
- პარტიებმა ,როგორც ცნობილია, უკვე გაავრცელეს ინფორმაცია.
- ეს ისტორია, სამწუხაროდ ,მთელმა თბილისმა გაიგო.
- საბედნიეროდ ,ყველამ დარეკა .
- რატი, ღვთის მადლით, მალე მოვიდა.
- ჩემი აზრით ,თენგიზს ეს არ უნდა გაეკეთებინა.

მოდალობის კვლევისათვის ქართულ ენაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია 1988 წელს გამოსული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, სადაც შესულია ყველა ის მორფემა და მოდალური ელემენტი, რომლებიც გამოვლენილია ძველ ქართულში ან ახალ ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტებში. ლექსიკონში ტერმინთა მრავალფეროვნება შეინიშნება: მოდალური ფორმა, მოდალური ელემენტი, მოდალური ნაწილაკი, მორფემოიდი, ნაწილაკი-მორფემოიდი, მოდალური ფორმა-

შესიტყვება, მოდალური ზმნა – ეს ის ტერმინებია, რომლებიც ამ ლექსიკონში გამოხატავს მოდალურ სემანტიკას (შარაშენიძე, 2020: 55).

ჩვენს ნაშრომში მოდალური ელემენტების (ეგებ, იქნებ, ლამის, თითქოს, თითქმის, კინაღამ, მაინც) გასაანალიზებლად, სათანადო ემპირიული მასალა ქართული ენის კორპუსის სისტემაში დავებნეთ და მაგალითების საფუძველზე, ვცადეთ ფუნქციურ-სემანტიკური ველზე არსებული საკითხის სტრუქტურირება.

თანამედროვე ქართულში „იქნებ“ ორი დანიშნულებით გვხვდება: მოდალური ზმნისა და საკუთრივ ზმნური მნიშვნელობისა. საანალიზო ფორმებზე დაკვირვებამ, გვიჩვენა, რომ მოდალური ფუნქციით ის სემანტიკურად გამოხატავს **სურვილსა და ალბათობას**.

ძირითად შემთხვევაში წინადადების თავშია მოქცეული და უმეტესად გვხვდება კითხვით კონსტრუქციაში, თუმცა ინტენცია ხშირ შემთხვევაში სულაც არ არის კითხვითობის პირადაპირპროპორციული.

	<u>იქნებ</u>	ჩემი დილა მუდამ მზის ჩასვლა იყოს?
	<u>იქნებ</u>	ღიმილი ეს კეთილშობილებაა ადამიანის?
	<u>იქნებ</u>	თვითონ ცხოვრებაა უხამსი, უხეში და სასტიკი?
	<u>იქნებ</u>	ის ისეთი არ არის, როგორც მე მაქვს წარმოდგენა?
	<u>იქნებ</u>	სულ არ გაჩენილა ის, ვისთვისაც მოველ?
	<u>იქნებ</u>	არა ვთქვა არაფერი ?
	<u>იქნებ</u>	მაინც ვთქვა ამგვარი სიტყვა?
ან	<u>იქნებ</u>	სულაც ლეილასა და ბაბომისზე?
ეს	<u>იქნებ</u>	იმიტომ, რომ იგი თავისი არსების ერთი ნაწილი?

რა იცით,	<u>იქნებ</u>	ღმერთმა ჩაუნერგა ამ ხალხს, ხეზე დაბინავდნენ?
– ჯერ დოლის შეხედა, მერე მოსამართლეს –	<u>იქნებ</u>	ფიქრობთ, რომ რამეს მიაღწევთ?
– მიირთვით კიდევ რამე,	<u>იქნებ</u>	ტორტი გესიამოვნოთ?
თქვენი სახლი	<u>იქნებ</u>	აქ არის, – თქვა მან და შეიშმუშნა.
– დავინტერესდი მე,	<u>იქნებ</u>	რამე ახალი მითხრას-მეთქი.
– ჯერ ნუ დალევ,	<u>იქნებ</u>	მოწამლულია!

მოდალური ნაწილაკი - „ეგება“ ჩვენ მიერ განხილულ 155 წინადადებაში ვარაუდსა და ალბათობას გამოხატავდა. ძველ ქართულში იგი წარმოდგენილი იყო როგორც „ეგების“. ხშირად გამოიყენებოდა მნიშვნელობით - შეძლება, ჯერყოფა (აბულაძე, 1973 : 29).

დაწყველილი სულიერი, მე რომ მჭირია და	<u>ეგება</u>	აქ, თქვენსკენ იყვებს ვინმე...
	<u>ეგება</u>	მართლადაც ეს ქალი მამამისის ბედი იყოს?!
ახლავ წადი და გაუდეგ უკან,	<u>ეგება</u>	მოახელო სადმე.
მაგგვარი საქმე უქნია და ახლავე გაუდეგ.	<u>ეგება</u>	გორს მოახელო.
იგი და მოინელებს სტომაქიცა და ისევ	<u>ეგება</u>	კაცი იგი პირველსავე



		მდგომარეობასა შინა.
ხეხუვებზედა, – ვუსხედით ჩვენლა და	<u>ეგება</u>	ასეცა სჯობდა, ორი ქურუმი რო შეჰხვედროდა .
– ახლა,	<u>ეგება</u>	, მოგვისმინო საქმეზე.
	<u>ეგება</u>	თავისი სახლია ესა, ამ ეზოში?
–	<u>ეგება</u>	, კიდე მანდ არის და მოგვაყოლა ბნელოდანა.
	<u>ეგება</u>	, გაქცეულიყვნენ და სახლი ასე დაეკეტათ.

უნდა აღინიშნოს , რომ „მაინც“ – მოდალური სიტყვის 10667 ფორმა დაფიქსირდა და რწმენა-შეხედულებისა და გადაწყვეტილების სემანტიკური ჯგუფი მიუუსადაგეთ.

პირველ ხანებში	<u>მაინც</u>	, სანამ დრო იმ იარლიყს არ მოაძველებს.
მაგრამ როცა მთავრებმა არ დაიშალეს და	<u>მაინც</u>	შეითქვნენ, ხალხში, შეთქმულების მარცხის შიში გაჩნდა.
ამ ლექსებით გმირის ფიქრები	<u>მაინც</u>	ქალს დასტრიალებს თავს.
აკომპანიმენტით სრულდება, მისი სიმღერები	<u>მაინც</u>	ინარჩუნებენ ეროვნულ კოლორიტს.
ერთი რამ	<u>მაინც</u>	ახლავს ამგვარ ქველმოქმედებას.

აზრისით, აუნაზღაურებელი ქველმოქმედებანი	<u>მაინც</u>	არა ჩანს.
და	<u>მაინც</u>	ვლელავ...
	<u>მაინც</u>	ერთი სული აქვს, სანამ შინ მივა.
	<u>მაინც</u>	რა გემრიელად აკეთებდა დედამისი.

თითქოს (<თუ ითქვას) (აკ.შანიძე) 6407 საანალიზო ფორმიდან, ჩვენ მიერ განხილულ კონსტრუქციებში სიტყვა - „თითქოს“ შეფასებასა -წარმოსახვას გამოხატავდა.

ახლა ყველა ისე დამცქერის,	<u>თითქოს</u>	ჭაში იცქირებიან და რაღაც სასწაულს ხედავენ.
სწორედ ახლა ისეთი გრძნობა გამიჩნდა,	<u>თითქოს</u>	უზარმაზარი სიცოცხლე – ლოდი მერგო მე.
ამ სიმრავლემ	<u>თითქოს</u>	გააუბრალოვა სიცოცხლე, იერიში მიიტანა.
ნუ იტყვიოთ,	<u>თითქოს</u>	კვდომა სხეულის.
მოხუცმა თვალები დაივიწროვა,	<u>თითქოს</u>	რაღაცას იგონებს.
ისინი	<u>თითქოს</u>	ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

საწყალს სახეზე, მაინც არაფერმა უშველა –	<u>თითქოს</u>	მძიმე რამ ჭრილობა ჰქონდა, თქრიალით მოსდიოდა.
სიღრმეში კალია აჭრიჭინდებოდა ხოლმე,	<u>თითქოს</u>	ამ წუთიერ მყუდროების დარღვევას ეწადაო.
ქალს სახე ისე უციმციმებდა,	<u>თითქოს</u>	დილის, მზის სხივი ათინათდაო თხელ ყინულზე.
დღეს	<u>თითქოს</u>	მეტი მოტრფიალე რთულ პოეტურ სახეებსა.

ძველ ქართულში „ლამის“ დამოუკიდებელ ზმნად იხმარებოდა და გამოხატავდა“ წადილს, სურვილს, ნდომას.“ დღეს უკვე მოდალური ელემენტის სახითაა და შეფასება, მიახლოებითობის შინაარს სძენს ნათქვამს.

საამხედრო მანევრები ბატალიონის მასშტაბით,	<u>ლამის</u>	მთელი შეიარაღებული ძალებიდან ხდებოდა.
თითქოს დაამტკიცა პირველი სამი სახარების	<u>ლამის</u>	მთლიანი არაისტორიულობა.
	<u>ლამის</u>	, შენი ჭირიმე, აგვყარონ სოფლიდანა.
„რალა ცემა მინდა,	<u>ლამის</u>	ისეც ძარღვები დამიწყდეს, ვერა ხედავ?
კი დადამებულა და ესენი ახლავე მოსულან,	<u>ლამის</u>	ქოხებშიაც შემოგვიცვივდნენ.

რინგის ქორწილზე გადაღებული ფილმი კი მას	<u>ლამის</u>	სიმბოლურად წარმოგვიდგენს.
ახალ ეპოქაში იგი	<u>ლამის</u>	არასერიოზულ „თეორიად“ იქცა.
იოანე: უი შე უკეთურო, მაცთურო კაცისაო,	<u>ლამის</u>	აღმატყინო!
თვალთ დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა,	<u>ლამის</u>	გონი დაკარგა.
– გოდორა	<u>ლამის</u>	გასკდა სიცილით.
იმის სიტყვებმა	<u>ლამის</u>	ჭკვიდამ შემშალონ.
რა დროს ეგენია, მუდრეგო, მოჰყოლიხარ შენცა,	<u>ლამის</u>	მუცელში ხორველა გამიჩნდეს!
(იქით)	<u>ლამის</u>	კაცი გავგიჟდე და ეს უფრო მიმატებს!
საქართველოში დღეს იმპორტი	<u>ლამის</u>	4-ჯერ აღემატება ექსპორტს, იმპორტის ნულოვან ჩვენებაზე.
მათი ძალები	<u>ლამის</u>	ორ ბრიგადას ითვლიდა.

მოდალური ელემენტი „თითქმის“ ჩვენ მიერ განხილულ კონსტრუქციებში - მიახლოებითობა, შეფასებას გამოხატავდა.

	<u>თითქმის</u>	ყველას იცნობდა ჭიჭია.
თუმცა მის ლექსებში	<u>თითქმის</u>	არა ჩანს კვალი ადამიანის სულის მღრღნელი.
თავიდანვე ასე მოხდა და გრიგოლ აბაშიძემ	<u>თითქმის</u>	ერთდროულად მიიქცია მკითხველის ყურადღება.
მარცვალმარცვალ ხდებოდა დაგროვების ეს	<u>თითქმის</u>	უჩინარი პროცესი.
ამ აღმოჩენამ უცებ დააბნია –	<u>თითქმის</u>	ისეთივეა, როგორც ოცი წლის წინ ახსოვს .
სუფთად დაგვილ,	<u>თითქმის</u>	ცარიელ ოთახში ოდნავ საგრძნობი სინესტის სუნი იდგა.
რაც ჰქონდათ,	<u>თითქმის</u>	მთლად წამოიღო მივლინებაში.
კაკის იუბილემ	<u>თითქმის</u>	მსოფლიო ხასიათი მიიღო: დაიბეჭდა მასალები.
და	<u>თითქმის</u>	ზღაპრული,

მიახლოებითობა, შეფასებას გამოხატავს სიტყვა- „კინალამ“, შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას მოდალურ ელემენტებთან „ლამის“ და „თითქმის“, თუმცა ნიუანსურად მაინც განსხვავდება მათგან.

უცებ ისე მოენატრა, რომ	<u>კინალამ</u>	ატირდა, მისი სული.
–	<u>კინალამ</u>	დაიყვირა კობამ, – არ წახვიდე!
ნორას გული შეუქანდა,	<u>კინალამ</u>	დაიყვირა უეცარი სინანულისაგან.
იროდიონი მოტრიალდადა	<u>კინალამ</u>	დაიყვირა შიშისაგან.
იროდიონს ფეხი წყლიან ორმოში ჩაუვარდა და	<u>კინალამ</u>	წაიქცა.
– გაგიჟდი,	<u>კინალამ</u>	გაგიტანე!..
ისე გაგიჟდნენ,	<u>კინალამ</u>	მოსაკლავად გაგვიმეტეს.
იმ ქალბატონმა და დაგვალულმა	<u>კინალამ</u>	წამალი მოგვპარეს.
ამ ზაფხულს საქონელი უწყლობით	<u>კინალამ</u>	დაგვეხოცა.
ტუჩის შეხებაზევე გული	<u>კინალამ</u>	აერია, მაგრამ თვალი დახუჭა.

მოდალური ზმნიზედა „ალბათ“ სინტაქსურ კონსტრუქციებში ალბათობას გამოხატავს.

და ამას ჰქვია	<u>ალბათ</u>	ბავშვობა,
ვიცხოვრებ და	<u>ალბათ</u>	გზა და გზა გამახსენდება ჩემი ეს სიზმარი.
თქვენ	<u>ალბათ</u>	გაინტერესებთ რას მეძახიან.
	<u>ალბათ</u>	ამ ოჯახის ნათესავი თუ იყო.
– აქედან,	<u>ალბათ</u>	, მოჩანს „კონგო“, არა?
– თქვენ ყველას,	<u>ალბათ</u>	, ჯერ კიდევ დიდი წყურვილი გაქვთ ცხოვრებისა.
თუმც,	<u>ალბათ</u>	ისე არა, როგორც თვითონ...
მაგრამ,	<u>ალბათ</u>	, იშვიათად მოიძებნება ქართველი, ვინც აკაკის არ იცნობს.
„წუხელის არ გამოუვლია	<u>ალბათ</u>	“.
შაბათ-კვირამდე ვერ ამოდის	<u>ალბათ</u>	.

მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ერთეულია - „უნდა“. თანამედროვე ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება:

- სურვილი, წადილი;
- საჭიროება, აუცილებლობა.

ეს ორი მნიშვნელობა საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ, მიუხედავად მცირედი სემანტიკური დიფერენცირებისა, ისინი უღვლილების თვალსაზრისით განსხვავდება.

აღსანიშნავია, რომ მოდალური ელემენტის სტატუსით აღჭურვილი „უნდა“ თავისი ფორმოზრივი ფუნქციით პრინციპულად განსხვავდება „უნდა“ ზმნისაგან და ის ეწყობა მხოლოდ კავშირებითის ფორმებს ( გარდა მყოფადის კავშირებითისა) და არ იუღლება.

აქვე უნდა ითქვას, ქართული ენის კორპუსში დაძებნილი მოდალური სიტყვების რაოდენობას თუ შევადარებთ, „უნდა“ ფორმით ნაწარმოები კონსტრუქციები საგრძნობლად სჭარბობს დანარჩენს, 38 972 წინადადებიდან, ჩვენ მიერ განხილულ წინადადებებში ის ლოგიკურობისა და აუცილებლობის შინაარს გამოხატავს.

რა თქმა	<u>უნდა</u>	, კონკრეტული რეალობა არც ამ შემთხვევაშია.
ხელისუფლების რომელი ორგანო	<u>უნდა</u>	ჩაითვალოს სისტემის ბირთვად?
ურთიერთობების მნიშვნელობის გასაგებდ	<u>უნდა</u>	გაირკვეს თუ რამდენად საჭირობოროტოა იგი.
ამჯერად კი	<u>უნდა</u>	აღინიშნოს თუ რატომაა მიუღებელი სამხედრო წესდება.
არაფორმალურად მაინც, სამხედრო პირი	<u>უნდა</u>	იყოს უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები.
რა თქმა	<u>უნდა</u>	, ამ კარდინალურ ცვლილებებს, ვეთანხმები.
]უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ პოლიტიკოსსაც	<u>უნდა</u>	ესმოდეს, რომ სამხედრო საქმეს თავისებურებები ახასიათებს.
არა პროგრამების, არამედ ცნებების კორექციით	<u>უნდა</u>	ხორციელდებოდეს.



ლოგიკური გაკვეთილია, რომ სახელმწიფო მოღვაწე	<u>უნდა</u>	გრძნობდეს საკუთარი ქმედებებისა თუ რიტორიკის აზრს.
სწორედ ამას	<u>უნდა</u>	ემსახუროდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება.
ეს კითხვა პირველ რიგში პედაგოგს	<u>უნდა</u>	დაეხადოს.

**შესაძლოა** - ძირითად შემთხვევაში ვარაუდსა და მოსალოდნელ შედეგს გამოხატავდა.

ზარავდა იმის გაფიქრება, რომ	<u>შესაძლოა</u>	უკვე გვიანიც ყოფილიყო.
	<u>შესაძლოა</u>	, ერთმაც და მეორემაც ქალაქში დაიდოს ბინა.
სიტყვამ ხმალზე ადვილად	<u>შესაძლოა</u>	მოკვეთოს თავი...
იგი ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ამიტომაც	<u>შესაძლოა</u>	მასზე საუბარი ნაადრევიც იყოს.
ნინოს რას ვერჩი, მეცოდება ბავშვი,	<u>შესაძლოა</u>	,ვერასდროს ვერ გახდეს დამოუკიდებელი პიროვნება.
ეს მიზეზები, ახლა,	<u>შესაძლოა</u>	, სისულელედ ეჩვენოს ვინმეს.

**ნებართვასა და ლოგიკურ შესაძლებლობას** გამოხატავს სიტყვა „**შეიძლება**“. მცირედი სემანტიკით გასხვავდება მოდალური ელემენტისგან „**შესაძლოა**“.

იმდენს ბჭობენ, რომ	<u>შეიძლება</u>	უსახელოდ დავრჩე,
შეიძლება წვიმს, შეიძლება თოვს,	<u>შეიძლება</u>	გიყვარს, შეიძლება ელი.
ზოგს	<u>შეიძლება</u>	საჩოთიროდ ჩაესმის ტრადიციულობის ხაზგასმა.

განწყობილება ერთია მასში, ზოგი კი, თუ	<u>შეიძლება</u>	ასე ითქვას, ერთმნიშვნელოვანია.
შეშფოთებასაც და ადამიანურ სევდასაც,	<u>შეიძლება</u>	ითქვას, ერთი სათავე აქვს.

თუ კარგად მოიქცევი	<u>შეიძლება</u>	გარეთ გახვიდე.
ამის მიხედვით	<u>შეიძლება</u>	წერილის დათარიღება.
არ	<u>შეიძლება</u>	, არ ჭამო.

საბოლოოდ, მოდალური ელემენტების სემანტიკური შესაბამისობებია:

- **შეძლება** - ლოგიკური შესაძლებლობა, ნებართვა, უნარი და შესაძლებლობა
- **უნდა** - ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება და მოვალეობა
- **იქნებ** - ალბათობა, სურვილი, ვოლიტივი
- **ეგებ** - ვარაუდი, ალბათობა
- **ნეტავ**- ძლიერი სურვილი, ნატვრა, ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)
- **მაინც** - რწმენა-შეხედულება, გადაწყვეტილება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „მოდალური სემანტიკა ენის ყველა დონეზე ვლინდება, მაგრამ მოდალური კატეგორიის მაწარმოებლად მიჩნეულია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც მოდალური სემანტიკის გამომხატველია ენაში. ამ ფორმების გამოყენებას ყოველთვის შეაქვს მოდალური სემანტიკა ფრაზაში ან დისკურსში“ (შარაშენიძე 2017: 110).

წინადადების მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებებია: ზმნის კილოს ფორმა, ინტონაცია, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, წინადადების კონსტრუქცია (კვაჭაძე, 1981: 47). „ქართულ ენაში მოდალობის კატეგორია გამოიხატება

მოდალური ფორმებით (მოდალური ელემენტებით). ამ ფორმების ერთი ნაწილი გრამატიკალიზაციის შედეგად ზმნებისგან არის მიღებული“ (ჯორბენაძე, 1993; შარაშენიძე 2017). თანამედროვე ქართულში აღნიშნული ფორმები ნაწილაკთა ჯგუფში ერთიანდება და სწორედ მათთან ერთად (შეიძლება, უნდა, იქნებ, ეგებ, ლამის, ნეტავ...) ზმნის კავშირებითი ან თხრობითი კილოს გამოყენებით იქმნება მოდალური სემანტიკა. „ქართულ ენაში კილოს კატეგორია ზმნის უღლების პარადიგმის შემადგენელი ნაწილია და რამდენიმე მწკრივითაა წარმოდგენილი. კავშირებითი კილოს ფორმები ძირითადად გამოიყენება რომელიმე მოდალურ ფორმასთან ერთად ან რთული წინადადების შემადგენელ დამოკიდებულ წინადადებაში“ (შარაშენიძე, 2017: 111). ასე რომ, მოდალურ სემანტიკას ამ შემთხვევაში მოდალური ელემენტისა (ნაწილაკის) და მწკრივის ფორმის კომბინაცია გადმოსცემს.

მოდალური შინაარსის გადმოცემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციაზე. თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით გამოიყენება ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქცია, რომელიც შედგება მოდალური შინაარსის ზმნების ან მოდალური ნაწილაკებისაგან, ერთი მხრივ, და სახელზმნის ან კავშირებითის ფორმებისაგან, მეორე მხრივ. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის კავშირებითის ფორმაზე, მოდალური ზმნები და ნაწილაკები კი მოდალურ ელფერს სძენენ კონსტრუქციას (პაპიძე, 1984: 54, 68 ).

ქართულში მოდალობის სემანტიკის გამომხატველია რამდენიმე ზმნა. „ვიცი“ ზმნა დინამიკურ მოდალობას გადმოსცემს. სწორედ „ვიცი“ ზმნური ფორმისა და მასდარის ერთობლიობით (კომბინაციით) გამოიხატება უნარი, შესაძლებლობა: ვიცი/იცისხატვა, კითხვა, ცურვა...;

უნარის, შესაძლებლობის ფუნქციით გამოიყენება შემძლია/შეუძლია ზმნაც. აღსანიშნავია მომიწევს/მოუწევს ზმნის ფორმათა ფუნქცია, სამივე პირისა და დროის ფორმით გამოხატოს/აღნიშნოს ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული მოქმედება: მომიწევს მუშაობა; არ გინდოდა, მაგრამ მოგიწევს წასვლა; მოუწევს ამდენად, ქართულში მოდალობის გამომხატველ სისტემას ექნება შემდეგისახე:

- მოდალური ზმნები
- ნაწილაკები

➤ სპეციალური სიტყვა-გამოთქმები

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო მოდალური ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს.

## დასკვნითი დებულებები

➤ დროთა დინებასთან ერთად იცვლება მეცნიერული პარადიგმები (შედარებით-ისტორიული, სტრუქტურალიზმი, ანთროპოცენტრიზმი). საკითხის გაანალიზების სემანტიკური თვალსაწიერი ადგილს უთმობს პრაგმატიკულ ხედვას. აქტიურად ჩნდება ტერმინები: სამეტყველო აქტები, ფუნქციურ-სემანტიკური ველი, კონცეპტი.

➤ ენობრივი კონცეპტუალიზაცია, როგორც ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი პლანის სემანტიკური წარმოდგენის საშუალებათა ერთობლიობა, როგორც ჩანს, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია.

➤ მეტყველებამდე ენა არსებობს როგორც სისტემა, ხოლო მეტყველების პროცესში ენა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა საკუთრება ხდება, რაც მის საარსებო სივრცის შეცვლას იწვევს და იგი ინტერსუბიექტურ სივრცეში გადადის. შესაბამისად,

➤ პრაგმატიკა მოდალური ფორმირების არსებით კომპონენტად იქცა, პრაგმატიკულ კატეგორიათა ქვესისტემა და მისი როლი კი წარმატებული კომუნიკაციის განმახორციელებელ მექანიზმად. რომელიც, ოსტინის თეორიის მიხედვით, სამ ქვეაქტად - ლოკუციად, ილოკუციად და პერლოკუციად გადანაწილდა და მოდალობის ერთიან სისტემად წარმოგვიდგა.

➤ „თავად მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძალიან ძნელია ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭიროო“.

➤ საგულისხმოა ისიც, რომ საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებში მისი გაგება საკმაოდ არაერთგვაროვანია: გვხვდება მასთან დაკავშირებული არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავებული, არამედ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომებიც.

➤ ლინგვისტიკაში მიღებულია ძირითადად **ეპისტემური** (შესაძლებლობა, დედუქცია) და **დეონტური** (აუცილებლობა, ვალდებულება) მოდალობა. იმის მიხედვით, თუ რაა შეფასების ობიექტი მოცეულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის მოდალობა: **სუბიექტური და ობიექტური**.

➤ გარდა იმისა, რომ მოდალობა თითქმის ყველა ენაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა შრეზე (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, ა.შ.)

გამოიხატება, მისი უნივერსალურობა სხვა კუთხითაც ვლინდება, მხედველობაში გვაქვს მოდალობის ეპისტემური ბუნება, რომელიც არაერთი დისციპლინისა თუ სფეროს ინტერესის საგანია.

➤ ლინგვისტურ ჭრილში მოდალობის ანალიზი სამეტყველო აქტების თუ ზოგადად, დისკურსის ანალიზისას, რეალობის ობიექტური ასახვის უნივერსალური გამოვლინება და კომუნიკატა მთვარი მიზნის, წარმატებული კომუნიკაციის მექანიზმია.

➤ ტერმინი **მოდლობა** მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება: ენათმეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ფილოსოფიაში, ლოგიკაში, მედიცინაში, საინფორმაციო ტექნოლოგიაში და ა. შ.

➤ ლინგვისტიკაში მიღებულია ძირითადად **ეპისტემური** (შესაძლებლობა, დედუქცია) და **დეონტური** (აუცილებლობა, ვალდებულება). იმის მიხედვით, თუ რაა შეფასების ობიექტი მოცეულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის მოდალობა: **სუბიექტური** და **ობიექტური**.

➤ კითხვითი მოდალობა კარგად გამოხატული მოვლენაა ქართულში.

➤ როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, კითხვითი წინადადებები, სხვა სინტაქსური კონსტრუქციებისგან განსხვავდება იმით, რომ გამოხატავს აზრის განსაკუთრებულ ფორმას – კითხვას. მათი კომუნიკაციური დანიშნულება, ინფორმაციის გადაცემა კი არ არის, არამედ ზემოქმედების მოხდენა ინფორმაციის მიღების მიზნით. გამომდინარე აქედან, კითხვითობა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული კომუნიკაციური ინტენცია, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზანი აქვს. ის მანიფესტირდება კითხვით სამეტყველო აქტებში, რომლებიც შესაბამისი მიზანმიმართულებებით ხასიათდება.

➤ ქართულ გრამატიკაში კითხვითი წინადადება ორი სახისაა: კითხვითსიტყვიანი და უკითხვითსიტყვო. კითხვითი წინადადების გამოხატვის საშუალებებია: სპეციფიკური ინტონაცია; კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები. კითხვითი წინადადების ბოლოს იწერება კითხვის ნიშანი.

➤ ჩვენ, კითხვითი წინადადება გამოხატვის შესაძლებლობათა მიხედვით, განვიხილეთ სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, ანუ გამოვყავით კითხვის აღწერითი და ორგანული წარმოება, შედეგად კი მივიღეთ:

1). კითხვითი მოდალობის აღწერითი წარმოება;

ა) კითხვით ნაწილაკებიანი კითხვითი კონსტრუქციები;

ბ) კითხვითი სიტყვებით შედგენილი კითხვითი წინადადებები;

2). კითხვითი მოდალობის ორგანული წარმოება:

ა) კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების გარეშე, სპეციფიკური ინტონაციით.

➤ კითხვითსიტყვიანი, ანუ, როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ აღწერითი კითხვითი წინადადება, შეიცავს კითხვით ნაცვალსახელებს, კითხვით ზმნიზედებსა და კითხვით ნაწილაკებს: ვინ, რა, რომელი, როგორი, განა, თუ, ხომ. ასეთ წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები წინადადების წევრებად გვევლინებიან, კითხვითი ნაწილაკები კი წევრები არ არიან.

➤ ქართული კითხვითი ნაწილაკებია: ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ.

➤ ა – ნაწილაკი ძველ ქართულში ხშირად წინადადებას კითხვითად აქცევდა. ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთვოდა, მიუხედავად იმისა, სად იყო წინადადებაში: თავში, ბოლოსა თუ შუაში. ა'- ნაწილაკი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მწერლობაშიც გვხვდება, ცოცხალია ამჟამადაც ქართულის ზოგ კილოში, დასტურდება მეცხრამეტე საუკუნის ავტორებთანაც, ოღონდ როგორც დიალექტიზმი.

➤ კითხვითი ა-ნაწილაკი მიჩნეულია საერთოქართველურ კუთვნილებად. ა'-ს ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. დიალექტთაგან კითხვითი ა' შემოინახეს ხევსურულმა, თუშურმა, ინგილოურმა, რაჭულმა, შავშურმა, კლარჯულმა, ტაოურმა, ფერეიდნულმა ნაწილობრივ და იმერულმა. როგორც ჩანს, კითხვითი ა' ისტორიულად ყველა ქართული დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგიერთ დიალექტში (ზემოიმერული, მთარაჭული, კაკური კილოკავი..) კითხვითი ა' კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც იხმარება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ დიალექტებში აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია მიღებულია. ძველი ქართულის,

ქართულის ცოცხალ კილოთა და სხვა ქართველურ ენათა მონაცემები ცხადყოფენ, რომ – ა' და მისი ფარდი ნაწილაკები ქართველურ ენებში ჩვეულებრივ ზმნას დაერთვის და კითხვის მახვილიც მეტწილად სწორედ შემასმენელთან არის დაკავშირებული.

➤ **მე** ნაწილაკის დანიშნულება ძველ ქართულში იყო კითხვის გამოხატვა, თუმცა შემორჩენილ ფორმებში ის უკვე სპორადულად არის წარმოდგენილი და მისი თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულშივე იწყებს რყევას, რის შედეგადაც **მე** ნაწილაკი დამოუკიდებლად ვეღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და ა ნაწილაკთან ერთად იხმარება, ის საბოლოოდ იცლება კითხვითობისაგან საშუალო ქართულის საწყის ეტაპზე, როდესაც მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა და კავშირებითი კილოს ჩასახვა იწყება. მე' ადგილს უთმობს მცა ნაწილაკს, [რომელიც ვფიქრობთ, რომ მე + ცა კომპოზიციით მივიღეთ] და ფუნქციურ-სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. საშუალო ქართულში კი მცა ნაწილაკიც ნელ-ნელა იკარგება, ის ჯერ ზმნის კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება და არღვევს მისი ხმარების მთავარ კანონზომიერებას, შემდეგ კი ადგილს **ნეტავ** ნატვრით ნაწილაკს უთმობს. საბოლოოდ კი დიაქრონიულ ჭრილში **მე**, **მცა** და **ნეტავ** ნაწილაკთა ურთიერთმიმართების შემდეგ სურათს ვღებულობთ: დროთა განმავლობაში იცვლება მათი ფუნქციაც.

➤ **განა** - ნაწილაკს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც კითხვა-გაკვირვების გამოხატვაა. და რადგანაც **განა** ნაწილაკით გამოხატულ კითხვას ყოველთვის ახლავს გაკვირება-განცვიფრების ნიუანსიც, მიზანშეწოლილად მიიჩნევენ, რომ მისთვის “კითხვა – გაკვირვებითი ნაწილაკი“ გვეწოდებინა, ხოლო **განა** ნაწილაკიანი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვა-მახილის (!) ნიშანი დაგვესვა, რადგანაც მარტო კითხვითი ნიშანი ვერ იტევს იმ მნიშვნელობას, რასაც განა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოგვცემს.

➤ **ხომ** – ნაწილაკიანი კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ორმაგი მოდალობის მატარებლები არიან. ერთი მხრივ, ისინი მათ მთავარ ფუნქციას, კითხვას გამოხატავენ, მეორე მხრივ კი – მახილის წინადადების სემანტიკურ ნიუანსებს.



➤ **ნუთუ** – კითხვითი ნაწილაკია, რომელსაც გაოცების ელფერიც ახლავს – განა, ნუთუ მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც თუ ნაწილაკს უახლოვდება. ისიც ჩაკითხვის შინაარსის მატარებელია.

➤ **თუ** – ნაწილაკი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირია, რომელიც წინადადების ორ წევრს, ან ორ წინადადებას აერთებს ერთმანეთთან. იგი, როგორც კავშირი საშუალო ქართულში ყალიბდება და თან იძენს კითხვით შინაარსს. ჩანასახის სახით ეს „ვეფხისტყაოსანში“ შეიმჩნევა. თავდაპირველად აღნიშნულ ფუნქციას „თუ“ ცოცხალ მეტყველებაში იძენს, საიდანაც სამწერლობო ენაში გადადის.

➤ გასათვალისწინებელია **თუ**-ს ადგილი სინტაქსურ კონსტრუქციაში, რადგან წინადადებაში პოზიციის მიხედვით, შესაძლოა მსჯელობა მის ნიუანსურ მხარეებზეც. როდესაც ნაწილაკი -თუ წინადადების ბოლოს დაისმის და თან უშუალოდ მოსდევს ზმნა-შემასმენელს, ის აუცილებლად შეიცავს ისეთ კითხვითობის გაგებას, რომელშიც მოლოდინთან ერთად მოუბრის მიერ თანამოუბრისაგან შესაძლო პასუხიც ნაგულისხმებია და წინასწარი განწყობა-დამოკიდებულებაც დაფიქსირებულია. მეორე მხრივ, იგი გამოავლენს თავის პირველად, კავშირებით ფუნქციას და კითხვით მოდალობას ერთდროულად.

➤ **ქართულში კითხვითი მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალება აღწერითი კონსტრუქციები** ანუ კითხვითსიტყვიანი შესიტყვებებია.

➤ კითხვით სიტყვებია: კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? რომელი? სადაური? როდინდელი? რამდენი? ვისი? რისი? და კითხვითი ზმნიზედები: სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენჯერ?... ქართული სალიტერატურო ენის სამივე ეტაპსა და დიალექტურ ფორმებში, კითხვის მაწარმოებლად, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, რა ნაცვალსახელი გამოიკვეთა, მას ყველაზე ხშირად ვხვდებით სახელობით და ვითარებით ბრუნვებში, იხმარება როგორც თანდებულისანი ფორმით ისე უთანდებულოდ.

➤ კითხვითი სიტყვა, ჩვეულებრივ, იწყებს წინადადებას, ხოლო მეორე ადგილზე მისი წყვილის ცალია. ზმნასთან დაკავშირებულ კითხვით სიტყვებს – ქვემდებარე-დამატებად შეწყობილ ნაცვალსახელებსა და კითხვითი ზმნიზედით გადმოცემულ გარემოებას – უშუალოდ მოსდევს შემასმენელი, ხოლო კითხვით ნაცვალსახელებს,

რომლებიც წინადადებაში არსებით სახელთან არის დაკავშირებული და ამის გამო მსაზღვრელის ფუნქცია აკისრია, – საზღვრული წევრი. დიაქრონიულ ღერძზე კითხვით სიტყვათა ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია. ისინი დროთა დინებასთან ერთად ივსებენ ბრუნვებსა და ენაც აღწერით კითხვით მოდალობას ანიჭებს უპირატესობას.

➤ **კითხვითი მოდალობის გამოხატვის ორგანული წარმოება** მთელ დიაქრონიულ ღერძზე პროდუქტული იყო ქართულის სალიტერატურო ენის ძეგლებსა თუ ზეპირ მეტყველებაში. კითხვის გამოხატვა კი ინტონაციის საშუალებით ხდება და ხდებოდა. არჩევანი მრავალფეროვანია: კითხვით მახვილთან ერთად ენა იყენებს ლოგიკურ მახვილს, უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათა რიგს (იშვიათად), ინტონაციაც შესაბამისად არის, აღმავალი ან აღმავალ-დამავალი. კითხვითი მახვილი კი, მიუხედავად პოზიციისა, თითქმის ყოველთვის შემასმენლის ბოლო მარცვალს უკავშირდება.

➤ **კითხვითი წინადადების ანალიზმა პრესის ენაში** კი გვიჩვენა, რომ საკუთრივ კითხვით წინადადებებს ამკარად სჭარბობს რიტორიკული სინტაქსური კონსტრუქციები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს პუბლიცისტურ სტილს, წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

➤ საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კითხვითი წინადადების შესაძლებლობანი, ამოუწურავია და ძალზე მრავალფეროვანი. ენა განვითარების სამივე საფეხურზე იყენებდა როგორც ორგანულ ისე აღწერით კითხვით საშუალებებს, თუმცა დიაქრონიულ ღერძზე მათი ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია.

➤ ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად გამომხატველად გვევლინება ორი ზმნა - **ნდომა და შეძლება ზმნები**. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნები ქართულში დამოუკიდებელი ზმნური ფუნქციითაც გვევლინებიან. ისინი ჩვეულებრივ იუღლებიან და აქვთ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვის სამივე პირის ფორმა. რაც შეეხება მოდალური ელემენტს, ეს არის ნდომა ზმნის მესამე პირის მხოლობითი

რიცხვის ფორმა - უნდა, რომელიც უცვლელად დაერთვის ზმნის პარადიგმას. კონსტრუქცია რამდენიმე მოდალური სემანტიკას გამოხატავს.

➤ კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად უნდა იქნეს მიჩნეული ქართულში.

➤ გარდა ამისა, არსებობს სხვა მოდალური ელემენტები, რომლებიც დაერთვის ზმნას და მას მოდალური სემანტიკას ანიჭებს, ასეთებია: **ეგებ, იქნებ, ლამის, თითქოს, თითქმის, კინაღამ, მაინც.**

➤ მოდალური ელემენტების სემანტიკური შესაბამისობებია:

**შეძლება** - ლოგიკური შესაძლებლობა, ნებართვა, უნარი და შესაძლებლობა

**უნდა** - ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება და მოვალეობა

**იქნებ** - ალბათობა, სურვილი, ვოლიტივი

**ეგებ** - ვარაუდი, ალბათობა

**ნეტავ**- ძლიერი სურვილი, ნატვრა, ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)

**მაინც** - რწმენა-შეხედულება, გადაწყვეტილება.

➤ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „მოდალური სემანტიკა ენის ყოველ დონეზე ვლინდება, მაგრამ მოდალური კატეგორიის მაწარმოებლად მიჩნეულია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც მოდალური სემანტიკის მუდმივი გამომხატველია ენაში. ამ ფორმების გამოყენებას ყოველთვის შეაქვს მოდალური სემანტიკა ფრაზაში ან დისკურსში“.

➤ ამდენად, ქართულში მოდალობის გამომხატველ სისტემას ექნება შემდეგისახე:

- მოდალური ზმნები
- ნაწილაკები
- სპეციალური სიტყვა-გამოთქმები


➤ მოდალურ ფორმათა ფორმობრივ-ფუნქციური ცვლილება ქართულში XV საუკუნიდან იწყება. მოდალური ნაწილაკები და ფუნქციით მათთან გათანაბრებული ზმნები გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების (და, ამდენად, მთელი წინადადების) მიმართ.


➤ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო მოდალური ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს.

დანართი 1.




## კითხვითი წინადადება





# კითხვითი წინადადება





კითხვითი ნაწილაკები

ა'; მე.'


1. ხუცეს, მიუძღვანა' სამკაული ესე მისი?  
2. მოსთქვამდა ცრემლის ფრქვევითა : \_ დამსვა მე წყლისა პირსაო?

განა; ხომ;  
ნუთუ;  
თუ.

1. განა ამბავს მიუტან შენ?  
2. და ესრეთ გამცენ ხომ?  
3. ნუთუ გაწყინეს რამეო?  
4. ხორციელები იყვნენ თუ?







## გამოყენებული ლიტერატურის სია

- 1 ადვამე , 2015 – მ. ადვამე, „ უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით)“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი , თელავი, 2015.
- 2 აბულაძე, 1973 \_ ილია, აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
- 3 აფრიდონიძე, 1970 - შუქია აფრიდონიძე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში. ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურე სკოლაში, 3, თბ., 1970.
- 4 ბაბუნაშვილი, 1953 \_ ელენე ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ.,1953.
- 5 ბაბუხაძია, 2010 - მერაბ ბაბუხაძია, „მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები ინგლისურსა და ქართულში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი , ქუთაისი, 2010.
- 6 ბასილაია, 1983 \_\_ ნიკანდრო ბასილაია, წინადადების ტიპები მტკიცების შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით. თბილისი: განათლება, 1983.
- 7 გამყრელიძე ,სხვ., 2003 \_ თ. გამყრელიძე, ზ. კვიციანი, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- 8 გეგეშიძე, 2005 \_\_ ი. გეგეშიძე, "მოდალობა", "ზმნის კილო" და "წინადადების რაგვარობა" ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXV. თბილისი: ქართული ენა, 2005.
- 9 გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 \_ ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ. 1961.
- 10 დავითიანი, 1966 \_ აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.
- 11 ერთელიშვილი, 1963 \_ ფარნაოზ ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, თბ., 1963

12 იმნაიშვილი, 1966 – გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

13 იმნაიშვილი, 1984 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონიალექსიკონი, თბ., 1984.

14 იოსელიანი, 1863 – პლატონ იოსელიანი, პირუღალ დაწყებითი კანონნი ქართულისა დრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, ტფ., 1863.

15 კვაჭაძე, 1977 – ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, II გამოცემა, თბ., 1977.

16 კოტინოვი, 1986 – ნორა კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

17 ლებანიძე, 2004 - გ. ლებანიძე, „ანთროფოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ თბილისი: ენა და კულტურა, 2004.

18 ლომია, 2012 - ნ. ლომია, „ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.

19 მაჭავარიანი, 2005 – ხათუნა მაჭავარიანი, კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური ტიპები საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 2005.

20 მახარობლიძე, მოდალობის ზოგი საკითხისთვის ქართულში,

21 მელიქიშვილი, 2001 – დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

22 მრევლიშვილი. 1971 – მაყვალა მრევლიშვილი, მხატვრული კითხვის ხელოვნება, თბ., 1971.

23 ონიანი, 1998 – ალექსანდრე ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

24 პაპიძე, 1984 - ასმათ პაპიძე, კილოს კატეგორიისათვის თანამედროვე ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

25 როგავა, 1948 – გიორგი როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში. ღეპი შრომები, 8, ქუთაისი, 1948.

26 როსტიაშვილი, 1958 \_ ნათელა როსტიაშვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი ს. ვაკის მეტყველების მიხედვით. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი VIII, თბ., 1958.

27 სალინაძე, 2008 \_ რუსუდან სალინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), თბ., 2008.

28 სიმფონია, 1959 \_ ვეფხისტყაოსნის სიმფონია, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1959.

29 უთურგაძე, 1966 \_ თედო უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1966.

30 უთურგაძე, 1966 \_ თედო უთურგაძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, ი.კ.ე. XV, თბ., 1966.

31 ფალავა, 2006 \_ მამია ფალავა, ზოგიერთი მოდალური ნაწილაკის ფორმისა და ფუნქციის შესახებ ქართულში, ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული V, ბათუმი, 2006.

32 ფალავა, 2009 \_ მამია ფალავა, ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ., 2009.

33 ფეიქრიშვილი, 1996 \_ ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, სალექციო კურსი, ქუთ., 1996.

34 ქავთარაძე, 1985 \_ ივანე ქავთარაძე, სიტყვათა სემანტიკური განვითარების ისტორიიდან ქართულში, იკე, ტ. XXIII, თბ.; 1985.

35 ქალდანი, 1964 \_ მაქსიმე ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გამლიერებითი ნაწილაკები სვანურში. იკე, XIV, თბ., 1964.

36 ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964 \_ 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

37 ღლონტი 1996 \_ ალექსანდრე ღლონტი, ქართული წინადადება, თბ., 1996.

38 შანიძე, 1957 \_ აკაკი შანიძე, ქართული ენის სტუქტურისა და ისტორიის საკითხები 1, თბ., 1957.

39 შანიძე, 1976 \_ აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

40 შანიძე, 1980 \_ აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. 12 ტომად, ტ.III, თბ., 1980.

- 41 **შანიძე**, 1981 – აკაკი შანიძე, მცა ნაწილაკი ქართულში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
- 42 **შარაშენიძე**, 2014– ნინო შარაშენიძე, მოდალობის კატეგორია ქართულში, მისი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები უცხოელთათვის, ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კრებული, თბ. 2014.
- 43 **შარაშენიძე**, 2020 - ნინო შარაშენიძე, მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში, თბ. 2020.
- 44 **ჩიქობავა**, 1927 – არნოლდ ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტსუ მოამბე, VII, ტფ., 1927.
- 45 **ჩიქობავა**, 1937 – არნოლდ ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი. ენიმკის მოამბე, (II) I, ტფ., 1937.
- 46 **ჩუბინაშვილი**, 1887 – დავით ჩუბინაშვილი, საუნჯე ქართული ენისა ქართულ-რუსული ლექსიკონი. სპბ. 1887.
- 47 **ძიძიგური**, 1937 – შოთა ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, (II), I, ტფ., 1937.
- 48 **ჭინჭარაული**, 1960 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- 49 **ჭილაშვილი**, 2002 – ნ. ჭილაშვილი, მოდალობის გამოხატვის ზოგიერთი საშუალების შესახებ ავტობიოგრაფიულ ჟანრში // საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი: ქართული ენა, 2002.
- 50 **ჯანაშვილი**, 1906 – მოსე ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906.
- 51 **Балли III**. Общая лингвистика и вопросы французского языка. Москва: URSS, 2001.
- 52 **Бенвенист**, Э. Общая лингвистика, пер. с франц., М., 1974.
- 53 **Виноградов В. В.** О категории модальности и модальных словах в русском языке. Исследования по русской грамматике. Москва: Наука, 1975.
- 54 **Гальперин**, И.Р. 1981 Текст как объект лингвистического исследования. Москва: Наука. 1981

- 55 **Ермолаева**, Типология системы склонения в современных германских языках, "Вопросы языкознания", №4, 1977.
- 56 **Колшанский**, Г.В. 1980. Объективная картина мира в познании и языке. Москва: Наука. 1980.
- 57 **Каменская**, О.Л. 1997. Актуальные проблемы теории референции. Эмоциональный уровень языковой личности. № 435, 1997.
- 58 **Караулов**, Ю.Н. 1987. Русский язык и языковая личность. Москва:Наука. 1987.
- 59 **Красавский**, Н.А. 1992. О терминологическом и обиходном обозначении эмоций. Автореф. дис. канд. филол. наук. Волгоград. 1992.
- 60 **Кубрякова**, Е.С. 1986. Номинативный аспект речевой деятельности. Москва:Наука 1986.
- 61 **Кураков**, В. И. Модальность. Учебно-методическое пособие по практической грамматике немецкого языка. Волгоград: Издательство ВолГУ, 2000.
- 62 **Маслова**, В.А. 1990. Коммуникативный подход к проблеме эмотивности текста. Коммуникативные аспекты значения. Волгоград. 1990.
- 63 **Николаева**, Т.М. и Б.А. Успенский. 1966. Языкознание и паралингвистика. Лингвистические исследования по общей и славянской типологии. 1966.
- 64 **Остин**, Дж.Л. 1987. Чужое сознание. Москва:Прогресс. 1987
- 65 **Palmer**, F. 2001 Mood and Modality. 2nd edn. Cambridge: Cambridge University Press, 2001.
- 66 **Парамонов**, Д. А. О грамматическом выражении модальности в современном русском языке // Вестник Омского университета, 2, 1998.
- 67 **Телия**, В.Н. 1977. Вторичная номинация и ее виды. Москва:Наука, 1977
- 68 **Перельмутер**, И. А. Аристотель. В кн.: История лингвистических учений. Древний мир. Ленинград: Наука, 1980.
- 69 **Степанов**, Ю. С. Имена. Предикаты. Предложения (Семиологическая грамматика). Москва: Наука, 1981.
- 70 **Слышкин**, Г.Г. 2000. От символа к символу: лингвокультурные концепты прецедентных текстов в сознании и дискурсе. Москва: Academia. 2000.

- 71 **Храпченко, М.Б.** 1987. Познание литературы и искусства. Теория. Пути современного развития. Москва: Наука. 1987.
- 72 **Хэмп, Э.** Словарь американской лингвистической терминологии. Москва: Прогресс, 1964.
- 73 **Янов, 1977.** Языковая номинация: Общие вопросы. Москва: Наука.1977
- 74 **Jakobson, R.** 1966. Saggi di linguistica generale.Milano: Feltrinelli.
- 75 **Harris, Z.** 1995. Linguaggio e informazione. Milano: Adelphi. 1995.
- 76 <http://www.dendroni.ge>
- 77 <https://semioticsjournal.wordpress.com>
- 78 <http://www.spekali.tsu.ge>
- 79 <http://eprints.iliauni.edu.ge/>

**შემოკლებანი:**

- ამირ.** – მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ.1967.
- ასათ.** – ლადო ასათიანი, რჩეული, თბ. 1954.
- ბუქურ.** – ივანე ბუქურაული, თუშური ლექსები. ძველი საქართველო, ტ. II, ტფ. 1913.
- ვაჟა.** – ვაჟა-ფშაველა, თხზ. ათ ტომად, თ.I- X, თბ.1964.
- ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ი.აბაშიძე, ა.ბარამიძე, პ.ინგოროყვა, ა.შანიძე, გ.წერეთელი, თბ.1966.
- ი.**- სახარება იოვანსი. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ.1979.
- ლ.** – სახარებად ლუკასი. ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979.

**მთ.** - სახარება<sup>ა</sup> მათე<sup>ა</sup>სი. ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979.

**მრ.** – მრავალთავი.

**ნოლ.** – ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971.

**რუსუდ.** – რუსუდანიანი, ი.აბულაძისა და ი.გიგინეიშვილის რედაქციით, თბ.1957.

**საბა.** – სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, თბ. 1979.

**სულ.** – არჩილ სულაკაური, ლექსები, მოთხრობები. თბ. 1977.

**ფს.**- ფსალმუნნი. მზექალა შანიძის გამოცემით, თბ. 1960.

**ქ.დ** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ. 1961.

**ქ.ე.ე.კ.**- ქართული ენის ეროვნული კორპუსი ,

<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467/qartuli-jesturi-enis-korpusi>

**ქიაჩ.** – ლეო ქიაჩელი, რჩეული, თბ.1956.

**ყაზ.** – ალექსანდრე ყაზბეგი, თხზ. ორ ტომად, თბ.1968.

**ჩვ. ქართ.** – შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული,“ აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ბათუმი, 1993.

**ჭავ.** – ილია ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, [ლექსები, მოთხრობები, პოემები, წერილები] \_ პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1951.

**ხანძთ.** – გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა,“ წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქცია, თბ., 1963.

**ჯანაშ.** – მოსე ჯანაშვილი, საინგილო. ძველი საქართველო, ტ.II, თბ.19.